ქ. თბილისის საკრებულოს

დადგენილება №16

2011 წლის 25 მარტი

ქ. თბილისი

ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

1. ,,საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის ,,თ" ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა: დამტკიცდეს ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების თანდართული ანგარიში.

2. დადგენილება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **ზ. სამადაშვილი**

დანართი №1

ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ბალანსი

ლარებში

დასახელება	2010 წლის წლიური გეგმა		საკასო შესრულება (ნაზარდი ჯამით)	
	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
შემოსავლები	716,320,615	11,051,615	724,622,849	11,051,615
გადასახადები	93,410,000		93,744,225	
გრანტები	532,061,615	11,051,615	532,051,615	11,051,615
სხვა შემოსავლები	90,849,000		98,827,009	
ხარჯები	608,283,659	11,051,615	606,311,376	11,051,615
შრომის ანაზღაურება	35,898,238	0	35,825,508	0
საქონელი და მომსახურება	146,585,374	51,615	145,551,950	51,615

პროცენტი	2,304,721	0	2,304,678	0
სუბსიდიები	50,016,942	0	49,959,327	0
გრანტები	3,176,627	0	3,176,293	0
სოციალური უზრუნველყოფა	113,297,901	0	113,075,116	0
სხვა ხარჯები	257,003,855	11,000,000	256,418,503	11,000,000
საოპერაციო სალდო	108,036,956	0	118,311,474	0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	129,121,120	0	127,552,453	0
ზრდა	149,221,120	0	148,657,392	0
კლება	20,100,000		21,104,939	
მთლიანი სალდო	-21,084,164	0	-9,240,979	0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-16,673,307	0	-4,829,924	0
ზრდა	3,802,693	0	15,703,079	0
ვალუტა და დეპოზიტები			11,900,400	
სესხები	3,802,693	0	3,802,679	0
აქციები და სხვა კაპიტალი				
სხვა დებიტორული დავალიანებები				
კლება	20,476,000	0	20,533,003	0
ვალუტა და დეპოზიტები	19,640,000		19,640,000	
სესხები	0		61,068	
აქციები და სხვა კაპიტალი	248,000		241,190	
სხვა დებიტორული დავალიანებები	588,000		590,746	
ვალდებულებების ცვლილება	4,410,858	0	4,411,055	0
ზრდა	14,144,000	0	14,144,051	0
საგარეო	14,144,000		14,144,051	

საშინაო			0	
კლება	9,733,142	0	9,732,996	0
საგარეო	7,579,642		7,579,559	
საშინაო	2,153,500		2,153,437	
ბალანსი	0	0	0	0
ბიუჯეტის ანგარიშზე წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი			20,653,083	

დანართი №2

ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

(ათას ლარებში)

შემოსულობების კოდი	დასახელება	2010 წელი			
		გეგმა	ფაქტი	სხვაობა	%
	შემოსავლები	716,320.6	724,622.8	8,302.2	101.2
11	გადასახადები	93,410.0	93,744.2	334.2	100.4
11311	ქონების გადასახადი მათ შორის:	93,150.0	93,482.7	332.7	100.4
1131101	საწარმოთა ქონებაზე გადასახადი	76,200.0	76,289.1	89.1	100.1
1131103	ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი	6,000.0	6,056.2	56.2	100.9
1131104	მიწაზე ქონების გადასახადი	10,850.0	10,971.9	121.9	101.1
1131109	სხვა გადასახადები ქონებაზე	100.0	165.5	65.5	
116	სხვა გადასახადები	260.0	261.5	1.5	
13	გრანტები	532,061.6	532,051.6	- 10.0	99.998
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები			-	

133	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები, მათ შორის	532,051.6	532,051.6	-	100.0
1331	გათანაბრებითი ტრანსფერი	323,037.7	323,037.7	-	100.0
1332	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1,400.0	1,400.0	-	
1333	სპეციალური ტრანსფერი	207,613.9	207,613.9	-	100.0
13331	ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	196,562.3	196,562.3	-	100.0
13333	საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	11,051.6	11,051.6	-	100.0
1334	სხვა არაკლასიფიცირებული გრანტები	10.0		- 10.0	
14	სხვა შემოსავლები	90,849.0	98,827.0	7,978.0	108.8
141	შემოსავლები საკუთრებიდან	4,585.0	5,291.7	706.7	115.4
1411	პროცენტები	3,000.0	3,609.8	609.8	120.3
1412	დივიდენდები	390.0	394.9	4.9	101.3
1415	რენტა	1,195.0	1,287.0	92.0	107.7
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	650.0	686.9	36.9	105.7
1415402	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	545.0	600.1	55.1	110.1
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	68,464.0	75,117.2	6,653.2	109.7
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	67,609.0	74,187.8	6,578.8	109.7
14223	ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი, მათ შორის	1,410.0	1,435.3	25.3	101.8
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე	460.0	477.9	17.9	103.9
1422315	მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის	950.0	957.4	7.4	100.8

14227	სახელმწიფო ბაჟი	90.0	92.3	2.3	102.6
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	2.0	2.5	0.5	125.0
142210	ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი	318.0	324.0	6.0	101.9
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	39.0	38.8	- 0.2	99.5
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	32,000.0	37,949.9	5,949.9	118.6
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	33,000.0	33,520.3	520.3	101.6
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	750.0	823.5	73.5	109.8
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		1.2	1.2	
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	855.0	929.4	74.4	108.7
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	15,800.0	16,243.8	443.8	102.8
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	2,000.0	2,174.3	174.3	108.7
31	არაფინანსური აქტივები	20,100.0	21,105.0	1,005.0	105.0
311	შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	3,000.0	3,356.4	356.4	111.9
314	შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	17,100.0	17,748.6	648.6	103.8
32	ფინანსური აქტივები	20,476.0	20,533.0	57.0	100.3
3212	ვალუტა და დეპოზიტები	19,640.0	19,640.0	-	100.0
3214	სესხები		61.0	61.0	
3215	აქციები და სხვა კაპიტალი	248.0	241.2	- 6.8	
42	სხვა დებიტორული დავალიანებები	588.0	590.8	2.8	
33	ვალდებულებები	14,144.0	14,144.0	-	100.0
3324	საგარეო	14,144.0	14,144.0	-	100.0
	შემოსულობების ჯამი	771,040.6	780,404.8	9,364.2	101.2

დანართი №3

ქ.თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2010 წლის გეგმა	საკასო ხარჯი	სხვაობა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	64,938.3	64,231.1	- 707.2
7011	ქ. თბილისის მერიის აღმასრულებელი ორგანოების მმართველობითი ხარჯები	48,660.1	48,077.0	- 583.1
7011	წარმომადგენლობითი ორგანოები	5,855.2	5,821.0	- 34.2
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2,304.7	2,304.7	-
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	8,118.3	8,028.4	- 89.9
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	12,631.6	12,628.9	- 2.7
7031	პოლიციის სამსახურები	2,105.0	2,104.5	- 0.5
7032	საგანგებო სიტუაციები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები	10,526.6	10,524.4	- 2.2
704	ეკონომიკური საქმიანობა	149,205.3	148,740.7	- 464.6
7045	ტრანსპორტი (მათ შორის გზები)	145,830.5	145,367.8	- 462.7
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	3,374.8	3,372.9	- 1.9
705	გარემოს დაცვა	62,922.0	62,820.7	- 101.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება (დასუფთავების ღონისძიებები)	50,130.9	50,130.6	- 0.3
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა (გამწვანება)	12,791.1	12,690.1	- 101.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	249,933.9	249,038.5	- 895.4
7061	ბინათმშენებლობა (საბინაო ფონდის გაუმჯობესებისა და შენახვის უზრუნველყოფა)	105,955.7	105,581.8	- 373.9
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	42,482.4	42,314.2	- 168.2
7064	გარე განათება	16,575.0	16,575.0	-
7065	კვლევები და განვითარება საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	19,124.4	19,075.0	- 49.4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	65,796.4	65,492.5	- 303.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	27,089.4	27,057.2	- 32.2
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	14,953.7	14,921.6	- 32.1
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანდაცვის სფეროში	12,135.7	12,135.6	- 0.1
708	დასვენება და კულტურა	25,452.9	25,307.0	- 145.9
7081	მომსახურება სპორტის სფეროში	4,533.7	4,530.4	- 3.3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	16,347.6	16,205.8	- 141.8
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სპორტისა და კულტურის სფეროში	4,571.6	4,570.8	- 0.8

709	განათლება	44,133.9	44,127.5	- 6.4
7091	სკოლამდელი აღზრდა	39,297.1	39,290.9	- 6.2
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	4,836.8	4,836.6	- 0.2
710	სოციალური დაცვა	121,197.5	121,017.2	- 180.3
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	24,462.0	24,438.6	- 23.4
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	33,490.3	33,424.5	- 65.8
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	1,326.6	1,307.1	- 19.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	61,918.6	61,847.0	- 71.6
	სულ	757,504.8	754,968.8	- 2,536.0

დანართი №3

ქ.თბილისის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	საკასო ხარჯი	%
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	64,231.1	9%
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	12,628.9	2%
704	ეკონომიკური საქმიანობა	148,740.7	20%
705	გარემოს დაცვა	62,820.7	8%
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	249,038.5	33%
707	სოცკულტურული ღონისძიებები	217,508.9	29%

754,968.8


საგანთა დასახელებათა
საბჭოთაშორისი მიმართება,
9%
საზოგადოებრივი წესრიგი და
უსაფრთხოება, 2%
ეკონომიკური საქმიანობა,
20%
გარემოს დაცვა, 8%
სამართალ-კომუნალური
მეურნეობა, 33%
სოციალურ-კულტურული
ღონისძიებები, 29%

ბიუჯეტის შესრულება

პერიოდი 01/01/2010 31/12/2010

დანართი №4

ორგანიზა-ციული კოდი	დასახელება	წლიური გეგმა დამტკიცებული	წლიური გეგმა დაზუსტებული	პერიოდის დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	დამოწმება		ხარჯი	დავალიანება
						სტანდარტული	დაუმოწმე-ბელი ავანსი		
01 00	ქ. თბილისის მერიის სისტემა	612,927,600	659,763,181	659,763,181	658,928,449.21	658,004,566.59	850,295.78	658,600,395.01 2	54,467.36
	ხარჯები	426,140,300	522,367,732	522,367,732	521,711,296.27	521,347,238.74	290,470.75	521,564,241.53	73,467.96
	შრომის ანაზღაურება	22,546,800	22,332,842	22,332,842	22,305,977.36	22,305,746.80		22,305,746.80	
	საქონელი და მომსახურება	121,287,600	109,572,503	109,572,503	109,151,174.47	109,058,874.72	60,924.21	109,069,609.04	50,189.89
	პროცენტი	2,052,300	2,304,721	2,304,721	2,304,678.00	2,304,678.00		2,304,678.00	
	სუბსიდიები	49,143,000	49,191,342	49,191,342	49,139,919.93	49,139,914.18		49,139,914.18	
	გრანტები		2,827,087	2,827,087	2,827,001.59	2,827,001.59		2,827,001.59	
	სოციალური უზრუნველყოფა	108,608,700	102,853,610	102,853,610	102,802,258.64	102,565,310.63	228,386.81	102,770,419.37	23,278.07
	სხვა ხარჯები	122,501,900	233,285,626	233,285,626	233,180,286.28	233,145,712.82	1,159.73	233,146,872.55	
	არაფინანსური აქტივები	170,760,600	123,859,613	123,859,613	123,681,477.85	123,121,652.76	559,825.03	123,500,478.39	180,999.40
	ფინანსური აქტივები	4,600,000	3,802,693	3,802,693	3,802,678.87	3,802,678.87		3,802,678.87	
	ვალდებულებები	11,426,700	9,733,142	9,733,142	9,732,996.22	9,732,996.22		9,732,996.22	
01 01	ქ. თბილისის მერიის ადმიმისტრაცია და სისტემის საქალაქო სამსახურები	33,586,700	34,228,705	34,228,705	33,861,162.29	33,844,154.15	14,972.00	33,819,761.26	39,364.89
	ხარჯები	29,042,300	31,761,931	31,761,931	31,402,852.14	31,385,844.00	14,972.00	31,361,451.11	39,364.89
	შრომის ანაზღაურება	16,856,300	16,205,242	16,205,242	16,180,462.47	16,180,231.91		16,180,231.91	
	საქონელი და მომსახურება	11,964,400	15,255,089	15,255,089	14,953,369.94	14,938,381.01	14,972.00	14,913,988.12	39,364.89
	სოციალური უზრუნველყოფა	65,000	115,000	115,000	98,245.64	98,149.92		98,149.92	
	სხვა ხარჯები	156,600	186,600	186,600	170,774.09	169,081.16		169,081.16	
	არაფინანსური აქტივები	4,544,400	2,466,774	2,466,774	2,458,310.15	2,458,310.15		2,458,310.15	
01 01 01	მერიის ადმინისტრაცია	21,910,800	23,597,676	23,597,676	23,251,914.15	23,235,042.50	14,972.00	23,210,649.61	39,364.89
	ხარჯები	17,366,400	21,130,902	21,130,902	20,793,604.00	20,776,732.35	14,972.00	20,752,339.46	39,364.89
	შრომის ანაზღაურება	5,544,800	5,882,025	5,882,025	5,878,843.25	5,878,749.25		5,878,749.25	

	საქონელი და მომსახურება	11,600,000	14,947,277	14,947,277	14,645,741.02	14,630,752.02	14,972.00	14,606,359.13	39,364.89
	სოციალური უზრუნველყოფა	65,000	115,000	115,000	98,245.64	98,149.92		98,149.92	
	სხვა ხარჯები	156,600	186,600	186,600	170,774.09	169,081.16		169,081.16	
	არაფინანსური აქტივები	4,544,400	2,466,774	2,466,774	2,458,310.15	2,458,310.15		2,458,310.15	
01 01 02	საფინანსო საქალაქო სამსახური	1,048,800	1,059,819	1,059,819	1,059,774.89	1,059,774.96		1,059,774.96	
	ხარჯები	1,048,800	1,059,819	1,059,819	1,059,774.89	1,059,774.96		1,059,774.96	
	შრომის ანაზღაურება	1,008,000	1,025,785	1,025,785	1,025,740.89	1,025,740.89		1,025,740.89	
	საქონელი და მომსახურება	40,800	34,034	34,034	34,034.00	34,034.07		34,034.07	
ორგანიზა-ციული კოდი	დასახელება	წლიური გეგმა დამტკიცებული	წლიური გეგმა დაზუსტებული	პერიოდის დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	დამოწმება		ხარჯი	დავალიანება
						სტანდარტული	დაუმოწმე-ბელი ავანსი		
01 00	ქ. თბილისის მერიის სისტემა	612,927,600	659,763,181	659,763,181	658,928,449.21	658,004,566.59	850,295.78	658,600,395.01 2	54,467.36
	ხარჯები	426,140,300	522,367,732	522,367,732	521,711,296.27	521,347,238.74	290,470.75	521,564,241.53	73,467.96
	შრომის ანაზღაურება	22,546,800	22,332,842	22,332,842	22,305,977.36	22,305,746.80		22,305,746.80	
	საქონელი და მომსახურება	121,287,600	109,572,503	109,572,503	109,151,174.47	109,058,874.72	60,924.21	109,069,609.04	50,189.89
	პროცენტი	2,052,300	2,304,721	2,304,721	2,304,678.00	2,304,678.00		2,304,678.00	
	სუბსიდიები	49,143,000	49,191,342	49,191,342	49,139,919.93	49,139,914.18		49,139,914.18	
	გრანტები		2,827,087	2,827,087	2,827,001.59	2,827,001.59		2,827,001.59	
	სოციალური უზრუნველყოფა	108,608,700	102,853,610	102,853,610	102,802,258.64	102,565,310.63	228,386.81	102,770,419.37	23,278.07
	სხვა ხარჯები	122,501,900	233,285,626	233,285,626	233,180,286.28	233,145,712.82	1,159.73	233,146,872.55	
	არაფინანსური აქტივები	170,760,600	123,859,613	123,859,613	123,681,477.85	123,121,652.76	559,825.03	123,500,478.39	180,999.40
	ფინანსური აქტივები	4,600,000	3,802,693	3,802,693	3,802,678.87	3,802,678.87		3,802,678.87	
	ვალდებულებები	11,426,700	9,733,142	9,733,142	9,732,996.22	9,732,996.22		9,732,996.22	
01 01	ქ. თბილისის მერიის ადმიმისტრაცია და სისტემის საქალაქო სამსახურები	33,586,700	34,228,705	34,228,705	33,861,162.29	33,844,154.15	14,972.00	33,819,761.26	39,364.89
	ხარჯები	29,042,300	31,761,931	31,761,931	31,402,852.14	31,385,844.00	14,972.00	31,361,451.11	39,364.89
	შრომის ანაზღაურება	16,856,300	16,205,242	16,205,242	16,180,462.47	16,180,231.91		16,180,231.91	
	საქონელი და მომსახურება	11,964,400	15,255,089	15,255,089	14,953,369.94	14,938,381.01	14,972.00	14,913,988.12	39,364.89
	სოციალური უზრუნველყოფა	65,000	115,000	115,000	98,245.64	98,149.92		98,149.92	
	სხვა ხარჯები	156,600	186,600	186,600	170,774.09	169,081.16		169,081.16	
	არაფინანსური აქტივები	4,544,400	2,466,774	2,466,774	2,458,310.15	2,458,310.15		2,458,310.15	

01 01 01	მერიის ადმინისტრაცია	21,910,800	23,597,676	23,597,676	23,251,914.15	23,235,042.50	14,972.00	23,210,649.61	39,364.89
	ხარჯები	17,366,400	21,130,902	21,130,902	20,793,604.00	20,776,732.35	14,972.00	20,752,339.46	39,364.89
	შრომის ანაზღაურება	5,544,800	5,882,025	5,882,025	5,878,843.25	5,878,749.25		5,878,749.25	
	საქონელი და მომსახურება	11,600,000	14,947,277	14,947,277	14,645,741.02	14,630,752.02	14,972.00	14,606,359.13	39,364.89
	სოციალური უზრუნველყოფა	65,000	115,000	115,000	98,245.64	98,149.92		98,149.92	
	სხვა ხარჯები	156,600	186,600	186,600	170,774.09	169,081.16		169,081.16	
	არაფინანსური აქტივები	4,544,400	2,466,774	2,466,774	2,458,310.15	2,458,310.15		2,458,310.15	
01 01 02	საფინანსო საქალაქო სამსახური	1,048,800	1,059,819	1,059,819	1,059,774.89	1,059,774.96		1,059,774.96	
	ხარჯები	1,048,800	1,059,819	1,059,819	1,059,774.89	1,059,774.96		1,059,774.96	
	შრომის ანაზღაურება	1,008,000	1,025,785	1,025,785	1,025,740.89	1,025,740.89		1,025,740.89	
	საქონელი და მომსახურება	40,800	34,034	34,034	34,034.00	34,034.07		34,034.07	

ინფორმაცია

ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

დედაქალაქის განვითარების ძირითადი გეგმის განსაზღვრის მიზნით, შემუშავდა 2010-2013 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და ჩამოყალიბდა ქალაქის ძირითადი პრიორიტეტები. ქალაქის პრიორიტეტული მიმართულებები მოიცავს ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მცირე ბიზნესისა და დასაქმების ხელშეწყობას, ეკოლოგიური და საზოგადოებაზე ორიერინტირებული გარემოს შექმნას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა ქ. თბილისის ბიუჯეტის დაგეგმვა.

დედაქალაქის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების (პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით) შესრულებას.

ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი შედგენილია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების PEFA-ს მიხედვით და მაქსიმალურად უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს. იგი შეიცავს ქ. თბილისის 2010-2013 წლების პრიორიტეტებს, მის მისაღწევად საჭირო ღონისძიებებს და ამ ღონისძიებების შედეგად მიღწეული შედეგების შესახებ მონაცემებს.

წინა წლებისგან განსხვავებით, დედაქალაქის მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვებით მიღებული შედეგების შესაბამისად ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტით დაფინანსდა ახალი პროგრამები და ღონისძიებები, **მათ შორის:**

სოციალური დაცვის პროგრამები

- ქ. თბილისში მცხოვრები პენსიონერების პენსიის დანამატის დაფინანსების პროგრამა (პენსიონერისათვის პენსიაზე დანამატის გაცემა 10 ლარის ოდენობით);
- ქ. თბილისში მცხოვრებ პენსიონერებისათვის მედიკამენტების ვაუჩერით უზრუნველყოფის პროგრამა;
- პენსიონრების მუნიციპალური ტრანსპორტით 50%-იანი შეღავათიანი ტარიფით მგზავრობა;
- თბილისის მოსახლეობის დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების დაფარვა;
- საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, პირველადი ჯანდაცვის ობიექტების თანამშრომელთა კომუნალური გადასახადებისათვის ვაუჩერებით დაფინანსების პროგრამა;
- წინამდებარე ჯირკვლის ქირურგიული მკურნალობის პროგრამა (დაფინანსდა 114 ოპერაცია);
- თვალის დაავადებებთა ოპერაციული მკურნალობა (დაფინანსდა 706 ოპერაცია);
- ჩიყვის ქირურგიული მკურნალობის პროგრამა (დაფინანსდა 129 ოპერაცია);
- ნუშურა ჯირკვლების და ადენოიდების ქირურგიული მკურნალობის პროგრამა (დაფინანსდა 1418 ოპერაცია);
- გრიპის ეპიდემიასთან ბრძოლის პროგრამა (გრიპის შემთხვევაში თბილისის მოსახლეობისათვის ბინაზე უფასო სამედიცინო მომსახურება);

განათლების პროგრამები

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და საჯარო სკოლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამა:

საჯარო სკოლების და საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების პროგრამა.

მოსახლეობისათვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით

ლიფტების შეკეთება-რეაბილიტაცია;

სადარბაზოების შეკეთება;
მოქალაქეთა გადამზადების კურსები (ინგლისური, კომპიუტერი);
ხელოვნების სკოლებში წარმატებული მოსწავლეების და მათი პედაგოგების წახალისება;
წარჩინებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების პროგრამა;
თბილისის მოსახლეობისათვის უფასო იურიდიული და საადვოკატო მომსახურება.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები

ახალი გზა (ვარაზისხევი-თამარაშვილი);
სამშენებლო ბიზნესის დახმარება (კრიზისის პერიოდში).

ამასთან, 2010 წელს დაფინანსება შენარჩუნებული იქნა შემდეგ სოციალურ შეღავათებზე:

სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ რეგისტრირებული 70000-ზე დაბალი ქულის მქონე ქ. თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე:

- 75%-იანი ფასდაკლება მეტროთი მგზავრობისას;
- 75%-იანი ფასდაკლება მუნიციპალური ავტობუსით მგზავრობისას;
- 50%-იანი შეღავათი წყლის გადასახადზე;
- 50%-იანი შეღავათი დასუფთავების მოსაკრებელზე;
- სასწრაფო სამედიცინო ცენტრის 03-ის უფასო გამოძახება;
- უფასო აღზრდა-განათლება ქ. თბილისის საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში;
- უფასო სწავლება ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში;
- უფასო სწავლება ქ. თბილისის ხელოვნების სკოლებში;
- უფასო სწავლება ქ. თბილისის სპორტულ სკოლებში;
- უფასო შესვლა ქ. თბილისის ზოოლოგიურ პარკში;
- უფასო შესვლა მუნიციპალურ მუზეუმებში;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ფასიან სექტორზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის სწავლების საფასურის თანადაფინანსება (სემესტრული თანხის 50%-ის ოდენობით);

ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში ფინანსდება:

ა) კომუნალური და საკომუნიკაციო გადასახადების საფასური ნაწილობრივ, წელიწადში ერთჯერადად, მათ შორის, ერთსულიანი ოჯახებისათვის 95 ლარის, ორსულიანი ოჯახებისათვის 105 ლარის, სამსულიანი 125 ლარის, ოთხსულიანი 135 ლარის, ხუთსულიანი 145 ლარის, ექვსი და მეტსულიანი ოჯახებისათვის 175 ლარის ოდენობით;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის ბავშვზე ფულადი დახმარება, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე – 20 ლარის ოდენობით;

გ) მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება 600 ლარი, 800 ლარი, 1000 ლარი და ა.შ ყოველ შემდეგ შვილზე 200 ლარით მეტი;

დ) ინვალიდი ბავშვების საქართველოს კურორტებზე დასვენება-რეაბილიტაცია;

ე) 100-წლიანი ხანდაზმულთათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება 600 ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის 2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ქალაქის 2010-2013 წლებისათვის განსაზღვრული პრიორიტეტებიდან საანგარიშო პერიოდში შესრულდა და დაფინანსდა:

- გზის საფარის აღდგენის სამუშაოები – 135,910.6 ათასი ლარით;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება – 5,403.3 ათასი ლარით;
- მოსახლეობის სოციალური დაცვა – 121,017.1 ათასი ლარით;
- მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესება – 26,429.2 ათასი ლარით;
- ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე – 15,720.1 ათასი ლარით;

- ქალაქის დასუფთავების ღონისძიებები – 50,130.6 ათასი ლარით;
- ქალაქის გამწვანების ღონისძიებები – 12,690.0 ათასი ლარით;
- განათლება (საბავშვო ბაფა-ბაღების ვაუჩერით დაფინანსება) – 38471.5 ათასი ლარით;
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია – 16,575.0 ათასი ლარით.

ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მთლიანი შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) გეგმის 771,040.6 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 780,404.8 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 101.2%. 2009 წლის შესრულებასთან შედარებით (ფაქტი – 634,052.0 ათასი ლარი) 146,352.4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია:



<u>I შემოსავლები</u>

ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 716,320.6 ათასი ლარი ფაქტობრივად 724,622.8 ათასი ლარით შესრულდა, გეგმის 101,2%, ანუ 8,302.2 ათასი ლარით მეტი და მთლიანი შემოსულობების 92,9% შეადგინა.



<u>I გადასახადების</u> სახით საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 93,744.2 ათასი ლარი, საიდანაც უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის.

<u>ქონების გადასახადი</u>

საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ფაქტობრივად მიღებულია 93,482.7 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმა – 93,150.0 ათასი ლარი შესრულებულია 100,4%-ით, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან მიღებულია 76,289.1 ათასი ლარი, გეგმის 100,1% (გასული წლის ფაქტობრივი შემოსავალი – 64,652.6 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში 11,636.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული), მიწის გადასახადიდან მიღებულია 10,971.9 ათასი ლარი, გეგმის 101,1% და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადიდან – 6,056.2 ათასი ლარი. მთლიანობაში ქონების გადასახადიდან წინა წელთან (ფაქტი – 77,168.2 ათასი ლარი) შედარებით 2010 წელს მიღებულია 16,314.5 ათასი ლარით მეტი.

ამასთან, სხვა გადასახადების სახით ბიუჯეტმა დამატებით 261.5 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო.



<u>II გრანტები</u>

2010 წელს გრანტების სახით ქალაქის ბიუჯეტში ჩარიცხულია 532,051.6 ათასი ლარი, გეგმის 532,061.6 ათასი ლარის 99.9%, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი – 323,037.7 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 1,400.0 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად – 207613.9 ათასი ლარი, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან – 11,051.6 ათასი ლარი.

<u>III სხვა შემოსავლები</u>

2010 წლის გეგმით განსაზღვრული 90,849.0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 98,827.0 ათასი ლარი შეადგინა (გეგმაზე 7,978.0 ათასი ლარით მეტი), რამაც გეგმის 108,8% შეადგინა, მათ შორის:

<u>პროცენტების</u> სახით მიღებულია 3,609.8 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმაზე (3,000.0 ათასი ლარი) 609.8 ათასი ლარით მეტია.

<u>დივიდენდებიდან</u> 394.9 ათასი ლარის შემოსავალია მიღებული, რაც გეგმაზე (390.0 ათასი ლარი) 4.9 ათასი ლარით მეტია.

<u>რენტის</u> სახით ბიუჯეტში შემოსულია 1,287.0 ათასი ლარი, აქედან:

<u>ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან</u> – 686.9 ათასი ლარი, გეგმის (650.0 ათასი ლარი) 107,7%;

<u>მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან</u> – 600.1 ათასი ლარი, რაც გეგმაზე (545.0 ათასი ლარი) 55.1 ათასი ლარით მეტია.

<u>ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან</u> მიღებულია 74,187.7 ათასი ლარი, რამაც გეგმის – 67,609.0 ათასი ლარის 109,7% შეადგინა.

<u>ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელიდან</u> მიღებულია 1,435.3 ათასი ლარი, გეგმის – 1,410.0 ათასი ლარის, 101,8%, მათ შორის:

<u>მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე</u> ბიუჯეტში მიღებულია 477.9 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმაზე (460.0 ათასი ლარი) 17.9 ათასი ლარით ნაკლებია;

<u>ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის მოსაკრებლიდან</u> ფაქტობრივად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 957.4 ათასი ლარი და გეგმაზე (950.0 ათასი ლარი) 7.4 ათასი ლარით მეტი (100,8%);

<u>სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან</u> მიღებულია 37,949.9 ათასი ლარი, გეგმაზე (32,000.0 ათასი ლარი) 5949.9 ათასი ლარით მეტი (118,6%) და წინა წელთან შედარებით 10109.9 ათასი ლარით მეტი. გადაჭარბება განაპირობებულია ახალი კაზინოს (სამორინეს) გახსნის შედეგად, ასევე წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია შემოსავალი სათამაშო აპარატებიდან. სახეების მიხედვით თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში შემოსულია – 24,836.6 ათასი ლარი (65,4%), სამორინეებიდან – 10,193.6 ათასი ლარი (26,9%) ტოტალიზატორებიდან, ბინგოებიდან და ლოტოებიდან – 1,836.0 ათასი ლარი (4,8%), ხოლო დარჩენილი – 1,083.7 ათასი ლარი (2,9%) ნაწილდება წამახალისებელ გათამაშებებზე და სხვა სახის ობიექტებზე:



<u>სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან</u> ფაქტობრივად 38.8 ათასი ლარი შემოვიდა (99,5%).

გარდა ამისა, <u>სახელმწიფო ბაჟის</u> სახით, ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 92.3 ათასი ლარი.

<u>დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი.</u>

დასუფთავების მოსაკრებლის კუთხით მოსახლეობიდან და იურიდიული პირებიდან ბიუჯეტში ჩარიცხულია 33520.0 ათასი ლარი (რაც გეგმაზე – 33,000.0 ათასი ლარი, 520.3 ათასი ლარით მეტია (101,6%)), მათ შორის 17941.7 ათასი ლარი ქ. თბილისის მერიის ბიუჯეტიდან 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დედაქალაქის მოსახლეობაზე რიცხული დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების დასაფარავად მიმართული თანხებია.

<u>მომსახურების გაწევიდან</u> მთლიანობაში მიღებულია 929.4 ათასი ლარი (108.7%). წინა წელთან შედარებით (2009 წლის ფაქტი – 588.5 ათასი ლარი) – 340.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

<u>ჯარიმებიდან და საურავებიდან</u> მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 16,243.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმაზე (15,800.0 ათასი ლარი) – 443.8 ათასი ლარით მეტია. მათ შორის:



1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში;
2. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის;
3. დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო;
4. უბილეთო მგზავრობის გამო;
5. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო;
6. შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები).

<u>**არაფინანსური აქტივები**</u>

ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 21,105.0 ათასი ლარი, მათ შორის 3,356.4 ათასი ლარია მიღებული ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, ხოლო მიწის გაყიდვიდან 17,748.6 ათასი ლარი.



<u>ფინანსური აქტივები</u>

ბიუჯეტში ვალუტა და დეპოზიტების სახით ასახულ იქნა 19,640.0 ათასი ლარი (ნაშთის ცვლილება), აქციები და სხვა კაპიტალი – 241.2 ათასი ლარი, ხოლო სხვა დებიტორული დავალიანებები (წინა წელს მიღებული და გამოუყენებელი) – 590.8 ათასი ლარი.

<u>ვალდებულებები</u>

თბილისის გზების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ქუვეითის ფონდიდან მიღებულია სესხის სახით – 14,144.0 ათასი ლარი.

გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი განისაზღვრა 771,040.6 ათასი ლარის ოდენობით, გადახდაზე აღებულმა ვალდებულებებმა 769,715.2 ათასი ლარი შეადგინა (გეგმის 99.8%), ხოლო საკასო შესრულებამ 768,504.4 ათასი ლარი (გეგმის 99.6% და გადახდაზე აღებული ვალდებულების 99.8 %):

(ათას ლარებში)

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის დასახელება	2010 წელი			
	გეგმა	ფაქტი	სხვაობა	%
ხარჯები	608283,7	606311,3	1972,4	99,7
შრომის ანაზღაურება	35898,2	35825,5	72,7	99,8
საქონელი და მომსახურება	146585,5	145551,9	1033,6	99,3
პროცენტი	2304,7	2304,7	0,0	100,0
სუბსიდიები	50016,9	49959,3	57,6	99,9
გრანტები	3176,6	3176,3	0,3	100,0
სოციალური უზრუნველყოფა	113297,9	113075,1	222,8	99,8
სხვა ხარჯები	257003,9	256418,5	585,4	99,8

არაფინანსური აქტივები	149221,1	148657,4	563,7	99,6
ფინანსური აქტივები	3802,7	3802,7	0,0	100,0
ვალდებულებები	9733,1	9733	0,1	100,0
სულ თბილისის ბიუჯეტის გადასახდელები	771040,6	768504,4	2536,2	99,7

ფუნქციონალურ ჭრილში – ხარჯები და არაფინანსური აქტივები შესრულდა 754,968.8 ათასი ლარით, მათ შორის:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გეგმა 64,938.3 ათას ლარი, შესრულდა 64,231.1 ათასი ლარით, მათ შორის წარმომადგენლობითი ორგანო – ქ. თბილისის საკრებულო – 5,821.0 ათასი ლარით, აღმასრულებელი ორგანო – 48,077.0 ათასი ლარით, ვალთან დაკავშირებული ოპერაციები (პროცენტი) – 2,304.7 ათასი ლარით და სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში – 8,028.4 ათასი ლარით. საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროებისათვის გათვალისწინებული ხარჯებიდან (გეგმა 12,631.6 ათასი ლარი) საგანგებო სიტუაციების და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებები დაფინანსდა 10,524.4 ათასი ლარით და პოლიციის სამსახურები 2,104.5 ათასი ლარით.

ეკონომიკური საქმიანობა (გეგმა 149,205.3 ათასი ლარი) დაფინანსებულია 148,740.7 ათასი ლარით, მათ შორის ტრანსპორტის ხარჯები 145,367.8 ათასი ლარით, აქედან გზის საფარის აღდგენითი სამუშაოების ხარჯებმა 135,910.6 ათასი ლარი შეადგინა, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში – 3372.9, ათასი ლარი.

გარემოს დაცვის ხარჯების გეგმა 62,922.0 ათასი ლარი შესრულდა 62,820.7 ათასი ლარით, აქედან დასუფთავების ღონისძიებების ხარჯები დაფინანსებულია 50,130.6 ათასი ლარით (გეგმა 50,130.9 ათასი ლარი), ლანდშაფტების დაცვა – კეთილმოწყობის ობიექტების გამწვანება – 12,690.1 ათასი ლარით (გეგმა 12,791.1 ათასი ლარი).

საბინაო-კომუნალური მეურნეობის გეგმა 249,933.9 ათას ლარი, დაფინანსდა 249,038.5 ათასი ლარით, მათ შორის ბინათმშენებლობაზე (საბინაო ფონდის გაუმჯობესება და შენახვის უზრუნველყოფა) – 105,581.8 ათასი ლარი, კომუნალური მეურნეობის განვითარებაზე – 42,314.2 ათასი ლარი, კვლევები და განვითარება საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში – 19,075.0 ათასი ლარი, გარე განათება – 16,575.0 ათასი ლარი და სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში – 65,492.5 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების გეგმა 27,089.4 ათასი ლარი, შესრულდა 27,057.2 ათასი ლარით.

დასვენება და კულტურის გეგმა 25,452.9 ათასი ლარი, დაფინანსებულია 25,307.0 ათასი ლარით.

განათლების ღონისძიებები დაფინანსდა 44,127.5 ათასი ლარით (გეგმა 44,133.9 ათასი ლარი), მათ შორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯებმა – 39,290.9 ათასი ლარი და სხვა დანარჩენმა ხარჯებმა – 4,836.6 ათასი ლარი.

სოციალური დაცვა დაფინანსდა 121,017.2 ათასი ლარით (გეგმა 121,197.5 ათას ლარი), მათ შორის დაფინანსდა ხანდაზმულთა სოციალური დაცვის პროგრამები – 24,438.6 ათასი ლარით, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა – 33,424.5 ათასი ლარით, საცხოვრებლით უზრუნველყოფა – 1,307.1 ათასი ლარით და სხვა სოციალური პროგრამები – 61,847.0 ათასი ლარით.



გადასახდელების გეგმა საანგარიშო პერიოდში ცალკეული მხარჯავი დაწესებულებების ორგანიზაციული კოდების მიხედვით შესრულებულია შემდეგნაირად:

მთლიანად მერიის სისტემის გადასახდელების გეგმა – 659,763.2 ათასი ლარი შესრულებულია 658,600.4 ათასი ლარით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია და სისტემის საქალაქო სამსახურების ადმინისტრაციული ხარჯები (01 01) 2010 წელს დაფინანსებულია 33,819.8 ათასი ლარით, აქედან მერიის ადმინისტრაცია დაფინანსებულია 23,210.6 ათასი ლარით, საქალაქო სამსახურებიდან ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური – 1,059.8 ათასი ლარით, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური – 518.3 ათასი ლარით, კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია – 25.3 ათასი ლარით, ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური – 220.4 ათასი ლარით, სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური – 1,426.8 ათასი ლარით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური – 1,973.6 ათასი ლარით, ქ. თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური – 509.6 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური – 556.0 ათასი ლარით, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური – 1,293.7 ათასი ლარით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური – 741.1 ათასი ლარით, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური – 592.8 ათასი ლარით, დასუფთავების საქალაქო სამსახური – 835.0 ათასი ლარით, საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახური – 856.8 ათასი ლარით.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა (01 02) –

2010 წელს დაფინანსდა – 142,603.2 ათასი ლარით. პროგრამა აერთიანებს შემდეგ ქვეპროგრამებს:

- გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების პროგრამა
- მეტროს მოძრავი შემადგენლობის ვაგონების მოდერნიზაციის პროგრამა
- მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია-მშენებლობა

● სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია

● **გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები (01 02 01)** – გეგმა 94,441.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 94,290.8 ათასი ლარით (შესრულება – 99.8%).

2010 წელს ძირითადად მიმდინარეობდა წინა წელს დაწყებული ობიექტების დასამთავრებელი სამუშაოები. გარდა ამისა, განხორციელდა ვარაზის ხევიდან თამარაშვილის ქუჩამდე ჩქაროსნული, ახალი მაგისტრალის მშენებლობა.

კაპიტალურად შეკეთდა – 214500 კვმ გზის საფარი. მათ შორის: შარტავას, ლუბოვსკის, ჯიქიას, კოსტავას ქუჩები. სოფელ დიღომში საავადმყოფოსთან მისასვლელი გზა, უნივერსიტეტის ქუჩის (სასაფლაოდან უნივერსიტეტამდე) გაგანიერება, გმირთა მოედნის გვირაბის გზა და გვირაბში შესასვლელ-გამოსასვლელი გზები. გულიას ქუჩიდან ფინანსთა სამინისტროსთან მისასვლელი გზა და სხვა.

რობაქიძის გამზირზე მოეწყო ტროტუარი, კახეთის გზატკეცილზე განხორციელდა ჯდენების აღდგენა,

კეთილმოეწყო გურამიშვილის გამზირისა და ურეკის ქუჩის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი–2-ის შენობის მიმდებარე ტერიტორია,

საბურთალოს ქუჩის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო საზოგადოებრივი ნაგებობა.

გლდანში პენიტენციურ ინფრასტრუქტურასთან გამხორციელდა მიმდებარე ტერიტორიის მოშანდაკება,

კაპიტალურად შეკეთდა ვეკუას ქუჩაზე მდებარე სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორია და თევდორე მღვდლის ქუჩიდან თოდუას კლინიკასთან მისასვლელი გზა.

ჩატარდა ჭავჭავაძის ქუჩის I ჩიხში მშენებარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის სამმართველოს შენობის წყალმომარაგების ქსელის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

მიმდინარეობდა კაპიტალური შეკეთების სამუშაოები მუხრანის (ჩარგლის ქუჩიდან თბილისის ზღვის წრიულ ხაზამდე) ქუჩაზე.

კაპიტალურად შეკეთდა გულიას ქუჩიდან ფინანსთა სამინისტროსკენ მისასვლელი გზა; მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ბარათაშვილის ხიდიდან გვირაბამდე გზის მონაკვეთი; დ/დიღომში, გ. ბრწყინვალის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია; იუსტიციის სამინისტროსთან მისასვლელი გზა;

ძველი თბილისის რაიონში კეთილმოეწყო სამთავრობო ავტოფარეხის ეზო, აგრეთვე ყიფშიძის ქუჩაზე №მე-17 კორპუსთან მისასვლელი გზა, ჩიქოვანისა და კოსტავას ქუჩის კვეთაზე არსებული ტერიტორია; ახლად აშენებული საპატრულო პოლიციის შენობების ეზოები – აეროპორტის მიმდებარედ, ნორიოს აღმართის ბოლოში, მზიურის ტერიტორიაზე და გურამიშვილის გამზირზე.

განხორციელდა ჯდენების აღდგენა თბილისი-აეროპორტის ავტოსტრადის მარცხენა ზოლის სავალ ნაწილზე.

კეთილმოეწყო ვაჟა-ფშაველას გამზირის №75-ის მიმდებარე ტერიტორია.

კუვეიტის ფონდის თანადაფინანსებით კაპიტალურად შეკეთდა – 191 150 კვმ გზის საფარი. დასრულდა კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ბახტრიონის, ჯავის, კაიროს, გოძიაშვილის, ინტენსიფიკაციის, ვაზისუბნის და ხუდადოვის დამაკავშირებელი გზის, აფხაზეთის, ბაღდადის, ნავთლუღის და ლუბლიანას ქუჩებზე.

მიმდინარე შეკეთების სამუშაოები შესრულდა – 240 400 კვმ ფართობზე.

ვაკე-საბურთალოს რაიონის საბურთალოს ზონაში – იოსებიძის, ქართველიშვილის, ნუცუბიძის, მიცკევიჩის, დოლიძის, ფიზკულტურის, ბულაჩაურის, საბურთალოს, ჩიქოვანის, ტაშკენტის ქუჩების, გამსახურდიას, ფანასკერტელის, გაგარინის, ვახუშტი ბაგრატიონის,

კოსტავას, ტანძიის, პეტრე იბერის, პეკინის, იოანე პეტრიწის და დიდი დიღმის ცენტრალური ქუჩების და „ახალ ნათებასთან“. 26 მაისის მოედნის. აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კმ, მეურნეობის დასახლების, ცენტრალურ საარჩევნო კომისიის შენობასთან მისასვლელი გზის. საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის ეზოს. ქ. თბილისის მერიის ეზოს, 161-ე სკოლის შესასვლელის, ვაჟა-ფშაველას გამზირი №18 (რეაბილიტაციის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია). დიდი დიღმის წრიული გზის. აღმაშენებლის ხეივანის (თბილისის გასასვლელის მიმდებარე ტერიტორია). გელოვანის გამზირიდან პოლიციის სამმართველომდე მისასვლელი გზის დაზიანებული მონაკვეთი. პეკინის №36 და №37, ჩიქოვანის, აღმაშენებლის ხეივანი მე-8 და მე-9 კმ, ასათიანის ქ. და ფსიქიატრიულის ეზო.

ვაკე-საბურთალოს რაიონის ვაკის ზონაში – ნუცუბიძის პლატოს I, II, III და IV მ/რ-ის, მინდელის. სანდრო ეულის, თამარაშვილის, გიორგი წერეთლის, რამიშვილის, ნუცუბიძის. თოფურიას, მარიჯანის, რაზმაძის, წყნეთის, ტაბიძის ქუჩების. ვაჟა-ფშაველას გამზირის. ვაჟა-ფშაველას II კვარტალის. ონკოლოგიურ სავადმყოფოსთან მისასვლელი გზის. ჭავჭავაძის №75 (რუსეთის საელჩოსთან). 151-ე სკოლასთან მისასვლელი გზის. მინდელის ქუჩიდან ტელეკომპანია "რუსთავი-2"-თან მისასვლელი გზის. ბაგების. სასტუმრო ამირანთან მისასვლელი გზის. ჩეხეთის საელჩოსთან მისასვლელი გზის, ყიფშიძის №20ა და №8-ის მიმდებარედ, ბაგებში, ლისის ტბასთან მისასვლელი გზის.

ისანი-სამგორის რაიონის სამგორის ზონაში – თრიალეთის, ხომლელის, კალოუბნის, ჯავახეთის, ქიზიყის, ენუქიძის, ჭიჭინაძის, ქინძმარაულის, იუმაშევის, ჟორესის, კუპრაძის, გახოკიძის ქუჩების. აეროპორტის IV ზოლის, ჯავახეთის პანდუსის, კახეთის გზატკეცილის და კახეთის გზატკეცილზე ლილოს ბაზრობასთან აჩქარების ზოლის მოწყობის. გარდაბნის გზატკეცილის. დამპალოს ხიდის პანდუსების, ორხევის ტრასის მეორე ზოლის, ორხევის ხიდის პანდუსების, კახეთის გზატკეცილზე საქნავთის დასახლების, ახვლედიანის, მუხაძის, ჩანტლაძის ქუჩის, ნორიოს ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის.

ისანი-სამგორის რაიონის ისნის ზონაში – მეტრომშენის ხიდის პანდუსების, ავტოსადგურიდან გორგასლის ქუჩამდე, გორგასლის (პროკურატურის მიმდებარედ) კაკაბეთის, ყვარელის, ხარაბაძის, დავითაიას, კობარეთის, წინანდლის, კვაჭანტირაძის, გზის, ზემო ფონიჭალის (სახანძროს ტერიტორია), ქვემო ფონიჭალა (პოლიციის მიდებარე მე-12 სკოლა), ავტოსტრადა თბილისი-აეროპორტის მეოთხე ზოლი, რესტორან კრწანისის მიმდებარე, წურწუმიას, შავი ზღვის ქუჩა, რუსთავის გზატკეცილი, წულუკიძის ქუჩა, ევროპის მოედანი, მალხაზის შესახვევი სასწავლო-საწყალოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ მიმდებარედ, კრწანისის ქუჩა (სამთავრობო რეზიდენცია), შსს მიმდებარე ტერიტორია (კახეთის გზატკეცილი), მარჯვენა სანაპიროს მონაკვეთი, ნავთლუღის ბაზრიდან ბოლომდე – პურკომბინატთან, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებული გვირაბის შესასვლელები.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის ნაძალადევის ზონაში – მანჯგალაძის, ჩარგლის ლიახვის, ურეკის, ძმები გარიშვილების, გუდამაყრის, ზესტაფონის, მექანიზაციის, ილურიძის, ბეჟანიშვილის, ჩოდრიშვილის, წერონისის, ზაქარაიას, სამღერეთის, მესხიშვილის, დადიანის, საკაძის, გლინკას, ნინუას, ჭყონდიდელის ქუჩების. დავით გურამიშვილის გამზირის (კინო-თეატრ "საქართველოსთან"). თბილისის ზღვის წრიული გზის, თემქის დასახლებიდან თბილისის ზღვაზე ასასვლელი მოედნის, თემქის დასახლების, ლეკიშვილის ქუჩისა და ანაპის 414-ე დივიზიის გადაკვეთაზე არსებული მოედნის. იმერეთის ქუჩის (ბენდელიანის ქუჩიდან ლომთათიძის ქუჩამდე), ილურიძის, გუდამაყრის შესახვევი (ნარკოლოგიის ინსიტუტის შესასვლელი), თბილისის ზღვაზე მაშველთა კორპუსის ეზოს, ანაპის დივიზიის, ხუდადოვის ქუჩა, სპორტკომპლექს „შატილის“ მიმდებარე ტერიტორია.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის გლდანის ზონაში – შეშელიძის, ხიზანიშვილის, ანდრონიკაშვილის, ფოცხიშვილის და სარაჯიშვილის ქუჩების. მინდელის სახელობის და გლდანის ხიდების. ავჭალის ხიდების და მასთან მისასვლელების. თიანეთის გზატკეცილის,

პანდუსები და გლდანის ხიდები, გობრონიძის ქუჩა, მუხიანი-თემქის გადასასვლელი, დუმბაძის, ლიბანის, ფეიქრების ქუჩა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის დიდუბის ზონაში – წერეთლის გამზირის, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის, ვ. ბაგრატიონის, ქუთაისის, სამტრედიის, რობაქიძის, დ. ყიფიანის (დიდუბის), ახმეტელის, ცაბაძის, მიქელაძის, ჭიაურელის, ბელიაშვილის, აგლაძის, დიდუბის, თევდორე მღვდლის ქუჩების. წერეთლის გამზირის №35-ის, იაშვილის სახ. კლინიკის ეზოს. ღუდუშაურის სახ. კლინიკის ეზოს, ვ. ბაგრატიონისა და შალიკაშვილის სახ. ხიდების პანდუსების. დიღმის მასივის დასახლების, თევდორე მღვდლის, ვანის, ბათუმის და ნონეშვილის ქუჩების.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ჩუღურეთის ზონაში – დადიანის, ხუდადოვის, ოთარ ქინქლაძის, ცხრა ძმის, მნათობის, არდონის, ართვინის, ცაიშის, გუმათის, ჩეჩელაშვილის, ბაგრატიონის, როსტოვის და ლალიონის ქუჩის, ნორიოს აღმართის, ტუბ. დისპანსერის ეზოს, კუკიის სასაფლაოს გასწვრივ (უსახელო ქ.), აფხაზეთის ქ-ის I შესახვევის, ნორიოს აღმართი, ტერენტი გრანელის №6-ის მიმდებარე ტერიტირია.

ძველი თბილისის რაიონში – კოჯრის გზატკეცილის, წურწუმიას, ირბახის, კოსტავას, ჭანტურიას, პეტრიაშვილის, მარჯანიშვილის, ნინოშვილის, ჯავახიშვილის, ჩუბინაშვილის, ფიროსმანის, წინამძღვრიშვილის, ლერმონტოვის, ლეონიძის, ინგოროყვას, ჭონქაძის, კაკაბაძის. ძმები ზუბალაშვილების, ჩიტაიას, ჩიქობავას, ტერენტი გრანელის, მარჯანიშვილის (სპორტულ მაღაზიასთან) ბელინსკის, ჭოველიძის, ძმები კაკაბაძეების, ბარნოვის, რჩეულიშვილის, გოგებაშვილის, ფხოვის, ფურცელაძის, უშანგი ჩხეიძის, ამაღლების, კოჯრის, ათონელის, ქიქოძის, ჩაიკოვსკის, ლადო ასათიანის, კეკელიძის, თაბუკაშვილის, გოგებაშვილის, იერუსალიმის, ცაბაძის, უზნაძის ქუჩების. აღმაშენებლის გამზირის, მელიქიშვილის გამზირის, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, აღმაშენებლის გამზირის, ვარაზის ხევის მარჯანიშვილის მოედნის. რიყის ტერიტორიის, გმირთა მოედანი, მეტეხის ხიდის მარჯვენა და მარცხენა ტროტუარი. კოლმეურნეობის მოედნის. თაბუკაშვილის და ფურცელაძის ქუჩების გადაკვეთის. „ავლაბრის“ შადრევნის მიმდებარე ტერიტორიის. რუსთაველის გამზირის (იმელის შენობასთან.), კოლმეურნეობის მოედანი, კრილოვის, რეზიდენციასთან მისასვლელი გზის.

დიდგორის რაიონში – სოფელ ტაბახმელას, ოქროყანას და წავკისის ქუჩების, თბილისი-ოქროყანა-ტაბახმელას გზის (ფუნიკულიორის გადასახვევამდე). ტაბახმელას ცენტრალური გზის, ტაბახმელას ცენტრალური გზიდან ეკლესიასთან მისასვლელი გზის. შინდისის ცენტრალური გზის, წყნეთი-ახალდაბას ცენტრალური გზის, წყნეთში სტალინის ქუჩის, წყნეთში სტალინის ქუჩისა და რუსთაველის ქ-ის შეერთების. კოჯორში ვაჟა ფშაველას, ბარათაშვილის, ორბელიანის, გორკის ქუჩების.

ქვაფენილის მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები შესრულდა ვარაზის ხევის, ჭავჭავაძის, იალბუზის, ჯავახიშვილის, გრიბოედოვის, ჟანრი კალანდაძის, ლესელიძის, კოჯორის, ლეონიძის, ბელინსკის, გრუზინსკის, მნათობის, ბეჟანიშვილის, ჟღენტის, ბენდელიანის, ღრმაღელის ქუჩების. ელბაქიძის და ღვინის აღმართის, აბაშიძის, გლინკას, ორთაჭალის, კოტე აფხაზის და აბესაძის კუთხის კვეთაზე, ვარდების რევოლუციის მოედნის, ასკურავას, ლიახვის, გუდამაყრის, კალანდარიშვილის, ლეჩხუმის, წნორის, ლერმონტოვის, მიტროფანე ლაღიძის, კოსტავას, კერესელიძის ქუჩის და მანჯგალაძის შესახვევის. საერთო ფართობით – 15 165 კვმ

აღდგენილი გზის საფარის ხარისხის კონტროლს 2010 წლის №010201/30/826-1 ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს შპს “ლაბორატორია”.

2010 წელს შეძენილია 6,702.8 ათასი ლარის ღირებულების 4 815 ტონა ბიტუმი.

საბურთალოს ქუჩის რეკონსტრუქციის გამო შენობების დემონტაჟისათვის გაიცა კომპენსაცია.

2010 წლის განმავლობაში გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მომზადდა საპროექტო დოკუმენტაციები, რომლის ღირებულებამ შეადგინა – 410.6 ათასი ლარი.

● **„სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების“ პროგრამა (01 02 02) - დაფინანსდა 5,403.3 ათასი ლარით** (გეგმა- 5,404.9 ათასი ლარი):

დედაქალაქის ტერიტორიულ (ადმინისტრაციულ) საზღვრებში ქუჩებზე, მოედნებზე, მაგისტრალებზე, სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები:

დამონტაჟდა ახალი ან შეიცვალა ძველი, მწყობრიდან გამოსული 3571 ცალი საგზაო ნიშანი, მათ შორის, 1794 ინდივიდუალურ სადგარზე დამონტაჟდა 2080 ცალი, საერთო ღირებულებით 378.6 ათასი ლარი, შესრულებული სამუშაოები მთლიანად დაფინანსებულია.

დატანილია დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ერთკომპონენტიანი საღებავით 73947.62კვ.მ. ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა, ღირებულებით 624.8 ათასი ლარი.

დატანილია ქუჩებისა და მაგისტრალების მიმდებარედ არსებულ საინჟინრო ნაგებობებზე, თვალამრიდებზე და ბორდიურებზე 403710 კვ.მ. ვერტიკალური საგზაო მონიშვნები, ღირებულებით 177.6 ათასი ლარი.

დატანილია დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და მაგისტრალებზე თერმოპლასტით და ცივი პლასტით 31500.32 კვ.მ. ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა, აღებულია 16840 კვ.მ ძველი საღებავი, საერთო ღირებულებით 2020.6 ათასი ლარი.

დამონტაჟებულია 50 ცალი მიმართულების წინასწარი მაჩვენებელი ნიშანი, ღირებულებით 537.94 ათასი ლარი;

მომზადდა საავტობუსო მარშუტების ცნობარის ციფრული ვერსია, ღირებულებით 13.97 ათასი ლარი;

მომზადდა ჭავჭავაძის გამზირზე, ფალიაშვილისა და აბაშიძის ქუჩებზე განთავსებული 19 შუქნიშნის ობიექტის საგზაო მოძრაობის მართვის საერთო საქალაქო ავტომატიზებულ სისტემაში ჩართვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით 110.0 ათასი ლარი;

დამონტაჟდა 2600 გრძივი მეტრის სიგრძის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირების ხელოვნური დაბრკოლებები (ბორცვები), ღირებულებით 195.0 ათასი ლარი;

დამონტაჟდა 600 ცალი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოქნილი ბოძები (ბოწკონტები) და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 689 ცალს, საერთო ღირებულებით 4.4 ათასი ლარი;

დამონტაჟდა შუქნიშნის 14 ახალი ობიექტი, აქედან 3 ობიექტი მოციმციმე რეჟიმზე მომუშავე. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 37 ობიექტს, დამონტაჟდა 125 ცალი შუქნიშნის სიგნალების ხანგრძლივობის ათვლის ხელსაწყო (წამზომი), საერთო ღირებულებით 364.4 ათასი ლარი;

განხორციელდა დედაქალაქში არსებული შუქნიშნის ობიექტების და საგზაო ნიშნების მოვლა-შენახვისა და საექსპლუატაციო სამუშაოები, ღირებულებით 310.5 ათასი ლარი;

გაკეთდა, ქუჩებისა და მაგისტრალების გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების სავალი ნაწილიდან მოცილებით 825 ჯიბე, აქედან ერთადგილიანი კონტეინერებისთვის 608 ცალი, ორადგილიანისათვის 207 ცალი და სამადგილიანისათვის 10 ცალი, საერთო ღირებულებით 198.7 ათასი ლარი;

მომზადდა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულებათა წინასწარი მაჩვენებლის პროექტი (50 ცალი ნიშნისათვის), ღირებულებით 38.2 ათასი ლარი;

მომზადდა ქ. თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე დასამონტაჟებელი 10 შუქნიშნის ობიექტის პროექტი და არსებული შუქნიშნების რეორგანიზების 40 ობიექტის სქემა. ღირებულებით 20.0 ათასი ლარი;

ჩაუტარდა რეკონსტრუქცია პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის (მარჯვენა) სანაპიროსა და გმირთა მოედნიდან ჩამომავალი უსახელო ქუჩის გადაკვეთაზე არსებულ გზაჯვარედინს, მოეწყო უსაფრთხოების კუნძულები ფიზკულტურის ქუჩისა და ვახუშტი ბაგრატიონის მარჯვენა პონდუსების გადაკვეთაზე, საერთო ღირებულებით 245.2 ათასი ლარი;

ჩაუტარდა ექსპერტიზა გზაჯვარედინის მოწყობის შესრულებულ სამუშაოებს, ღირებულებით 0.67 ათასი ლარი;

მოეწყო პარკინგები, ასევე გაუკეთდა რეკონსტრუქცია ანაპის დივიზიისა და თბილისის ზღვიდან ჩამომავალი უსახელო გზის გადაკვეთაზე არსებულ გზაჯვარედინს და კუკიის სასაფლაოს ცენტრალური შესასვლელის წინ არსებულ მოედანს, საერთო ღირებულებით 153.7 ათასი ლარი;

შუქნიშნების მუშაობის რეჟიმების არსებულ საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ნაკადებთან შესაბამისობის გამოსაკვლევად, ასევე შემოსული განცხადებისა და წერილების მიხედვით სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა ნაკადები შესწავლილ იქნა 150 ობიექტზე. ახალ რეჟიმზე გადაყვანილია შუქნიშნის 16 ობიექტი.

შეთანხმებულ იქნა დედაქალაქის ქუჩებისა და მაგისტრალების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვითად მოსიარულეთა ნაკადების მოძრაობის ორგანიზაციის 130 სქემა.

შესრულდა სამუშაოები შუქნიშნის შემდეგ ობიექტებზე : პეკინი-მიცკევიჩი, პეკინი-ცინცაძე, პეკინი-მიროტაძის ქუჩების გადაკვეთაზე დამონტაჟდა საგზაო მოძრაობის მართვის ავტომატური სისტემები და დიოდური მიმმართველი ისრები, ხოლო პაიჭაძის ქუჩისა და რობაქიძის გამზირის გადაკვეთაზე დიოდური მიმმართველი ისრები, საერთო თანხით 57,1 ათასი ლარი.

მოსახლეობის მოთხოვნის და ცხელ ხაზზე შემოსული ინფორმაციების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, წლის განმავლობაში ავტობუსების მარშრუტებში მიმდინარეობდა სისტემატური ცვლილებები, საანგარიშო პერიოდის ბოლოს ავტობუსის (M3 კატეგორია) მარშრუტებში ქ. თბილისის მთავრობის 29 ოქტომბრის №29.11.1323 და №29.13.1323 დადგენილებებით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

გაუქმდა– №5, 8, 13, 30, 32, 35, 52, 54, 57, 58, 63, 64, 67, 74, 76, 81, 83, 89, 93, 96, 97, 98, 100, 105, 111, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 123, 125 მარშრუტები (სულ 35 ერთეული);

კორექტირება განიცადა– №1, 2, 6, 11, 12, 16, 17, 25, 28, 34, 36, 39, 43, 44, 48, 50, 55, 56, 62, 68, 70, 71, 72, 75, 79, 80, 86, 88, 90, 92, 94, 99, 102,106, 107 მარშრუტებმა (სულ 35 ერთეული);

დაწესდა – 2 ახალი მარშრუტი;

№140 – ბარათაშვილი ქ. – რუსთაველის გამზირი – ვაკე – თამარაშვილის ქ. – ვაჟა-ფშაველას გამზირი – ქავთარაძის ქ. – ჯიქიას ქ. (10 დ/ბოგდანი);

№150 – ბარათაშვილის ქ. – რუსთაველის გამზირი – კოსტავას ქ. – ვაჟა-ფშაველას გამზირი – სანდრო ეულის ქ. – სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი (10 დ/ბოგდანი);

გატარებული ცვლილებების შედეგად დამტკიცდა ავტობუსების 92 მარშრუტი, ყოველდღიურად (სამუშაო დღეს) მომუშავე 476 ერთეულით.

2010 წლის განმავლობაში დედაქალაქში მოქმედებდა ქალაქ.თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ივლისის №8-42 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ავტობუსის M2 კატეგორიის (მიკროავტობუსების) მარშრუტების სქემები (202 მარშრუტი 2245 ყოველდღიურად მომუშავე მოძრავი შემადგენლობით).

მოქმედი მარშრუტების ბაზის გათვალისწინებით, სამარშრუტო სქემის ოპტიმიზაციის მიზნით შემუშავდა M2 კატეგორიის (მიკროავტობუსების) მარშრუტების ახალი სქემა. მგზავრთნაკადის სიმცირის გამო გაუქმდა 18 მარშრუტი, რომლებიც წლის განმავლობაში უკვე აღარ ფუნქციონირებდა (№8, 9, 12, 13, 18, 25, 64, 98, 114, 116, 124, 154, 165, 182, 185, 187, 206, 213). ასევე, დედაქალაქის სხვადასხვა უბნების სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით და მოქალაქეთა მოთხოვნების საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა 42 ერთეული მიკროავტობუსის მარშრუტის დაწესება, სადაც გათვალისწინებულ იქნა დედაქალაქის ტერიტორიული საზღვრების გაზრდის შედეგად შემოერთებულ რეგიონებში 16 ერთეული მარშრუტის მუშაობა. აგრეთვე სქემაში გათვალისწინებულ იქნა მიკროავტობუსების 27 წრიული

მარშრუტი (№10, 15, 20, 21, 24, 39, 44, 56, 59, 63, 71, 78, 86, 89, 128, 130, 134, 142, 164, 179, 184, 209, 210, 223, 224, 225, 226).

გარდა აღნიშნულისა, გარკვეულ მარშრუტებს, რომლებიც თვითნებურად აკეთებდნენ პარკირებას სხვადასხვა ადგილებზე, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე მიეჩინათ შესაძლო ერთიანი ბოლო გაჩერებები, ასეთი გადანაწილება მოხდა: გლდანის, მუხიანის, თემქის, ვაზისუბნის დასახლებებში და მინდელის ქუჩაზე. დანარჩენ შემთხვევებში, მოძრაობის სწორი ორგანიზაციისა და მგზავრთა მოთხოვნების შესაძლო გათვალისწინებით 96 მარშრუტის მოძრაობის სქემაში განხორციელდა ცვლილებები.

ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 2 დეკემბრის №32.01.1496 დადგენილებით M2 კატეგორიის (მიკროავტობუსის) ავტობუსების მარშრუტების სქემით დამტკიცდა 226 მარშრუტი მასზე ყოველდღიურად მომუშავე 2464 ერთეულით მოძრავი შემადგენლობით.

ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 06 დეკემბრის №33.02.1507 დადგენილებით გამოცხადდა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსი 5 ლოტზე, შესაბამისი რაოდენობის მოძრავი შემადგენლობით:

– ვაკე-საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე – 554 ერთეული ყოველდღიურად მომუშავე ა/ს საშუალება;

– ძველი თბილისი – დიდგორის რაიონის ტერიტორიაზე – 342 ერთეული ყოველდღიურად მომუშავე ა/ს საშუალება;

– დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე – 488 ერთეული ყოველდღიურად მომუშავე ა/ს საშუალება;

– გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე – 535 ერთეული ყოველდღიურად მომუშავე ა/ს საშუალება;

– ისანი-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე – 545 ერთეული ყოველდღიურად მომუშავე ა/ს საშუალება.

● **,,მოძრავი შემადგენლობის ვაგონების მოდერნიზაციის პროგრამა“ (01 02 03):**

მეტროს მოძრავი ვაგონების მოდერნიზაციის პროგრამით მოდერნიზებულია 11 ვაგონი, მათ შორის 5 შუა და 6 სათაო ვაგონი, სულ დაფინანსებამ შეადგინა 6,732.7 ათასი ლარი.

● **,,ქ. თბილისის მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია მშენებლობა“ (01 02 05):**

დამთავრდა მეტროს სადგურ „დიდუბის“ კაპიტალური შეკეთება, შესრულებული სამუშაო დაფინანსებულია 726.3 ათასი ლარით.

● **,,სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია“ (01 02 06):**

აღნიშნული პროგრამიდან 2010 წელს საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მგზავრობის რეგულირებადი ტარიფის შენარჩუნებისათვის შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” მიერ გაწეული საექსპლოატაციო ხარჯები დაფინანსებულია 35,450.0 ათასი ლარით. 2010 წელს გადაყვანილია ავტობუსებით 62.4 მლნ მგზავრი და მეტროთი 78.9 მლნ მგზავრი.

● **თბილისის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის საჭირო საქმიანობები** – (01 03) დაფინანსებულია 3,482.3 ათასი ლარით შემდეგ ღონისძიებებზე:

● **ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (01 03 01)** – 929.4 ათასი ლარით (გეგმა 929.4 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 15 პროექტი. ამასთან, დაბრუნებულია 2010 წელს საგარანტიო უზრუნველყოფისათვის გადარიცხული თანხიდან 205.6 ათასი ლარი.

● **პროგრამა ,,თბილისი – შესაძლებლობათა ქალაქი” (01 03 02)** – 96.2 ათასი ლარით (გეგმა 96.3 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში გაწეულია მასალების თარგმანის მომსახურების, 230 ცალი ტურისტული სუვენირის შეძენის, 1700 ცალი ფლეშ-მეხსიერების შეძენის, თბილისის საიმიჯო ჩანთების და სტიკერების შეძენის, 1500 ცალი თბილისის საიმიჯო მაისურის შეძენის, 2 ცალი

შტენდერის შეძენის, 55 ცალი სიგელი ჩარჩოს შეძენის, 500 ცალი ,,თბილისის საცალო ვაჭრობის ბაზრის კვლევის" ბეჭდვის, "დამზადებულია თბილისში" ბეჭდვის, 2000 ცალი ტურისტული გზამკვლევის ,,საქართველოს ნაციონალური მუზეუმები" ბეჭდვის, 5000 ცალი ტურისტული ბროშურის "თბილისი ფეხით" ბეჭდვის, 5000 ცალი "თბილისის შემოგარენის ტურისტული მარშრუტები" ბეჭდვის, 3000 ცალი ტურისტული გზამკვლევი მასალების და 800 ცალი კვლევის მასალების ბეჭდვის, ქ. კრაკოვში "თბილისის დღეები"-ს ფარგლებში ქართული სამზარეულოს მოწყობის, წარმოებისა და კულტურის სფეროში ,,ხარისხის ნიშნით" დაჯილდოების ღონისძიების მუსიკალური გაფორმების, თბილისის ახალი ლოგოს დაპატენტების ხარჯები და სხვა.

● **თბილისი შეხვედრების ადგილი (01 03 03)** – 150.3 ათასი ლარით (გეგმა 151.6 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გეოსაინფორმაციო სისტემებში პროგრამული მომსახურების უზრუნველყოფა. მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში ,,CTF", საერთაშორისო გამოფენაში "ავეჯის, ინტერიერის დიზაინისა და აქსესუარების მე-2 საერთაშორისო გამოფენა", სამედიცინო ტექნოლოგიების, ლაბორატორიული აღჭურვილობის, სტომატოლოგიის, ფარმაცევტიკის და ოპტიკის მე-10 საერთაშორისო გამოფენაში, ჩატარდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-4 საერთაშორისო ფორუმის ღონისძიება, კონფერენცია – ,,ენერგოეფექტურობა-ბიზნესი ყველასათვის", სემინარი – "რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლი ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში", კონფერენცია – "ქალაქის განვითარების სტრატეგია", კონფერენცია – "საავტომობილო გზები და მიწისქვეშა კომუნიკაციები", შეხვედრა-სემინარი "MODEL – ენერგეტიკასთან დაკავშირებული საკითხების მართვა ადგილობრივ თვითმმართველობაში", "SEMISE"-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებული საკომუნიკაციო სემინარი, ღონისძიება – "ევროპის ღია დღეები–თბილისის კონკურენტული უპირატესობანი", "მერების შეთანხმებაზე" მიერთების ღონისძიება. ამასთან, გადახდილ იქნა ICLEI-ის საწევრო გადასახადი. გაწეულია კონკურსის "თბილისის კოქტეილი", საერთაშორისო გზავნილების, წარმოებისა და კულტურის სფეროში "ხარისხის ნიშნით" დაჯილდოების ღონისძიების, უცხოელი ბიზნესმენი სტუმრების სადილითა და ვახშმით გამასპინძლების, საქართველო-საბერძნეთის ერთობლივი კონფერენცია – "სოციალური პოლიტიკა და ადგილობრივ თვითმმართველობა"-ში მონაწილე სტუმრების საექსკურსიო მომსახურების ხარჯები, პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯები, დიზაინის მომსახურების ხარჯები, სინქრონული თარგმანით მომსახურების ხარჯები და სხვა.

● **თბილისი საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე (01 03 04)** – – 588.5 ათასი ლარით (გეგმა 588.5 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე თბილისის მერიის მონაწილეობის ორგანიზებისა და საგამოფენო მასალების მომზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ამასთან, გაწეულია 1000 ცალი ფლეშ-მეხსიერების შეძენის და 2000 ცალი თბილისის საიმიჯო მაისურის შეძენის ხარჯები.

● **მსოფლიო ბანკის პროექტის ,,თბილისის სტრატეგია" თანადაფინანსება (01 03 05)** – 30.9 ათასი ლარით (გეგმა 30.9 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა კვლევის "თბილისის სტრატეგია" მომზადებაში მონაწილეობა, ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტაციის შედგენა. ამასთან, გაწეულია "თბილისის სტრატეგიის" დოკუმენტის შემუშავების პროცესში საექსპერტო-დიაგნოსტიკური მომსახურების, მასალების მოძიება-დამუშავების მომსახურების და 200 ცალი სტრატეგიის მასალების ბეჭდვის ხარჯები.

● **მოქალაქეთა გადამზადების კურსები (ინგლისური, კომპიუტერი) (01 03 07)** - 1,687.0 ათასი ლარით (გეგმა 1,687.4 ათასი ლარი). გადამზადების კურსები გაიარა 26298 მოქალაქემ, მათ შორის, კომპიუტერის კურსები 16075 მოქალაქემ, ინგლისურის კურსები 10223 მოქალაქემ. კურსდამთავრებულებიდან დასაქმდა 27 კაცი ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით დაფინანსებულ პროექტებში. პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა ინგლისური სახელმძღვანელო სამუშაო რვეულით (6050 წიგნი და 1750 რვეული), 22 ცალი

კომპიუტერული ტექნიკა, 80 ცალი მინი ცენტრი, 5 ცალი პროექტორი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ინგლისური და კომპიუტერული უნარ-ჩვევების შემსწავლელი კურსების ორგანიზების მიზნით 5 ცალი კომპიუტერული ტექნიკა, 56000 ცალი პოლიეთილენის პარკი წარწერით, 51272 ცალი საწერი კალამი წარწერით, 59000 ცალი ბლოკნოტი წარწერით. გაცემულ იქნა 3 პროგრამის კოორდინატორის, ინგლისურის და კომპიუტერის პედაგოგების (წლის დასაწყისში 342 და წლის ბოლოს 190 პედაგოგი) შრომის ანაზღაურება. მომზადდა ელექტრონული საინფორმაციო ბაზა. ამასთან, გაწეულია ელექტრონული საინფორმაციო ბაზის მომსახურების, დარბაზის მომსახურების, მოქალაქეთა რეგისტრაციის, პედაგოგთა ტრეინინგის, II და III ეტაპის ინგლისურის სასწავლო მასალისა და პროგრამის შერჩევასთან დაკავშირებული კონსულტაციების, პროექტში მონაწილე მოსახლეობისათვის (21180 მოქალაქე) ინფორმაციის მისაწოდებლად საკურიერო მომსახურების, ბეჭდვითი მომსახურების (ინგლისურის და კომპიუტერის სერტიფიკატები, ბლანკები, კონვერტები, საინფორმაციო ბუკლეტი), პროექტში მონაწილე მოსახლეობისათვის მასალების ასლების გადაღების (12500 ცალი ფერადი, 20000 ცალი შავ-თეთრი), საკანცელარიო საქონლის შეძენის ხარჯები.

გარე განათებისა და სხვა კეთილმოწყობის ღონისძიებები (01 04). პროგრამის 2010 წლის გეგმა 80,777.7 ათასი ლარი, დაფინანსებულია 80,685.1 ათასი ლარით (შესრულება – 99.9%), მათ შორის:

- **გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (01 04 01**) – გეგმა 16,575.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 16,575.0 ათასი ლარით (შესრულება – 100.0%) - გლდანის VI და VIII მ\რ-ის მიმდებარე დასახლების, სოფ. გლდანის და თიანეთის გზატკეცილის, მაისურაძის ქუჩიდან შემოვლით ტრასამდე, გლდანის VII მ\რ-თან, აგარაკების, სოფ. გლდანთან, მუხიანსა და თემქას შორის სამხედრო დასახლების. სოფ. გიორგიწმინდის და ცენტრალური გზის, ნავსადგურის მისასვლელი გზის, ლილოს დასახლება №15, ლილოში „ფირუზას დუქნის“ მიმდებარე ტერიტორიის და კახეთის გზატკეცილის – ლილოს ბაზრობიდან ლოჭინის ხევამდე, თბილისის ზღვის შემოვლითი და თბილისის ზღვის გარშემო გზების, პატარა ლილოდან ვარკეთილის მეურნეობამდე გზის და კუპრაძის ქუჩის მარცხენა მხარეს, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთი და ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის – ქინძმარაულის შესახვევიდან გარდაბნის გზატკეცილამდე, მუხიანის აგარაკების, მუხათგვერდის გზის და დასახლების, აღმაშენებლის ხეივანზე, ტურბაზის, აგრარული უნივერსიტეტის, 192-ე საჯარო სკოლის და ფილიალის, დ/დიღმის I,II,III და IV მ\რაიონების, დაბა კიკეთის, სოფელ დიდგორის და მისასვლელი გზა, სოფ. თელოვანის და მისასვლელი გზის, გორგასლის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა შესახვევების, ზემო ფონიჭალის კორპუსებთან, სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან და გზის – ფონიჭალის ტეკიდან ზემო ფონიჭალის დასახლებამდე. ვაშლიჯვრის IIIა ზონიდან ნუცუბიძის III მ/რაიონამდე (ინტენსიფიკაციის) გზის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია; ისანი–სამგორის რაიონში ქუჩებისა და სკვერების გაუნათებელი მონაკვეთების, სამხედრო ქალაქის, სამგორის ჩიხების, მოსკოვის გამზირის ეზოების, ქ. წამებულის №69-71 ეზოს, ლერწმის ქუჩის, საექიმოს №42 და გასასვლელების, ციხისძირის ქუჩის, ქიზიყის ქუჩის გაგრძელება, კაიროს ქუჩის საერთო საცხოვრებელთან და კახეთის ჩიხის, ავჭალა 1 და ავჭალა 2 აგარაკების, გლდანი-ნაძალადევის რაიონის ქუჩებისა და სკვერების გაუნათებელი მონაკვეთების, წყალსადენის ქუჩის, გლდანი-მუხიანის გზის ხევძმარას ხევში, ბარალეთის ქუჩის, სანერგე მეურნეობის დასახლების, ხუდადოვის ჩიხის, ავშნიანის დასახლების, ანაპის დივიზიის შესახვევისა და ივერთუბნის. ავჭალის დასახლების II რიგის, ბარისახოს, სხვიტორის, ხანძთელის ქუჩების, ლიბანის ქუჩების ჩიქვანაიას I და IV ჩიხის, ანდრონიკაშვილის III შესახვევის, II, IV და V ჩიხები, ზაჰესის II რიგის, მეტეხის გვირაბის გარე განათების ქსელის.

ერისთავის ქუჩის, წერეთლის გამზირის მარჯვენა მხარე ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩის და რკინიგზის ხაზს შორის არსებული ქუჩების, შესახვევების და ეზოები, ლუბლიანას ქუჩის და შესახვევების, გამოტოვებული ქუჩების, შესახვევების, ეზოების და სკვერების, ვაშლიჯვარის III

მ\რ ,,ა" ზონა, დაბა წყნეთის, ბაგების მშენებარე დასახლების, დაბა წყნეთის მიმდებარე დასახლების და დიდგორის რ-ნის გამოტოვებული ქუჩების და დასახლების.

გარე განათების ქსელი მოეწყო დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის მიმდინარე ტერიტორიაზე, №35-ე საფეხბურთო სკოლის მოედანზე. ამაღლების ქუჩაზე №12 სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

განხორციელდა გარე განათების ქსელის დარჩენილი სანათი წერტილების რეკონსტრუქცია წავკისის აგარაკებზე და ოქროყანაში-ფუნიკულიორის ზემო პლატოს დასახლება.

მხატვრული მინათება გაუკეთდა რუსთაველის გამზირის №12, 18, 20, 23, 32, 34, 36, 38, 40-ში მდებარე შენობა-ნაგებობებს. წერეთლის №44-ში მდებარე დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარს, თაბორის მთაზე მდებარე'ფერიცვალების ეკლესიას, საქართველოს საპატრიარქოს გალავანს, საპატრიარქოს ეზოში დამონტაჟდა დეკორატიული გაზონის სანათები.

განათების ქსელის ექსპლუატაცია-რეაბილიტაცია მიმდინარეობს შემსყიდველის მიერ მიწოდებული სანათებით. ელექტროდამზოგი სანათი წერტილების გამოყენება შეამცირებს ელენერგიის მოხმარებული სიმძლავრეების ხარჯებს.

● **სანიაღვრე ქსელის ექპლოატაცია (01 04 02)** – გეგმა 2,104.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,102.9 ათასი ლარით (შესრულება – 99.9%). ქალაქის სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაციასა და მცირე კაპიტალურ შეკეთებაზე ბიუჯეტში გათვალისწინებული გეგმა შეადგენს 2,104.1 ათას ლარს. დაფინანსებულ იქნა – 2,102.9 ათასი ლარით.

ქ. თბილისის სანიაღვრე მეურნეობა მოიცავს 551 კმ. სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელებს, რომლებზეც მოწყობილია 61 სათავე ნაგებობა, 2043 გვერდმიმღები, 11726 წვიმმიმღები და საკონტროლო ჭა. მიწისქვეშა გადასასვლელების 146 საკონტროლო ჭა.

ჩატარდა სანიაღვრე ქსელების საექსპლუატაციო და პროფილაქტიკური სამუშაოები. კერძოდ, სანიაღვრე ქსელებზე დაზიანებული მონაკვეთების აღდგენით სამუშაოები და ჩარჩო-ცხაურების და ხუფების მონტაჟი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1,296.9 ათასი ლარი. შესყიდულ იქნა ექსპლუატაციისათვის საჭირო 139.0 ათასი ლარის ღირებულების მასალები.

შესყიდული იქნა ქ. თბილისში, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაციისათვის საჭირო ტექნიკა. კერძოდ, სანიაღვრე საკანალიზაციო ჭების კომბინირებული საწმენდი და ექსკავატორ–დამტვირთველი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა – 479.6 ათასი ლარი.

სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელებს ჩაუტარდა 187.4 ათასი ლარის ღირებულების მცირე კაპიტალური შეკეთებები, შემდეგ მისამართებზე: რჩეულიშვილის ქუჩა №17; ყიფშიძის ქუჩა №8 ; სარაჯიშვილის ქუჩა №5; დავით აღმაშენებლის გამზირი №184; დოლაბაურის ქუჩა №20; წერეთლის გამზირი №49-51; ბეჟანიშვილი ქუჩა №8; კეკელიძის ქუჩა №15; მუხიანის მ/რ მე-10 კორპუსი; სარაჯიშვილის გამზირი (თბილღვინო); დადიანის ქუჩა (მეტროსადგურ ნაძალადევთან); გვაზაურის ჩიხი, სათავე ნაგებობის რეკონსტრუქცია; ვაჟა-ფშაველას პირველი ჩიხი №3; შირაქის ქუჩა №12–14; შავნაბადასთან მიმსავლელ გზაზე არსებული სათავე ნაგებობის გადახურვა; გორგასლის ქუჩაზე იუსტიციის სამინისტროს მიმდებარედ არსებული სანიაღვრე ქსელის შეკეთება.

● **ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (01 04 03)** - გეგმა 8,052.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 8,041.8 ათასი ლარით (შესრულება – 99.9%).

პროგრამის ფარგლებში ხდება დედაქალაქის გაფორმება დღესასწაულებისთვის, ეროვნული და სხვადასხვა ღონისძიებების თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა. დედაქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმება თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით ეროვნული დღესასწაულებისა და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა იწვევს ესთეტიურ სიამოვნებას არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობაში, არამედ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებშიც.

ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2010 წლის შობა-ახალი წლის ღონისძიებები. შობა-ახალი წლის სადღესასწაულო ღონისძიებების დასრულების შემდეგ დედაქალაქის ტერიტორიაზე მოწყობილი საილუმინაციო კონსტრუქციების, სამი ცალი ნაძვის ხის და სხვა ატრიბუტების დემონტაჟისა და დემონტირებული მასალის დასაწყობება.

ქ. თბილისში, სადღესასწაულო და სხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებებისათვის მოეწყო სასცენო კონსტრუქციები და პოდიუმები, უზრუნველყოფილ იქნა ბიოტუალეტებით მომსახურება, პიროტექნიკური (ფოიერვერკი) მომსახურება, რკინის დამცავი (შემზღუდავი) ჯებირების გაწყობა-ალაგება, გახმოვანების საკონცერტო აპარატურით მომსახურება, პირდაპირი სატელევიზიო ტრანსლაცია, ფოიერვერკის პროგრამით მომსახურება, სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძებების დიდი მონიტორით, ელექტროენერგიით და დიზელგენერატორით მომსახურება, მიუზიკლის „ვერის უბნის მელოდიების“ სასცენო დეკორაციებით უზრუნველყოფა, „თბილისობა 2010“-თან დაკავშირებით ფიროსმანის ფერწერული ტილოების მიხედვით დეკორაციების დამზადება, მონტაჟი-დემონტაჟი, ჰელიუმით შევსებული ბუშტები და სხვა. გარდა ამისა, სარიტუალო თაიგულებითა და გვირგვინებით მომსახურება.

დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მოეწყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების ნუგზარ შატაიძის, „ალექსანდრე ბასილაიას და ნიკო გომელაურის საფლავი. საბურთალოს სასაფლაოზე მოეწყო ჭიჭიკო ბენდელიანის საფლავი. ვერის ბაღში მოეწყო 1921 წელს დაღუპულ იუნკერის შალვა ერისთავის საფლავი. უზრუნველყოფილი იქნა გამოჩენილი ქართველი პოეტის, საზოგადო მოღვაწის მუხრან მაჭავარიანის გადასვენება 21 მაისს ი. აბაშიძის ქ. №48-დან სამების საკათედრო ტაძარში და 22 მაისს ტაძრიდან მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში გადასვენება-დაკრძალვა. შესყიდული იქნა საფლავების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია, აღნიშნული პროექტებით საფლავების მოწყობის სამუშაოები.

ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, „წმინდა გიორგის“ ქანდაკების პიედესტალს, ვაკის პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავის მემორიალურ კომპლექსს, მელიქიშვილის გამზირზე მდებარე გიორგი ცაბაძის ძეგლის პიედესტალს და ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის პიედესტალს ჩაუტარდა გაწმენდა-რესტავრაციის სამუშაოები. განხორციელდა გრიბოედოვის ქუჩიდან 9 აპრილის ბაღში მიხაი ზიჩის ძეგლის გადატანა, აეროპორტის შესახვევთან მონუმენტის „კაცი და მზი“-ს რესტავრაცია, შავთელის ქუჩზე მარიონეტების კოშკის გახსნის ცერემონიის ორგანიზება

ქ. თბილისში, 26 მაისს პარლამენტის შენობის მიმდებარედ ჩასატარებელი აღლუმისათვის შეძენილი იქნა 430 ცალი ქოლგა, აღლუმის ჩატარებისთვის პარლამენტის შენობის 12 თაღში დამონტაჟდა ნაბეჭდი ბანერები შესაბამისი კონსტრუქციით, გმირთა მოედანზე დიდების მემორიალის გახსნისათვის მოწესრიგდა დიდების მემორიალის ტერიტორია, მემორიალზე ამოიკვეთა დაღუპული გმირების გვარ–სახელები, მომზადდა ალუმინის კაფსულა გმირულად დაღუპულთა 3 400 გვარის მითითებით;

26 მაისს ყვავილების დღესასწაულისათვის დამზადდა ბეჭდური მასალა და მსუბუქი რეკვიზიტები.

განხორციელდა ქ. თბილისის საერთაშორისო ფოტოფესტივალის' თბილისი – 2010 და პროექტის "მასმოდა – 2010" ტექნიკური უზრუნველყოფა.

სმენადაქვეითებულთა სილამაზის კონკურსთან დაკავშირებით, მშვიდობის ხიდზე მოეწყო საგრიმიორო – სკამებით, სარკეებითა და ტანსაცმლის საკიდებით. დიდ საკონცერტო დარბაზში განხორციელდა ღონისძიებების უზრუნველყოფა პროექციებისათვის საჭირო კონსტრუქციებითა და შესაბამისი ეკრანით.

1993 წელს ხობის მოედანზე სახალხოდ დახვრეტილი ჟურნალისტის, დავით ბოლქვაძის სახელის უკვდავსაყოფად, გამრეკელის ქუჩაზე მდებარე მისი საცხოვრებელი სახლის ფასადზე დამონტაჟდა მემორიალური დაფა.

დამზადდა და დამონტაჟდა არამ ხაჩატურიანის, რუბენ მამულიანის, ლევონ, რუბენ და იოსებ ორბელების, ლეონ ისეცკის და ვახტან ჭაბუკიანის ბინა-მუზეუმის. ილია ლაღიძის, მუხრან მაჭავარიანის, ნოდარ ამაღლობელის და 1937 წელს რეპრესირებულების მემორიალური დაფები

დამზადდა და შესაბამის ქუჩებზე დამონტაჟდა ქუჩების სახელწოდებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები. სხვადასხვა ადგილებში გამოიცვალა დაზიანებული ბანერები. განხორციელდა სახელმწიფო დროშების გაკიდება-მოხსნის მომსახურება.

ნორიოს აღმართზე №54-ში, უსახური კედლის დაფარვისა და თანამედროვე დიზაინით გაფორმების მიზნით განთავსდა მხატვრული პანო, დამცავი რკინის საზურგით, აგრეთვე აეროპორტის მისასვლელთან უსახური შენობის დასაფარად განხორციელდა პანოს მონტაჟი.

შეძენილი და დამონტაჟებული იქნა ურბანული ფურნიტურები და საბავშვო მოედნების კომპლექტები.

„თბილისობა 2010“-ის დღესასაწაულთან დაკავშირებით მოეწყო გიგანტური საწნახელი, შეძენილ იქნა 7 ტონა ყურძენი, მოწესრიგდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ტივის გასაშვები ადგილი და მისი მიმდებარე ტერიტორია. დედაქალაქის სხვადასხვა ადგილებში მოეწყო პავილიონები და სხვადსხვა ტიპის კონსტრუქციები.

დედაქალაქში 2011 წლის საახალწლო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად შეძენილი იქნა ილუმინაციები და გარე მოხმარების ორი ცალი ნაძვის ხე. განხორციელდა საახალწლო პავილიონების მონტაჟი მხატვრული მინათებით, თავისუფლების მოედანზე „წმინდა გიორგის“ მონუმენტის სვეტზე მოეწყო დეკორატიული ნაძვის ხე. ქალაქის სხვადასხვა ადგილებში დამონტაჟდა მერიის საკუთრებაში არსებული საახალწლო ნაძვის ხეები.

მთაწმინდის პარკში მოეწყო ყინულის მოედანი, შეძენილ იქნა სასრიალო ციგურები. შეკეთდა მწყობრიდან გამოსული ყინულის მწარმოებელი დანადგარი.

დამზადდა სხვადასხვა საახალწლო ღონისძიებების დეკორაციები. 2010 წლის 31 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე განხორციელდა საახალწლო გალა კონცერტის ლაზერული პროექციით მომსახურება.

● **მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა (01 04 04)** – გეგმა 513.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 513.0 ათასი ლარით (შესრულება – 100.0%).

დასრულდა 2009 წელს დაწყებული, კონსტიტუციის ქუჩის ბოლოს ე.წ. "ბნელი ხიდის" კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, ღირებულებით – 439.5 ათასი ლარი.

განხორციელდა მიწისქვეშა გადასასვლელების კოსმეტიკური რემონტი, ღირებულებით – 73.5 ათასი ლარი.

● **ფასადების შეკეთების სამუშაოები (01 04 05)**

– გეგმა 14.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 14.4 ათასი ლარით (შესრულება 100.0%).

პროგრამიდან განხორციელდა ნორიოს აღმართის №54ა-ში მდებარე (პოლიციის შენობის მიმდებარედ) საცხოვრებელი სახლის ფასადის სამღებრო სამუშაოები.

● **ქალაქგამწვანების ღონისძიებები (01 04 06)**

გამწვანების№ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული 12,020.2 ათასი ლარიდან, შესრულდა 11,965.7 ათასი ლარის სამუშაოები (შესრულება 99.5%).

გამწვანების ღონისძიებებიდან სისტემატიურად ხორციელდება ქალაქის გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, აღნიშნულ ღონისძიებებზე მიმდინარე წლის განმავლობაში სამუშაოები შესრულდა 1,826.3 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე სხვადასხვა ახალი მწვანე თარგების მოწყობა და ერთჯერადი დაუგეგმავი გამწვანების ღონისძიებები დაფინანსდა 5,408.0 ათასი ლარის ოდენობით.

დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და მცენარეთა ფიტო-სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩატარებული იქნა ხე-მცენარეების მავნებელ-დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური (შეწამვლითი) ღონისძიებები, რითაც მნიშვნელოვნად გადახალისდა

დედაქალაქის მწვანე საფარი. ასევე გასამწვანებელი ტერიტორიების და შემოსატანი ნიადაგის სტრუქტურის საველე და ლაბორატორიული კვლევის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები დაფინანსდა 130.1 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის მწვანე საფარის გაზრდა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიწმინდოს თბილისის საჰაერო აუზი. რისთვისაც წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სეზონური რგვები. ამისთვის მაღალდეკორატიული მერქნიანი ხე-მცენარეების, ბუჩქების და ყვავილების შეძენის ღონისძიებები დაფინანსდა 683.9 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობების გასაუმჯობესებლად, სხვადასხვა სკვერების მოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 2,437.5 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებული ბაღ-პარკების, სკვერების და გაზონების გამწვანება-გადახალისების, დაზიანებული და განადგურებული ტერიტორიების აღდგენის მიზნით სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გამდიდრება მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის და თანამედროვე ტექნოლოგიებით გამოყვანილი რულონური გაზონის დაგების ღონისძიებები დაფინანსდა 744.5 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებული შემოსასვლელების, შემოგარენის, სანაპიროების, მწვანე საფარის, ბაღების, პარკების, სკვერების, მოედნების, გაზონების, ფერდობებისა და ყვავილნარებისათვის სარწყავის-სამელიორაციო სისტემების დაგეგმარება და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად სხვადასხვა ობიექტებზე ახალი თანამედროვე სარწყავი სისტემის მოწყობა-მშენებლობის და სარეკონსტრუქციო ღონისძიებები დაფინანსებული იქნა 735.4 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდება მცენარეთა განვითარების ფენოლოგიური ფაზების მიხედვით, რითიც გაიზრდება შესრულებული სამუშაოების ხარისხი, შენარჩუნებული იქნება ათასობით ხე-მცენარე, შედეგად გაუმჯობესდება მცენარეთა ფიტო-სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობა. მნიშვნელოვნად გადახალისდება დედაქალაქის მწვანე საფარი. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიწმინდოს თბილისის საჰაერო აუზი.

720.0 ათასი ლარი გადარიცხული იქნა ძველი თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდისათვის.

სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებები (01 04 07) – გეგმა 41,498.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 41,472.4 ათასი ლარით (შესრულება – 99.9%).

2010 წლის განმავლობაში რეგულარულად განხორციელდა ვაზიანის რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის, თვალჭრელიძისა და ელბაქიძის ქუჩებზე მდებარე მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობების სასაწყობო ბაზების მოვლა-პატრონობა და დაცვის მომსახურება. მაწანწალა უზედამხედველო ცხოველების დაჭერა და ვეტერინარული ზედამხედველობა.

განხორციელდა ქვემო ფონიჭალის დასახლებაში მდებარე, კეთილმოწყობის სამსახურის კუთვნილი სასაწყობო მეურნეობის მოწესრიგების ღონისძიებები. საახალწლო ღონისძიების ფარგლებში ხელოვნური ნაძვის ხის კონსტრუქციების, სხვადასხვა საახალწლო აქსესუარების დემონტაჟი, ტრანსპორტირება ქვემო ფონიჭალის და ლილოს სასაწყობო მეურნეობებში, თითოეული მათგანის შეფუთვა და დასაწყობება. „თბილისობა-2010“-ის ღონიძიებისათვის საჭირო ინვენტარის გადაზიდვა-მოწყობა.

წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო ინფრასტრუქტურის სადღეღამისო დაცვის მომსახურება.

აღდგენილი იქნა დაზიანებული ლითონის მოაჯირები: მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე – საცურაო აუზ "ლაგუნა ვერეს" მიმდებარე ტერიტორიაზე, მრგვალი ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, შალიკაშვილის სახელობის ხიდზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე – რესტორან "ლორდის" მოპირდაპირე მხარეს, ალექსეევკის დასახლებაში რკინიგზაზე გადასასვლელ ხიდზე, შალიკაშვილის ხიდის მიმდებარედ, მდ. დიღმულას ხიდზე, ბარათაშვილის სახელობის ხიდზე, დიღომი-გლდანის დამაკავშირებელი ხიდზე. გაიწმინდა მეტეხის ხიდის ქვის მოაჯირი და შეიღება თუჯის მოაჯირი. მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე აღდგენილი იქნა დაზიანებული დეკორატიული ბაზალტის სვეტები და მოაჯირები, განხორციელდა ორხევის დასახლებაში №156 სკოლის მიმდებარედ არსებულ ხიდზე მოაჯირის მონტაჟი, აგრეთვე არსებულ ხიდებზე და გზა–გამყოფებზე (კუნძულები) განხორციელდა ლითონის დამცავი ჯებირების აღდგენა–დამზადება.

კახეთის გზატკეცილზე რძის კომბინატ "სანტეს" მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელში დამონტაჟდა მეტალის გისოსები და კარებები. ყიფშიძის ქუჩაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში აღდგენილი იქნა დაზიანებული კიბის მარშები, სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის მიმდებარედ მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში განხორციელდა მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები.

რეგულარულად მიმდინარეობდა ქ. თბილისში მდებარე შადრევან-აუზების მოვლა–პატრონობის (ექსპლუატაციის) ღონისძიებები, ქვეწარმავლების დაჭერა, დაუსახლებელ ადგილებში გაყვანა. ტერიტორიების შეწამვლა რეპელენტით ქვეწარმავლების დასაფრთხობად,

ორ ეტაპად განხორციელდა და არ დასრულებულა მაწანწალა უზედამხედველო ცხოველებისათვის თავშესაფრის მშენებლობა.

სარემონტო სამუშაოები შესრულდა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე მშვიდობისა და განვითარების აკადემიის შენობაში არსებულ საერთაშორისო ახალგაზრდულ ცენტრში, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე №18-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობაში. ვარკეთილის III, მასივის ზემო პლატოზე მდებარე №20 კორპუსზე (პანელების შემაერთებელი დეტალების), საქართველოს კანცელარიის შენობის წინ არსებულ მოედნზე მოეწყო სტილიზებული მოაჯირი. ''ფერიცვალების'' სახელობის ტაძარში განხორციელდა მოპირკეთების სამუშაოები. სახელმწიფო კანცელარიასთან, მონუმენტის მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყო ბაზალტისა და გრანიტის ფილებით.

ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის ძეგლის მიმდებარედ მდებარე შადრევან აუზს გაუკეთდა თერმოიზოლაცია, ქ. თბილისში, ვაკის პარკში მდებარე შადრევანის აუზში აღდგენილ იქნა გრანიტის ფილები.

2010 წლის 20 მაისიდან დაიწყო და რეგულარულად განხორციელდა მეტეხის გვირაბისა და იქ.განთავსებული სავენტილაციო დანადგარების მოვლა-პატრონობა.

მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო ინფრასტრუქტურის სადღეღამისო დაცვა, სხვადასხვა სახის მატერიალური ფასეულობების დემონტაჟი, შეფუთვა, ტრანსპორტირება, გადაზიდვა, დასაწყობება, აგრეთვე, ღონისძიებების ელექტროენერგიისა და მარადიული ცეცხლი „ერთიანი საქართველოსათვის“ გაზის ღირებულების დაფარვა.

განხორციელდა ქვემო ფონიჭალის დასახლებაში მდებარე სამსახურის კუთვნილი სასაწყობე ბაზის გადახურვა, დარაჯის სათვალთვალო 2 ცალი ჯიხურის რემონტი და საწყობში ლითონის თაროების, კარებების და ლითონის ტიხრების დამზადება-მონტაჟი, თვალჭრელიძის ქ. №17-ში მდებარე მაწანწალა ცხოველების თავშესაფრისათვის ელ. ენერგიის კვანძის მოწყობა და აბონენტად მიერთება, თავშესაფრის გაზმომარაგების პროექტის შედგენა.

პროექტის „დაგეგმე შენი ქალაქის ბიუჯეტი“ განსახორციელებლად შეძენილ იქნა ლამინატის, ორგმინის და რკინის ფურცლოვანას გამოყენებით 27 ცალი ყუთი, მონტაჟის მომსახურებით. აგრეთვე შეძენილ იქნა 71 ცალი პლასტმასის ბარიერი და სამი ცალი საკონტროლო თაღი.

38,500.0 ათასი ლარი გადარიცხული იქნა ძველი თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდისათვის.

ავარიული შენობებისა და სხვა ნაგებობების გამაგრების, რეკონსტრუქციისა და სარემონტო სამუშაოები (01 05):

ხარჯები დაფინანსებულია 107,832.8 ათასი ლარით (გეგმა 108,019.0 ათასი ლარი, შესრულება – 99.8%), მათ შორის:

● **ავარიული შენობების გამაგრება (01 05 01)** – 2010 წლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 64,921.9 ათასი ლარი, დაფინანსებულია 64,904.0 ათასი ლარით. (შესრულება 100.0%). აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები შესრულდა შემდეგ ობიექტებზე: ნუცუბიძის მე 4 მ/რ. 3 კვარტ. კორპ. №13; ნუცუბიძის ქ..№77 ბ-ში მდებარე სახლის აივნები; ნუცუბიძის მე 4 მ/რ. 3 კვარტ. კორპ. №14; თემქის III მ/რ, IIკვ. კ.-30 (III ეტაპი); თემქის IV მ/რ, კ.-5-ა (II ეტაპი); ვარკეთილი-3, II მ/რ, კ.-17 (II ეტაპი); ვარკეთილი-3, I მ/რ, კ.-8; დ. გამრეკელის ქ. №6; პეკინის ქ. (გამსახურდიას გამზ.) №43; მგალობლიშვილის ქ. №3; ჭონქაძის ქ. №14; ბაგების დასახლება, კორპ. №2; თემქის III მ/რ V კვ. №9 კორპუსი; ვარკეთილი-3, II მ/რ, კ.-2 (III რიგი) ; ვარკეთილი.-3, IV მ/რ, №421; ღოღობერიძის ქ. №6 (II ეტაპი); დ. გამრეკელის №7; ხვიჩიას ქ. №36–40 ; ვარკეთილი 3, I მ/რ, №3 კორპუსი; ვარკეთილი 3, III-ა მ/რ, №338 კორპუსი; ვარკეთილის ზემო პლატოს, II მ/რ, №27 კორპუსი; მუხიანის დასახლების IV-ა მ/რ, №3 კორპუსი; ქინძმარაულის შეს. №3 კორპუსი; კახეთის გზატ. №49-ში მდებარე სასაწყობო მეურნეობის ავარიული ნაგებობა; ზაქარიაძის ქ. №3; გამსახურდიას ქ. №36 (II ეტაპი); ვარკეთილი მესამე მასივის, მე-3 კვ-ში მდებარე №12 კორპუსი; ვარკეთილი-3, III მ/რ. კორპ. №314-ის; 57,995.0 ათასი ლარი გადარიცხული იქნა ძველი თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდისათვის.

● **საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის პროგრამა (01 05 02)** – პროგრამისათვის 2010 წლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 42,482.4 ათასი ლარი, დაფინანსებულია 42,314.2 ათასი ლარით (შესრულება 99.6%).

2010 წელს დაიწყო და 2011 წელს დასრულდება გლდანი-ნაძალადევის რაიონში, სანიაღვრე კოლექტორების – „დიდი ხევძმარა“ და „პატარა ხევძმარა“ მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოები.

საპატრულო პოლიციის სამმართველოს ნარკოლოგიურ ცენტრთან მოეწყო საყრდენი კედელი და კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია. სანიაღვრე ქსელები მოეწყო შემდეგ მისამართებზე: აწყურის ქ. კორპუსი №4-4-ა; ჯავახეთის ქ. №1-3-5-29; ვარკეთილი-3, I მ/რ, კორპ. 6; ვარკეთილი-3, III მ/რ, კორპ. №319-I; ვარკეთილი-3 IV მ/რ კორპუსი №423; ვარკეთილის ზემო პლატო კორპუსი №5; დიღმის მასივი VI კვ. კორპუსი №7; ჩოლოყაშვილის ქ–ზე მშენებარე აუზის მიმდებარედ; პეკინის ქ. კორპ. №24 (დ. გამრეკელის შესახვევი); ყიფშიძის ქ. №6; ფალიაშვილის ქ. №55; ფალიაშვილის ქ. №72; ბაგების დასახლება, კორპ. №2; სანზონის დასახლება, კორპ. №26; მუხიანის IV მ/რ კორპუსი №3; ირ. აბაშიძის №42; მუხიანის II მ/რ, კორპუსი №13; გლდანის "ა" მ/რ კორპუსი №48 ; გლდანის VII მ/რ კორპუსი №21; მიცკევიჩის ქ. კორპ. №4; ყაზბეგის გამზ. №1; კეკელიძის ქ. №7; ვაჟა-ფშაველას გამზირი კორპუსი №20; სამტრედიის 24-26 (სამტრედიისა და აგლაძის ქ. გადაკვეთა); დიღმის მასივი IV კვ. კორპუსი №14; დიღმის მასივი, II კვარტალი, კორპუსი №12; ახმეტელის ქ.№4-6-8; ლიბანის ქუჩისის მიმდებარედ შეკეთდა და გაიწმინდა ჯაჭვის ხევის სანიაღვრე კოლექტორი. აღდგენილი იქნა კახეთის გზატკეცილზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ დაზიანებული წყალშემცველი კომუნიკაციების ქსელი. ნუცუბიძის III მ/რ-ში შალვა ნუცუბიძის სახელობის სკვერის მიმდებარედ დაზიანებული სანიაღვრე კოლექტორი, ნუცუბიძის IV მ/რ-ში №36 კორპუსის მიმდებარედ დაზიანებული სანიაღვრე კოლექტორი. სოფელ დიღომში მოეწყო მილის ხევის კალაპოტი და გადასასვლელები. გურამიშვილის გამზირის №17ა-ში განხორციელდა არსებული კოლექტორის გამაგრება.

საყრდენი კედლის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები შესრულდა მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩაზე (ელბაქიძის აღმართი).

ქ. თბილისში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში სამაშველო სამსახურის გადაუდებელი სამედიცინო სასწრაფო დახმარების შენობასთან მოეწყო ღობე.

ნუცუბიძის III მ/რ-ში, შალვა ნუცუბიძის სახელობის სკვერის მიმდებარედ სტიქიური მოვლენები შედეგად დაზიანდა ახლადაღდგენილი სანიაღვრე კოლექტორი და განხორციელდა მისი ხელახალი აღდგენა. მოეწყო 35 ცალი ფეხით მოსიარულეთათვის გდასასვლელი მეტალის ხიდი და ხიდების კიბეებზე ეტლებისათვის მიმმართველები. მდინარე დიღმულაზე შეკეთდა საავტომობილო ხიდი, აღდგენა-რეაბილიტაცია ჩაუტარდა ანდრონიკაშვილის ქუჩაზე მდებარე ხიდს.

2010 წელს დაიწყო დავით აღმაშენებლის ძეგლთან საავტომობილო გვირაბის მშენებლობა.

განხორციელდა კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის „კოლხური კოშკის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი. 34,550.0 ათასი ლარი გადარიცხული იქნა ძველი თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდისათვის.

● **უკანონო ნაგებობის დემონტაჟი (01 05 03)** – დაფინანსებულია 399.2 ათასი ლარით (გეგმა 399.2 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში განხორციელდა კაპიტალური კონსტრუქციების დემონტაჟი 5123 კვ.მ; უსახური და უნებართვოდ განთავსებული ჯიხურების დემონტაჟი და გადატანა 2139 კვ.მ; ცხაური ტიპის ნაგებობის დემონტაჟი 2015 კვ.მ, მსუბუქი კონსტრუქციების დემონტაჟი 612 კვ.მ, მარტივი ტიპის ღობეების მოხსნა 10211 კვ.მ, ამასთან, 5 შენობა-ნაგებობას მდგრადობის შემოწმების მიზნით ჩაუტარდა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა.

● **საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა (01 05 04)** 2010 წლის გეგმით გათვალისწინებული 215.5 ათასი ლარი, დაფინანსებულია 215.5 ათასი ლარით (შესრულება 100.0%).

საანგარიშო პერიოდში მომზადდა 130.7 ათასი ლარის ღირებულების ავარიული შენობების აღდგენა-გამაგრების, 59.0 ათასი ლარის ღირებულების სანიაღვრე ქსელების და საყრდენი კედლების მოწყობის და 28.8 ათასი ლარის ღირებულების ხიდებისა და გვირაბების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია.

● **,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გავითარების ხელშეწყობის პროგრამა“ (01 06)** 2010 წლის შედეგების მიხედვით ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფაქტობრივმა ხარჯმა 26,029.2 ათასი ლარი შეადგინა. გაწეული ხარჯიდან 946.0 ათასი ლარი ,,საქონელი და მომსახურება“-ზე მოდის, მათ შორის: ბმა თავმჯდომარეებისათვის ჩატარებული სემინარების ხარჯი - 136.6 ათასი ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება – 327.8 ათასი ლარი, პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯი – 42.2 ათასი ლარი, კონკურსის – ,,თბილისის საუკეთესო ეზოს“ ორგანიზება და ჩატარება – 6.4 ათასი ლარი, ოფისის ხარჯი – 7.7 ათასი ლარი, სხვა დანარჩენმა ხაჯები – 425.3 ათასი ლარი. სხვა ხარჯებიდან – 22.210.0 ათასი ლარიდან, 15.504.0 ათასი ლარი მიმდინარე ხარჯებია, ხოლო – 6.706.0 ათასი ლარი კაპიტალური ხარჯი (მოდერნიზებულ იქნა 528 ლიფტი). მიმდინარე ხარჯებიდან ბმა თავმჯდომარეების წახალისებაზე დახარჯულია – 4.284.3 ათასი ლარი; უშუალოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსებაზე – 11.205.6 ათასი ლარი (ლიფტების შეკეთება – 1.918.5 ათასი ლარი (შეკეთდა 579 ლიფტი); სახურავების შეკეთება – 7.968.8 ათასი ლარი (შეკეთდა 962 სახურავი); შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობა – 870.5 ათასი ლარი (430 ობიექტზე); მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირება – 69.8 ათასი ლარი (180 ობიექტზე დაფიქსირდა წითელი ხაზები), წყალსაწრეტი მილების შეკეთება – 215.3 ათასი ლარი (შეკეთდა 240 ობიექტი); სადარბაზოს კარების შეცვლა – 24.1 ათასი ლარი (შეიცვალა 45 მეტალის კარი); მიშენების კონსტრუქციების მდგრადობის განსაზღვრა – 64.8 ათასი ლარი (27 ობიექტზე); სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია – 27.6 ათასი ლარი (14 ობიექტზე), სადარბაზოების შიდა რემონტი – 46.0 ათასი ლარი (გარემონტდა 18 ობიექტი)). კონკურსში ,,თბილისის

საუკეთესო ეზო“ გამარჯვებული ამხანაგობების დაფინანსებაზე დახარჯულია – 14.0 ათასი ლარი.

ამას გარდა, ლიფტების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ფინანსური აქტივებიდან მოსახლეობაზე უპროცენტო და უზრუნველყოფის გარეშე, სესხის სახით გაცემული იქნა 2,873.3 ათასი ლარი. პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისის მერია თავიდანვე იხდის ლიფტის ღირებულების 100%-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით მოსახლეობას ეძლევა საშუალება ოთხი წლის განმავლობაში, განვადების სისტემით, ეტაპობრივად დააბრუნოს გადახდილი თანხის 30%.

ურბანული პროგრამები: (01 07)

● **დედაქალაქის ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის არსებული უძრავი ქონების აზომვითი სამუშაოების (01 07 01)** 2010 წლის გეგმა 76.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 76.4 ათასი ლარით, საიდანაც განხორციელდა 8433670 კვ.მ. მიწის ნაკვეთების ტოპოგრაფიული გადაღება და საკადასტრო აზომვა – 42,2 ათასი ლარის ღირებულებით, 22033438 კვ.მ. მიწის ნაკვეთების გამიჯვნა – 22,0 ათასი ლარის, ხოლო 81632,33 კვ.მ. შენობა – ნაგებობის აზომვა – 12,2 ათასი ლარის ღირებულებით;

● **გასხვისებული ქონების ქალაქის საკუთრებაში დაბრუნების პროგრამის (01 07 02)** გეგმა 84.0 ათასი ლარი დაფინანსდა მთლიანად.

● **ქონების აუდიტორულ შეფასებაზე (01 07 03) დაიხარჯა 2.8 ათასი ლარი.** განხორციელდა 1186060,65 კვ.მ. მიწის ნაკვეთს ღირებულებითი შფასება, რომელმაც შეადგინა 0,06 ათასი ლარი; 134512,42 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ღირებულებითმა შეფასებამ – 2,0 ათასი ლარი; 33 ერთეული გარე განათების ბოძის ღირებულებითმა შეფასებამ – 0,02 ათასი ლარი; 5039034,02 ლარის (მოძრავი და არამატერიალური) ქონების ღირებულებითმა შეფასებამ – 0,8 ათასი ლარი.

● **,,ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე” (01 07 04)**

პროგრამის გეგმამ შეადგინა 15,720.1 ათასი ლარი, მთლიანად დაფინანსდა. გამოსყიდულია 8970 კვ.მ მიწა, შემდეგი სამშენებლო კომპანიებიდან, მათ შორის: შპს ,,არსი” – 3,043.3 ათასი ლარი, გამოსყიდულია 1478 კვ.მ; შპს ,,აქსისი პალასი” – 2,249.3 ათასი ლარი, გამოსყიდულია 1302 კვ.მ; შპს ,,ეუბე ჯორჯია” – 2,893.2 ათასი ლარი, გამოსყიდულია 1498 კვ.მ; სს. ,,პარკ-პლეისი” – 454.0 ათასი ლარი, გამოსყიდულია 322 კვ.მ; შპს ,,ორთაჭალის ტურფა” – 7,080.3 ათასი ლარი, გამოსყიდულია 4370 კვ.მ.

დასუფთავების ღონისძიებები (01 08):

● **ქ.თბილისის დასუფთავების პროგრამისათვის (01 08 01)** – 2010 წლის გეგმამ შეადგინა 48970.9 ათასი ლარი. საკასო ხარჯია 48970.6 ათასი ლარი, საიდანაც ტენდერში გამარჯვებულ მუნიციპალურ საწარმო შპს ,,თბილსერვის ჯგუფს“ გადაერიცხა 35655.5 ათასი ლარი, რომელიც ახორციელებდა დედაქალაქში მუნიციპალური მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების დაგვა-დასუფთავების, შიდა კვარტალური ქუჩების და ეზოების, ხევების, ფერდობების, მიწისქვეშა გადასასვლელების დაგვა-დასუფთავებას და ძეგლების მოვლა-პატრონობის, მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, შეგროვებული ნარჩენების ღია ნაგავსაყრელებამდე ტრანსპორტირებას, ხოლო ზამთარში თოვლცვენისა და ყინვის პერიოდში სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე (ცენტრალური, წყნეთის, კოჯრის, ფუნიკულიორის, ოქროყანის, ელიას, თბილისის ზღვის მისასვლელი და სხვა ქუჩები და გზები) ტექნიკური მარილის მოყრას (დედაქალაქში იგვება და სუფთავდება 887 ქუჩა, საერთო ფართით – 8933080კვ.მ, 752 ერთეული შიდა კვარტალური ეზო – 4065900კვ.მ, 66 ხევი და ფერდობი სულ 644000 კვ.მ, 25 ერთეული ძეგლი და 52 მიწისქვეშა გადასასვლელი 14040 კვ.მ ფართით).

ზამთარში თოვლცვენისა და ყინვების დროს დედაქალაქის ინფრასტრუქტურის, სტრატეგიული და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების უწყვეტი ფუნქციონირების მიზნით შეძენილ იქნა 725.7 ათასი ლარის ღირებულების 3.0 ათასი ტონა ტექნიკური მარილი.

ამავე პერიოდში, შპს ,,თბილსერვის ჯგუფს“ ქ.თბილისის მთავრობის შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე გადაერიცხა 11703.7 ათასი ლარი კაპიტალის გაზრდის მიზნით, საიდანაც 1000.0 ათასი ლარი მოხმარდა ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენას, ხოლო 10703.0 ათასი ლარი კი ახალი ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობას, რომელიც ფუნქციონირებას შეუდგა 2010 წლის 15 ნოემბერს. ახალი პოლიგონის ფუნქციონირებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დედაქალაქში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა. დაიხურა ძველი ნაგავსაყრელი პოლიგონები და ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციები 2011 წელს განახორციელებენ დახურვა-რეკულტივაციისათვის საჭირო სამუშაოებს.

დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღებასთან დაკავშირებით (ქვითრების ბეჭდვა, დარიგება აბონენტებისათვის, სისტემის ფუნქციონირების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა, კორპორაციული ქსელის მომსახურება, აბონენტთა მომსახურება) გადაირიცხა 885.7 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში ტარდება მუდმივი მონიტორინგი, ქ.თბილისის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების გაუვნებლობის და ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ქ. თბილისის მთავრობის შესაბამისი დადგენილებით შპს “თბილსერვის ჯგუფს” გადაეცა 20271კვმ მიწის ნაკვეთი ბელიაშვილის ქუჩა №25-ში, სადაც აშენდა თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შენობა-ნაგებობა, ნაგავგადამტვირთი სადგური, სარემონტო საამქროს მშენებლობამ საგრძნობლად გააუმჯობესა მანქანების და სპეცტექნიკის ტექნიკური მომსახურება, ასევე მოეწყო სპეციალური სათავსები და ოთახები. ბაზის ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მომსახურება გამარტივდა და გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა (აღნიშნულ ობიექტზე განთავსდა გლდანი-ნაძალადევის, დიდუბე-ჩუღურეთის და ვაკე-საბურთალოს დასუფთავების განყოფილებები). მნიშვნელოვნად შემცირდა ისეთი ხარჯების გაწევა, როგორიცაა საიჯარო გადასახადი.

● **,,ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლის” პროგრამით (01 08 02)** – 2010 წლის გეგმა შეადგენს 1,160.0 ათას ლარს, საიდანაც გაწეულია 1,160.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რომელიც მოხმარდა ღია ნაგავსაყრელ პოლიგონებზე შეზიდული მუნიციპალური მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების დაგვა-დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების გაუვნებელყოფას და მათი ტერიტორიების დაცვას. მათ შორის პოლიგონების დაცვის მომსახურებას – 81.1 ათასი ლარი, იაღლუჯის ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლას 342.3 ათასი ლარი, გლდანის ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლას კი 735.1 ათასი ლარი. პოლიგონებზე ხდება ნარჩენების მიწის ფენილით გადაფარვა-დატკეპნა, სისტემატურად ტარდება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ასევე ტერიტორიისა და ტექნიკის სადეზინსექციო და სამრეცხაო სამუშაოები. არაფინანსური აქტივების მუხლი დაფინანსდა 1.4 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები (01 09) 2010 წლის ბიუჯეტით განისაზღვრა 27,089.4 ათასი ლარით, ფაქტობრივმა ხარჯებმა შეადგინა 27,057.2 ათასი ლარი. მათ შორის:

● **სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნეების სკრინინგის პროგრამა (01 09 01)** – დაფინანსებულია 1,100.0 ათასი ლარით. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია სტაციონარული სამედიცინო მომსახურება, მათ შორის: სარძევე ჯირკვლის მამოგრაფია – გამოკვლევა ჩაუტარდა თბილისში რეგისტრირებულ 40-დან 70-წლამდე საშუალოდ დღეში 20-40 ქალს. საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა – გამოკვლევა ჩაუტარდა თბილისში რეგისტრირებულ 25-დან 60 წლამდე საშუალოდ დღეში 20-40 ქალს.

● **სამხედრო ძალებში გასაწვევად მოზარდთა სამედიცინო შემოწმების პროგრამა (01 09 02)** – დაფინანსებულია 55,5 ათასი ლარით, პროგრამით გათვალისწინებულია 17-18 წლამდე ასაკის ჭაბუკებისა და რეზერვისტების აღრიცხვაზე აყვანასთან დაკავშირებით სამედიცინო შემოწმების მიზნით ექიმთა ჯგუფის ხელფასების გაცემა;

● **,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა" (01 09 03)** – 11,733.0 ათასი ლარით. მათ შორის ხარჯები გაწეულია სამედიცინო მომსახურებაზე (სამედიცინო პერსონალის ხელფასები),

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებისათვის საწვავის შესაძენად, მედიკამენტების შესაძენად.

● **გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა (01 09 04)** 399.9 ათასი ლარით; პროგრამით გათვალისწინებულია გადამდებ დაავადებათა რეგისტრაცია, იდენტიფიცირება, ადგილობრივი და შემოტანილი შემთხვევების შესწავლა, დაავადების გამომწვევი მიზეზების დადგენა, დროული ეპიდღონისძიებების გატარება, მ.შ. პროფილაქტიკური აცრების და კონტაქტირებულებში ლაბორატორიული კვლევისა და პროფილაქტიკური მკურნალობის ორგანიზება;

● **სამედიცინო დაზღვევის პროგრამა (01 09 05)** – 12,135.6 ათასი ლარით; სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფილი იქნა 96878 ბენეფიციარი, მათ შორის: (საბავშვო ბაგა-ბაღების, ხელოვნების სკოლების პედაგოგები, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის, ფოლკლორის სასახლის, პანთეონების, საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის თანამშრომლები, 9 აპრილს დაზარალებულები, სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები) – 45770 ბენეფიციარი, თითოეულს 15-ლარიანი; 37381 ბენეფიციარი 6-ლარიანი, 13727 ბენეფიციარი 7-ლარიანი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიით;

● **წინამდებარე ჯირკვლის ქირურგიული მკურნალობის პროგრამა (01 09 06) პროგრამა** – 126,1 ათასი ლარით; დაფინანსებულია 114 ბენეფიციარის ოპერაცია.

● **თვალის დაავადებათა ოპერაციული მკურნალობის პროგრამა (01 09 07)** – 263.3 ათასი ლარი; დაფინანსებულია კატარაქტის 618 ოპერაცია (ერთეულის ღირებულება შეადგენს – 280 ლარს), გლაუკომის 69 ოპერაცია (ერთი ოპერაციის ღირებულება შეადგენს 180 ლარს), სიელმეზე ოპერაციული მკურნალობა ჩაუტარდა 19 ბენეფიციარს (ოპერაციის ღირებულება შეადგენს – 265 ლარს), წინასწარი გამოკვლება ჩაუტარდა 16 ბენეფიციარს; გლაუკომასა და კატარაქტაზე გამოკვლევა ჩაუტარდა 3 პაციენტს.

● **ჩიყვის ქირურგიული მკურნალობის პროგრამა (01 09 08)** – 155.3 ათასი ლარით; დაფინანსებულია 129 ბენეფიციარის ოპერაციული მკურნალობა.

● **ნუშურა ჯირკვლების და ადენოიდების ქირურგიული მკურნალობის პროგრამა (01 09 09)** - 270,5 ათასი ლარით; დაფინანსებულია 1418 ბენეფიციარის ოპერაციული მკურნალობა;

● **გრიპის ეპიდემიასთან ბრძოლის პროგრამა (01 09 10)** – 817,9 ათასი ლარით; ხარჯები გაწეულია გრიპის შემთხვევების დროს ბინაზე უფასო სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად, რაც ითვალისწინებს პოლიკლინიკების თანამშრომლებზე (თერაპევტი, პედიატრი, ოჯახის ექიმი) ხელფასზე დანამატის გაცემას (60 პირველადი ჯანდაცვის ობიექტის 730 ექიმზე) და პოლიკლინიკების ხელშეწყობას;

სოციალური დაცვის პროგრამები (01 10) – 2010 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით განისაზღვრა 75,353.1 ათასი ლარი, ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 75,312.3 ათასი ლარი.

სოციალური პროგრამები დაფინანსდა შემდეგნაირად:

● **,,სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის კომუნალურ და საკომუნიკაციო გადასახადებზე დახმარების პროგრამა" (01 10 01)** – 6,016.7 ათასი ლარით; პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის (32459 ოჯახი) კომუნალური გადასახადების თანაგადახდის სახით ერთჯერადი მატერიალური დახმარების დარიცხვას სულადობის შესაბამისად, ასევე საკომუნიკაციო გადასახადის თანაგადახდის სახით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას თითოეული ოჯახისათვის 25 ლარის ოდენობით;

● **,,სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (01 10 02)** – 2,143.6 ათასი ლარით (გეგმა – 2,144.6 ათასი ლარი);

პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაცემას 20 ლარის ოდენობით. დახმარება გაეწია მრავალშვილიანი ოჯახის 7000 ბავშვზე.

● **სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების ,,ახალშობილთა" პროგრამა (01 10 03)** - 97,1 ათასი ლარით; დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 99 ოჯახს.

● **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სამკურნალო რეაბილიტაციის (დახმარების) პროგრამა (01 10 04)** – 313,2 ათასი ლარით; ხარჯები გაწეულია ქ. თბილისში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად დაუცველი 20 წლამდე ასაკის ბავშვების საჭირო საკურორტო-სამკურნალო მომსახურებით უზრუნველყოფაზე (საგზურების შესაძენად);

● **,,100 წელს მიღწეულ მოქალაქეთა სოციალური დახმარების პროგრამა" (01 10 05)** - 14,6 ათასი ლარით (გეგმა – 14,6 ათასი ლარი); პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას 100 წელს მიღწეული ხანდაზმულებისათვის 400 ლარის ოდენობით (დახმარება გაეწია 18 ხანდაზმულს) და ასევე სოციალურად დაუცველი 100 წელს მიღწეული ხანდაზმულთა ოჯახებისათვის (ოჯახის სარეიტინგო ქულა 70000-ზე დაბალი) – 600 ლარის ოდენობით (დახმარება გაეწია 9 ხანდაზმულს);

● **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისის მიწოდების პროგრამა (01 10 06)** – დაფინანსებულია 1,577.5 ათასი ლარით. პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სერვისები: უფასო სწავლება სამუსიკო სკოლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში, სპორტულ სკოლებში (492 ბავშვი), უმაღლესი სასწავლებლების ფასიან სექტორზე ჩარიცხვის შემთხვევაში ხელშეწყობა (400 სტუდენტი) და ქ. თბილისში მცხოვრები პენსიონერებისათვის სამგზავრო ბარათების დასამზადებლად, რაც დაფინანსებულია – 302,8 ათასი ლარით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაწეულია ხარჯები ასევე პლასტიკური ბარათების გაცემის სერვის ცენტრებში მომუშავე შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისათვის – 47,4 ათასი ლარი;

● **სოციალურ საკითხებზე ინფორმაციული უზრუნველყოფის პროგრამა (01 10 07)** – 38,0 ათასი ლარით; ხარჯები გაწეულია ხელშეკრულებით აყვანილი 5 თანამშრომლის ხელფასების გასაცემად, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით ყოველდღიურ შეხვედრებს მოქალაქეებთან, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და სხვადასხვა სახის კონსულტაციის გაწევას.

● **უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსების პროგრამა (01 10 08)** 10,0 ათასი ლარით; სარიტუალო მომსახურება გაწეული იქნა 89 უპატრონო მიცვალებულის დასაკრძალავად.

● **ყრუ ინვალიდთათვის თარჯიმან-დაქტოლოგების მომსახურებით უზრუნველყოფის (დახმარების) პროგრამა (01 10 09)** – 17,6 ათასი ლარით; ხარჯები გაწეულია ქ. თბილისში მცხოვრები 1000 ყრუ ინვალიდისათვის 4 ჟესტური ენის თარჯიმნისა და დამატებით 2 სოციალური მუშაკის მომსახურების დაფინანსებას;

● **ქ. თბილისში მცხოვრები პენსიონერების მედიკამენტების ვაუჩერით დაფინანსების პროგრამა (01 10 10)** – 3,841.8 ათასი ლარით; ხარჯები გაწეულია ქ. თბილისში მცხოვრები პენსიონერებისათვის მედიკამენტის (25-ლარიანი) ვაუჩერების დამზადებისა და მიწოდებისათვის;

● **სხვა სოციალური (დახმარების) დაცვის პროგრამა (01 10 11)** – 109,0 ათასი ლარით; პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის სოციალური ღონისძიებების დაფინანსება. ხარჯები გაწეულია ინვალიდი ბავშვების ტრანსპორტით მომსახურებისათვის, კლინიკა ,,ოფთალმიჯში" – 12000 ბავშვის გამოკვლევის დასაფინანსებლად, ქართველი, აფხაზი და ოსი უსინათლო პირების ურთიერთდაახლოების მიზნით კავშირ ,,ჰერას" ხმის ჩამწერ სტუდიაში

ხმოვანი წიგნების ჩასაწერად, ლეიკემიით დავადებული ბავშვებისათვის ღონისძიების მოსაწყობად;

● **ომის ვეტერანთა დახმარების პროგრამა (01 10 15)** – 340,2 ლარით; პროგრამით გათვალისწინებულია 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ომის ვეტერანებისათვის დახმარება თითოეულზე 200 ლარის ოდენობით.

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების პროგრამა (01 10 16):

2010 წელს დაფინანსებულია უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურება საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით 10,105.3 ათასი ლარის ოდენობით და თბილისის მეტროთი 8,834.9 ათასი ლარით, სულ 18 940.2 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ავტობუსებით უფასოდ ან შეღავათიანი ტარიფით გადაყვანილია 34.5 მლნ მგზავრი და მეტროთი – 29.9 მლნ მგზავრი, სულ -64.4 მლნ მგზავრი. მათ შორის:

უმაღლესი და პროფესიული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები- 12.8 მლნმგზავრი;

–პედაგოგები და მასთან გათანაბრებული თანამშრომლები, 9 აპრილს დაზარალებულები და დაღუპულთა ოჯახის წევრები – 3.5 მლნ მგზავრი;

– დედაქალაქში რეგისტრირებული პენსიონერები – 9.8 მლნმგზავრი;

– 70000-ზე დაბალი ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოქალაქეები – 12.0 მლნმგზავრი;

– ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები – 19.1 მლნმგზავრი;

– მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები – 0.36 მლნმგზავრი;

– საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები – 0.54 მლნმგზავრი;

– ქმედუნარიანობის შეზღუდვის მქონე უსინათლო პირები, 0.35 მლნმგზავრი;

– მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებული პირები და სხვა კატეგორიები, საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახის წევრები – 5.8 მლნმგზავრი;

– შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამართველოს უბნის ინსპექტორები 0.15 მლნმგზავრი.

● **,,სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში" პროგრამა (01 10 17)** – 57,7 ათასი ლარით; პროგრამა ითვალისწინებს არსებული და ახალი ,,სოციალური სახლის", რომელიც შენდება შვეიცარიის ფონდის დაფინანსებით, ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

● **საჯარო სკოლების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, პირველადი ჯანდაცვის ობიექტების თანამშრომელთა კომუნალური გადასახადის თანაგადახდის ვაუჩერის პროგრამა (01 10 18)** - 2,871.3 ათასი ლარით; ხარჯები გაწეულია განათლებისა და პირველადი ჯანდაცვის ობიექტების თანამშრომელთა კომუნალური გადასახადისათვის ვაუჩერებით უზრუნველყოფისათვის.

● **ქ. თბილისში მცხოვრები პენსიონერებისათვის პენსიის დანამატის გაცემის პროგრამა (01 10 19)** დაფინანსდა 20,582.2 ათასი ლარით. პროგრამის ფარგლებში 1 მარტიდან ქ. თბილისში მცხოვრებ პენსიონრებზე ყოველთვიურად გაიცემოდა 10-ლარიანი საპენსიო დანამატი;

● **პროგრამა ,,თბილისელების ადვოკატი" (01 10 20)** დაფინანსდა 400,0 ათასი ლარით; პროგრამის ფარგლებში ხარჯები გაწეულია პროექტის ,,გადაუდებელი იურიდიული დახმარება თბილისელებს" განსახორციელებლად;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისელების ადვოკატის" პროექტის „გადაუდებელი იურიდიული დახმარება თბილისელებს" ფარგლებში თბილისის მასშტაბით გაიხსნა 33 უფასო სამართლებრივი დახმარების ოფისი, მათ შორის 31 ოფისი ფუნქციონირებს ქ. თბილისის რაიონების გამგეობების სტრუქტურულ ერთეულებში –

მუნიციპალიტეტებში, და ასევე თითო ოფისი ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობისა და ქალაქის საკრებულოს შენობებში.

პროექტს "გადაუდებელი იურიდიული დახმარება თბილისელებს" 2009 წლის 15 დეკემბრიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე სამართლებრივი დახმარების მიზნით მომართა 14078 - მა ფიზიკურმა პირმა.

მომმართველთა მიერ წამოჭრილ პრობლემურ საკითხთა შორის აღსანიშნავია კომუნალური, უძრავი ქონების (მშენებლობა, ამხანაგობები, ,,ატსტუპნიკები," აღიარება, ლეგალიზება, პრივატიზება) სახელმშეკრულებო, საოჯახო-სამემკვიდრეო, სოციალური, საგადასახადო-სამეწარმეო, სამეზობლო და შრომითი ურთიერთობები. მომმართველთა თხოვნების საფუძველზე დაიწყო 913 სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებები.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისელების ადვოკატის" ფუნქციონირებისას 2010 წლის იანვარ-თებერვალში გამოიკვეთა პრობლემური საკითხი დაკავშირებული მცირე და საშუალო მეწარმთა საგადასახადო და სამეწარმეო საკითხებზე, რაც საფუძვლად დაედო ა.ა.ი.პ. ,,თბილისელების ადვოკატის" მიერ ახალი პროექტის – „იურიდიული დახმარება საგადასახადო და სამეწარმეო საკითხებზე" ინიცირებას.

პროექტის "იურიდიული დახმარება საგადასახადო და სამეწარმეო საკითხებზე" ფარგლებში თბილისის მასშტაბით გაიხსნა 7 ოფისი ქ. თბილისში არსებულ მსხვილ სავაჭრო ობიექტებზე – ბაზრობებზე.

მომმართველთა მიერ წამოჭრილ პრობლემურ საკითხთა შორის აღსანიშნავია კონსულტაციები სამეწარმეო საქმიანობის დაწყებასთან, საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენებასთან, სასაქონლო ზედნადების გამოყენებასთან, დარიცხულ ჯარიმებთან, გადასახადების დეკლარირებასთან, საბაჟოსთან და საგადასახადო შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხები.

● **ქ. თბილისის მოსახლეობის დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების დაფარვა (01 10 21)** – 17,941.7 ათასი ლარით; ხარჯები გაწეულია 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქ. თბილისის მოსახლეობაზე რიცხული დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების დასაფარავად.

განათლების პროგრამები (01 11):

● **აღზრდისა და დამატებითი განათლების პროგრამა (01 11 01)**

პროგრამის გეგმა 204.5 ათასი ლარი დაფინანსდა 204.4 ათასი ლარით. Pპოგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

თბილისი-ტოლერანტობის ქალაქი – 41.9 ათასი ლარით. პროექტის მიზანია მულტიეთნიკური საზოგადოების სოციალური და კულტურული თანაცხოვრების პროცესის ხელშეწყობა, ტოლერანტობის გაღვივება, ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. პროექტში, თბილისელ მოსწავლეებთან ერთად სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული მოსწავლეები და პედაგოგები იღებდნენ მონაწილეობას. თბილისის 98-ე საჯარო სკოლაში გაიხსნა საიათნოვას სახელობის მუზეუმი. ჩატარდა კონფერენციები, შეხვედრები, სხვადასხვა მასშტაბური ღონისძიებები;

ბიბლიოთეკა ბორბლებზე – 34.6 ათასი ლარით. პროექტი მიზნად ისახავდა ცნობილი ხელოვანების (მუსიკოსების, მხატვრების, მწერლების) შეხვედრას საზოგადოების წარმომადგენლებთან, შემოქმედებითი საღამოების, ლიტერატურული შეხვედრების, გამოფენების, კონცერტების მოწყობას;

სამხრეთ კავკასია – მდგრადი განვითარებისათვის დაიხარჯა - 8.05 ათასი ლარი. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ნორჩ ეკოლოგთა რეგიონალური ტურნირი, (საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანი). ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის ქართულ-ბრიტანულ-ესპანური სკოლის „აია-ჯესი" ბაზაზე შექმნილია ბანკი, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო-შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები:

კონკურსები, ვიქტორინები. პროექტის დასასრულს ბავშვებისათვის მოეწყო ექსკურსია თბილისსა და მცხეთაში;

DVD დისკზე ჩაიწერა თამაზ კვაჭანტირაძის ცნობილი ტელე-ლექციების კურსი და გადაეცა თბილისის 204 საჯარო სკოლას, რისთვისაც დაიხარჯა 49.6 ათასი ლარი;

2015 წელს დაგეგმილი ევროპის ახალგზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძელ ქალაქთა შორის ერთ-ერთი პრეტენდენტია თბილისი. მაისსა და ივნისში თბილისში ჩატარდა ოლიმპიური ფესტივალის მხარდამჭერი ღონისძიებები (სპორტის სხვადასხვა სახეობებში). გადაღებულია ღონისძიებების ამსახველი კლიპი, რომელიც ევროპის ოლიმპიურ კომიტეტებს დაეგზავნება, დაფინანსებამ შეადგინა – 34.6 ათასი ლარი;

პედაგოგთა, ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების თანამშრომელთა და კატეგორიის მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ასანაზღაურებელი დაიბეჭდა ვაუჩერები და დაფინანსდა – 4.4 ათასი ლარით;

გადაცემა „მძიმე” სამუშაო” სტუდია „ლიბერ IV-”-ის მიერ მომზადდა და განთავსდა ტელეკომპანია “მზის” ეთერში. გადაცემათა ციკლი მიზნად ისახავდა იმ ადამიანების წარმოჩენას, რომლებიც არ არიან ცნობილები და პოპულარულები, მაგრამ არიან თავიანთი საქმის ნამდვილი პროფესიონალები – დაფინანსდა 13.6 ათასი ლარით;

თინეიჯერებისათვის განსაკუთრებით საყვარელი ჟურნალის „ჯუნიორი” პოპულარიზაციისა და მხარდაჭერის აქცია – 3.1 ათასი ლარით.

● სოციალურად დაუცველი საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების შეძენის პროგრამა (01 11 02)

პროგრამის გეგმამ შეადგინა 297.2 ათასი ლარი, შესრულდა 297.2 ათასი ლარით. პოგრამის ფარგლებში განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან (რომელთა სარეიტინგო ქულა 57 000-დან 70 000-მდეა) 192 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოების შეძენა.

● სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობის (ვაუჩერის) პროგრამა (01 11 03)

ბიუჯეტის დაფინანსებაზე იმყოფება 158 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (ბაგა-ბაღი), მათ შორის №1 ლოგოპედიური საბავშვო ბაღისა და სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაღის (ფინანსდება შესაბამისი რაიონული გამგეობის ხარჯებიდან) გარდა დაფინანსება ხორციელდება პროგრამიდან ვაუჩერული პრინციპით, ქ. თბილისის მთავრობის მიერ დადგენილი - ერთ ბავშვზე გათვლილი ნორმატივის მიხედვით.

პროგრამის გეგმა 38,471.5 ათასი ლარი მთლიანად ათვისებულია, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური ხარჯები, ინვენტარის და სხვა აუცილებელი ხარჯები, მათ შორის წლების განმავლობაში მოუგვარებელ პრობლემატიურ საკითხებს, რისთვისაც ზაფხულის პერიოდში ქ.თბილისის ბაგა-ბაღების შენობების მიმდინარე სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის მიიმართა 6,398.0 ათასი ლარი. ძირითადად მოწესრიგდა წყალკანალიზაცია, სველი წერტილების, ელგაყვანილობა, შეკეთდა სახურავები, ჩატარდა ჯგუფების მიმდინარე რემონტი, დამონტაჟდა კარ-ფანჯრები, კეთილმოეწყო სამზარეულოები და საკუჭნაოები.

ჩატარდა გაზიფიცირების სამუშაოები და ყველა ბაგა-ბაღი უზრუნველყოფილია ბ/აირის გამათბობელი საშუალებებით. 2010 წელს შეძენილია 99.8 ათასი ლარის გაზის გამათბობელი, რომლებიც მათ უსასყიდლოდ გადაეცა.

● სკოლამდელი აღზრდისა და საჯარო სკოლების რეფორმის ხელშეწყობა (01 11 04)

პროგრამის გეგმა 4,315.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,315.0 ათასი ლარით. Pპოგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: “თბილისური გაკვეთილები” ფარგლებში

თბილისის 204 საჯარო სკოლის დირექტორისათვის სკოლის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პრაქტიკული მოდელის შემუშავების 10 დღიანი თრენინგის ორგანიზება და საგანმანთლებლო-შემეცნებითი აქციის "ილია და განათლების სისტემა"მოწყობა – 33 .8 ათასი ლარით; სოფელ დიღმის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოები – 46.0 ათასი ლარით; სოფელ დიღმის საჯარო სკოლის წყალკანალიზაციის სამუშაოები 376.9 ათასი ლარით; სკოლებში თვითმმართველობის წარმომადგენელთა ხელფასები – 971.2 ათასი ლარით; საბავშვო ბაღების თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლება – 785.0 ათასი ლარით; საჯარო სკოლების თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებისათვის ფინანსური დახმარების სახით – 2 070.0 ათასი ლარით; სხვადასხვა ღონისძიებებზე ბავშვთა გადაყვანისათვის ტრანსპორტის დაქირავებისათვის დაიხარჯა 32.9 ათასი ლარი.

● **კულტურის პროგრამები (01 12)** – ხარჯები დაფინანსებულია 16,330.1 ათასი ლარით შემდეგ ღონისძიებებზე;

● **სახელმწიფო დღესასწაულები (01 12 01)** - დაფინანსებულია 3,071.4 ათასი ლარით (გეგმა 3,150.0 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში ჩატარდა შობა-ახალი წლის, 3 მარტს – დედის დღის, 8 მარტს – ქალთა საერთაშორისო დღის, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის, 9 აპრილის, დედაენის დღის, 6 მაისს – გიორგობის, 9 მაისს – ევროპის საერთაშორისო დღის, 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 1 ივნისს – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის, ფაშიზმზე გამარჯვების 65 წლისთავის, თბილისობის, 23 ნოემბერს – გიორგობის და სხვა აღმნიშვნელი ღონისძიებები. ამასთან, გაწეულია ლევან გვეტაძის წიგნის – ,,წმინდა მეფეები – მირიანი და ლუარსაბ II", ნანა ძამუკაშვილის წიგნის – ,,დავით IV აღმაშენებელი", მარეხ ამანათიძის პოეტური კრებულის, საბავშვო პოეზიის ანთოლოგიის ,,მზე შინა" გამოცემის, აკაკი წერეთლის 170 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფოტო-გამოფენის, პერფომანსის – ,,წამიერი დაბრუნება თბილისში" ორგანიზების, ფიროსმანის ცხოვრების ამსახველი ანიმაციური ფილმის დამზადების ხარჯები და სხვა.

● **გაცვლითი კულტურული პროგრამები ქალაქებს შორის (01 12 02)** – დაფინანსებულია 219.5 ათასი ლარით (გეგმა 226.6 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გერმანიის ქ. ფრანქფურტში და შვეიცარიის ქ. ბერნში ლიტერატურული საღამოების ორგანიზება, პოლონეთში ქ. კრაკოვში თბილისის კულტურის დღეების ორგანიზება, კლერმონფერის საერთაშორისო კინოფესტივალზე მოკლემეტრაჟიანი ფილმის ,,აპრილის სუსხის" წარდგენის ორგანიზება, თბილისში ,,კიევის დღეები" თბილისის მუნიციპალური ორკესტრის ,,ბიგ-ბენდი" მონაწილეობა, ანსაბლ „რუსთავის" და გერმანიის ქ.ზაარბრიუკენის 40 წლის ურთიერთობის ამსახველი წიგნის და კომპაქტ დისკის გამოშვება, ნიუ იორკის საერთაშორისო ფესტივალში ,,თავისუფალი თეატრის" მონაწილეობა, იტალიის ქ.ჩინციანოში ფოტოგრაფთა საერთაშორისო გამოფენა კონკურსში ქართველი მხატვრის მონაწილეობა, ერთობლივი სპექტაკლის ,,ფაუსტი" მსოფლიო თეატრალურ ოლიმპიადაში მონაწილეობა, სომხეთის გალერეაში გაიანე ხაჩატურიანის ნამუშევრების გამოფენაში ქართველი ხელოვანების მონაწილეობა, ქ. ზაარბრიუკენთან დაძმობილებული 35 წლის აღსანიშნავი საგამოფენო დარბაზით მომსახურება, კორსიკული და ქართული პოლიფონიის კონცერტის ჩატარებასთან და სილვენ ბეფის ,,ახალი სექსტეტის" ჯაზკონცერტის ჩატარებასთან დაკავშირებით დარბაზით მომსახურება, ე. ადამიას ნამუშევრების საფრანგეთში გრან-პალეს მხატვართა საერთაშორისო კონკურსის ამსახველი კატალოგის განთავსება და სხვა.

● **თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (01 12 03)** – დაფინანსებულია 1,192.4 ათასი ლარით (გეგმა 1,192.4 ათასი ლარი). თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებით ფინანსდება 2 თეატრის რეპერტუარის განახლება, თავისუფალი თეატრალური პროექტების განხორციელება და თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი. ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის რეპერტუარის განახლება დაფინანსებულია – 368.1 ათასი

ლარით (შედგა 5 სპექტაკლის პრემიერა: ,,ფერადი ნიღბების ღამე", ,,იქ.სადაც ჩემი სახლია", ,,ჭურში", ,,მოთმინება და იმედი", ,,ვერაგობა და სიყვარული". ამასთან, გაწეულია ,,ტაქსისტი გივის სასიყვარულო ამბავის" მოსამზადებელი სამუშაოები და პრემიერა გაიმართება 2011 წელს); პანტომიმის სახ. თეატრის რეპერტუარის განახლება – 150.0 ათასი ლარით (შედგა 2 სპექტაკლის პრემიერა ,,ქრისტე" და ,,შექსპირის სონეტები". ამასთან, აღდგენილ იქნა 2 სპექტაკლი ,,ფიროსმანი-მეფე" და ,,ჩიტი"); თავისუფალი თეატრალური პროექტების განხორციელებისათვის – 174.3 ათასი ლარი (პროგრამის ფარგლებში გაიმართა სპექტაკლები ,,ხალხის მტერი", ,,სლავომირ მორჟეკი", ,,ჩაგავლეთ", ,,ბოსტანი კონფლიქტის ზონაში", ,,ღრუბლები", ,,მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!", ორი თოჯინური სპექტაკლი – ,,სამი ბღენძი და ნატვრის ბალახი" და მუსიკალური სპექტაკლი ,,იგი". ამასთან, განხორციელდა პროექტები: ,,სიბრმავის ფერი", ,,მაკროპულოსის საიდუმლო", ,,ჰამლეტი", ,,ქარი მწყურია მე პირდაპირი", ,,კომანის უკანასკნელი დღე", ,,სახლი", ,,სირანო დე ბერჟერაკი", ,,გოდოს მოლოდინში", ,,სამეფო ოჯახი", თითების თეატრის პროექტი შეხვედრები ფიროსმანთან. ამასთან, გაწეულ იქნა პროექტის – ,,ტრამვაი რომელსაც სურვილი ჰქვია" დარბაზით მომსახურების, პროექტის – ,,იესოს" განსახორციელებლად დეკორაციების დამზადების ხარჯები და სხვა); თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი – 500.0 ათასი ლარით (გაცემულ იქნა ხელფასები ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფისათვის, გაწეულია თეატრალური ფესტივალის საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარების, დეკორაციების ტრანსპორტირების, საოფისე, ავიაბილეთების ღირებულების, სარეკლამო და სხვა ხარჯები. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო 36 ქართული სპექტაკლის და 11 უცხოური ქვეყნის 17 სპექტაკლის ჩვენება – სპექტაკლებს წარმოადგენდნენ თეატრალური დასები ინგლისიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, ხორვატიიდან, ლიტვიდან, ესტონეთიდან, სომხეთიდან, ირანიდან და ისრაელიდან).

● **სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა (01 12 04)** – დაფინანსებულია 861.4 ათასი ლარით (გეგმა 861.5 ათასი ლარი). პროგრამიდან დაფინანსებულია №20 და №19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით უფასო სწავლება, №28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე უფასო სწავლება და ჰ. გონაშვილის №29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – წყნეთის მიუსაფარ ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა უფასო სწავლება. ამასთან, განხორციელდა განსაკუთრებული წარმატებების მქონე მოსწავლეებისათვის სტიპენდიების გაცემა და მათი პედაგოგების წახალისება (680 მოსწავლე და 402 პედაგოგი), აგრეთვე, გაწეულია ხელოვნების სკოლებში ფ.შოპენის და რ.შუმანის 200 წლის საიუბილეო ფესტივალის ჩატარებისათვის დარბაზით მომსახურების, პოლიგრაფიული მომსახურების, ჰ.გონაშვილის სახელობის №29 ხელოვნების სკოლისათვის გაზის დავალიანების დაფარვის ხარჯები და სხვა.

● **ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (01 12 05)** – დაფინანსებულია 1,810.0 ათასი ლარით (გეგმა 1,810.0 ათასი ლარი). დღეისათვის ფუნქციონირებს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 42 ფილიალი თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 12 ბიბლიოთეკა. გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, შეძენილ იქნა სხვადასხვა თემატიკის წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ავტომანქანა, საოფისე ავეჯი, სხვადასხვა სახის სამეურნეო საქონელი. აგრეთვე, გაწეულია ოფისის, საწვავის და სხვა ხარჯები.

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარებისა და პოპულარიზაციის პროგრამა (01 12 06) – დაფინანსებულია 923.4 ათასი ლარით (გეგმა 923.7 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 10 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმის სუბსიდირება და 2 პროგრამის დაფინანსება:

ი. ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი – 165.0 ათასი ლარი;

ზ. ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი – 64.0 ათასი ლარი (მოეწყო გამოჩენილი დირიჟორის ვახტანგ ფალიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, კომპოზიტორ ალექსი

მაჭავარიანის სახელობის ფესტივალის ,,ქართული ფრესკები" დასკვნითი საღამო, ზაქარია ფალიაშვილი მემორიალური ვალტორნისადმი მიძღვნილი საღამო, ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მე-7 საჯარო სკოლის სამუსიკო სტუდიის მოსწავლეების კონცერტი);

ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი – 58.3 ათასი ლარი (მოეწყო საქართველოს მრავალეროვანი კავშირი და პუშკინის სახელობის რუსულენოვან ლიტერატორთა საზოგადოება ,,არიონის" ერთობლივი შემოქმედებითი საღამო, დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ,,გაზაფხულის საღამოები", დედა ენის დღისადმი მიძღვნილი შემეცნებითი გაკვეთილი თბილისის №72 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, კავკასიის ფონდთან, საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირთან ერთობლივად ჩეჩენი პოეტის მუსი გუშაევის შემოქმედებითი საღამო და სხვა);

მ. ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმი – 40.3 ათასი ლარი. (მოეწყო კერძო სკოლის ,,სარკმელი" მოსწავლეთა მონაწილეობით მწერლის მოთხრობის ,,ორი შვილის" მიხედვით შექმნილი კინოფილმის ჩვენება-განხილვა, №166-ე სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა ღონისძიება თემაზე: ,,მიხეილ ჯავახიშვილის ბავშვობა და ყრმობა, სწავლის პერიოდი, შრომითი საქმიანობა", კერძო სკოლის ,,მარჯი" მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მ. ჯავახიშვილის 1920-1930 წლების პუბლიცისტიკასთან დაკავშირებული ღონისძიება – ,,მიხეილი როგორც პუბლიცისტი" და სხვა);

გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმი – 55.0 ათასი ლარი (მოეწყო გალაქტიონის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საგაზეთო პუბლიკაციების განხილვა, ექსპოზიცია – გალაქტიონი და ტერენტი გრანელი, ,,სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი" – ნოდარ ტაბიძის წიგნის განხილვა, გალაქტიონის გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია და სხვა);

ვ. ჭაბუკიანის ბინა-მუზეუმი - 40.0 ათასი ლარი (ჩატარდა ჭაბუკიანის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო თემაზე: ვახტანგ ჭაბუკიანი და მისი თანავარსკვლავედი". ნაჩვენები იქნა ფილმი ბალეტი – ,,რომეო და ჯულიეტა", მუზეუმისა და ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის ,,მზეჭაბუკი და მარია კალასი" ერთობლივი ღონისძიება, ნინო რამიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო, ვატანგ ჭაბუკიანის გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო და სხვა);

მ. კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი – 54.8 ათასი ლარი (ჩატარდა №51 სკოლის მიერ მერაბ კოსტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვა);

ს. წერეთლის სახლ-მუზეუმი – 35.9 ათასი ლარი;

ქ.თბილისის თოჯინების მუზეუმი – 100.2 ათასი ლარი;

ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა – 82.7 ათასი ლარი (მოეწყო საშობაო-საახალწლო გამოფენა მაკლდონალდში, არასამთავრობო საზოგადოება ,,მზეჭაბუკთან" ერთად ვ. ჭაბუკიანის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო, ,,მე მიყვარს თეატრი" – ვ. ჭაბუკიანის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ბავშვთა ნახატების გამოფენა, ირანის საელჩოსთან ერთად ქართველ და ირანელ ბავშვთა ნახატების გამოფენა, ელენე ახვლედიანის დაბადების დღისადმი მიზღვნილი აქცია გალერეის თავისუფალი ხატვის ჯგუფის ბავშვების მონაწილეობით, პროფესიულ სასწავლებლის ,,მარგისთან" ერთად გამოფენა-კონკურსი ,,ფრენა მზესთან ერთად", ბილაინის მონაწილეობით გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად მოხდა გალერეის მიმდებარედ ტერიტორიის გამწვანების აქცია, ბავშვთა სურათების გალერეის აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოყენებით ,,ნატოს" საინფორმაციო ცენტრის დაფინანსებით დაიბეჭდა 2010 წლის კალენდარი, საზოგადოებრივ არხზე საბავშვო გადაცემაში ,,პლანეტა ბასტი-ბუბუ" გაკეთდა 4 გადაცემა ბავშვთა სურათების გალერეის თავისუფალი ხატვის ჯგუფების აღსაზრდელთა შემოქმედებით მუშაობაზე და სხვა);

მუზეუმების საქმიანობის პოპულარიზაცია და ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვის პროგრამა – 37.5 ათასი ლარი (პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ნ. ბარათაშვილის მუზეუმში ღონისძიებათა ციკლის ,,ლეკვი ლომისა სწორია" -ს

ორგანიზება, მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების კვირეულის ,,მუზეუმების გაზაფხული" ორგანიზება და სხვა);

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შემოქმედებითი კავშირების ხელშეწყობა – 189.8 ათასი ლარი (პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო – ,,ჩვენი თბილისი", ნაციონალური დრამატული თეატრალური ფესტივალი, ,,ხელოვანთა ოქროს ფონდის" და პოეზიის დღესასწაული, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედების ამსახველი დოკუმენტური ფილმების ციკლის შექმნა, გივი თოიძის ალბომის ,,ქალაქო, ხოხბის ფრთებით ნახატო" გამოცემა, ,,ოქროს ფონდის" მიერ ეროვნული უმცირესობების ხელოვანებთან შეხვედრა, საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთის ,,მწერლის გაზეთი" გამოცემა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსების 130 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები, ნ. ბარათაშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსის ორგანიზება, სომეხი პოეტის ვაჰან ტერიანის დაბადებიდან 125 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება და სხვა).

● **ფესტივალები, კონკურსები და საიუბილეო ღონისძიებები (01 12 07)** – დაფინანსებულია 1,590.9 ათასი ლარით (გეგმა 1,607.3 ათასი ლარი). საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იქნა ზურაბ აზმაიფარაშვილის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიება, შ. მილორავას 85 წლის იუბილესთან მიძღვნილი ღონისძიება, კომპოზიტორ ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნის საღამო, მარიკა კვალიაშვილის შემოქმედებითი საღამო, გოგი თოდაძის 65 წლის საიუბილეო საღამო, ვახტანგ ჭაბუკიანის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ნანი ბრეგვაძის სახელობის საესტრადო ეროვნული კონკურსი, ,,ახალი ღვინის ფესტივალი-2010", ახალგაზრდული თეატრალური ფესტივალი ,,არდი ფესთ", ქართული საესტრადო სიმღერების საბავშვო ფესტივალი ,,მელოდია 2010", ფესტივალი ,,გაზაფხულის ჰანგები", ფესტივალი ,,ქართული სული", სტუდენტთა ეტიუდების ფესტივალი ,,არლეკინი", სილამაზის კონკურსი ,,მის მსოფლიო 2010 სმენადაქვეითებულთათვის", მე-18 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი ,,შემოდგომის თბილისი", ჟურნალისტის დღის აღსანიშნავი ღონისძიება, სატელევიზიო ახალგაზრდული მუსიკალური ფესტივალი ,,ჩვენ ვუკრავთ კლასიკას", ფესტივალი – ,,თბილისური საღამოების" და მუსიკალური ფესტივალის – ,,ელექტრონავტების" ორგანიზება, ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის მიერ ნიკო ნიკოლაძის პრემიის დაარსების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. მოეწყო შემოქმედ მასწავლებელთა კონკურსი, საქართველოს მუსიკალური ფესტივალი ,,კონტრაპუნქტი", თბილისის საერთაშორისო კონოფესტივალი ,,პრომეთე".. ამასთან, გაწეულია ქართული ჟურნალისტიკის განვითარებისათვის შეტანილი წვლილისთვის 20 ჟურნალისტის დაჯილდოვების, ანსამბლ ,,ფესვების" კონცერტის აუდიო ჩანაწერების დამზადების, ჟურნალ – ,,თეატრი და ცხოვრებას" და გაზეთ – ,,ქართული თეატრის დღე" საიუბილეო ნომრის გამოშვების, ეთერ კაკულიას შემოქმედებით საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებით დარბაზით მომსახურების, ფესტივალი ,,იპოვე ვარსკვლავი შენი" და ანსამბლ ,,ფესვების" დარბაზით მომსახურების, საერთაშორისო საბავშვო მუსიკალური ფესტივალის ,,მე მიყვარს თბილისი" დარბაზით მომსახურების, თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის ჩასატარებლად დარბაზით მომსახურების, თბილისის ხელოვნების სკოლების მოსწავლეებისათვის გალა კონცერტის ჩატარებასთან დაკავშირებით დარბაზით მომსახურების, ფოლკლორული ანსამბლის ,,შვიდკაცას" კონცერტის ჩატარებასთან დაკავშირებით დარბაზით მომსახურების, ანსამბლ ,,ერისიონის" და ანსამბლ ,,სუხიშვილების" კონცერტების ჩატარებასთან დაკავშირებით დარბაზით მომსახურების ხარჯები და სხვა.

● **თანამედროვე ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (01 12 08)** – დაფინანსებულია 2,114.2 ათასი ლარით. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება:

საკონცერტო ორკესტრი ,,ბიგ-ბენდი" – 380.0 ათასი ლარით (გეგმა 380.0 ათასი ლარი). გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულია ოფისის და პარტიტურების შეძენის ხარჯები;

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე – 900.0 ათასი ლარით (გეგმა 900.0 ათასი ლარი). საანგარიშო პერიოდში სასახლეში მოქმედებდა 584 წრე, რომელშიც გაერთიანებულია 7182 მოსწავლე, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს დაგეგმილი მეცადინეობები, ხოლო მის პარალელურად ჩატარდა პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებები. ამასთან, გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულ იქნა ოფისის და სხვა ხარჯები.

ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე – 834.2 ათასი ლარით (გეგმა 867.0 ათასი ლარი). საანგარიშო პერიოდში სასახლეში ფუნქციონირებდა 59 წრე, რომელშიც გაერთიანებულია 525 მოსწავლე. ამასთან, გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულ იქნა ოფისის და სხვა ხარჯები. აგრეთვე, გაწეულია ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხარჯები.

● **თბილისის პანთეონები და ხელოვნების ძეგლების პატრონობის ხელშეწყობის პროგრამა (01 12 09)** – დაფინანსებულია 100.0 ათასი ლარით (გეგმა 100.0 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მთაწმინდის, დიდუბის და სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ,,ხოჯევანქი" პანთეონების მოვლა-პატრონობა. (გაწეულია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ვებგვერდის მომსახურების, კომუნალური ხარჯები და სხვა).

● **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (01 12 10)** – დაფინანსებულია 2,057.3 ათასი ლარით (გეგმა 2,057.4 ათასი ლარი). გაცემულ იქნა ადმინისტრაციის ხელფასები, გაწეულ იქნა ზოოლოგიური პარკის მობინადრეთა კვების, მედიკამენტების და ვეტერინალური პრეპარატების (რძის დანამატები) შეძენის, სამეურნეო საქონელის და აღჭურვილობის შეძენის, ცხოველების შეძენის, ავტომანქანის (თვითმცლელი) შეძენის, ოფისის, მივლინების, მაღალი ძაბვის ქვესადგურის დამონტაჟების, ბეჰემოთის ვოლიერში გაზის გამათბობლის მონტაჟის და სხვა ხარჯები. ამასთან, გადახდილია ქონების გადასახადი და დაფარულია გრაფიკით გადასახდელი რესტრუქტურიზებული საგადასახადო დავალიანება.

● **თბილისის კულტურისა და დასვენების პარკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (01 12 11)** – დაფინანსებულია 999.8 ათასი ლარით (გეგმა 1,000.0 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ვაკის პარკის, მუშტაიდის პარკის, ვარდების ბაღის, წითელი ბაღის, წერეთლის ბაღის და კ. გამსახურდიას სახელობის ბაღის მოვლა-პატრონობა. გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულ იქნა კომუნალური ხარჯები და სხვა ხარჯები. გადახდილ იქნა დასუფთავების მოსაკრებელი, დღგ და გრაფიკით გადასახდელი რესტრუქტურიზებული საგადასახადო დავალიანება. ამასთან, ჩატარდა მუშტაიდის პარკის ტერიტორიაზე კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელის მოწესრიგების სამუშაოები, ვაკის პარკისა და მუშთაიდის პარკის ტერიტორიებზე ჩასატარებელი სეზონური ყვავილების მოწყობისა და მიწის სამუშაოები, მუშთაიდის პარკში განთავსებული ატრაქციონების ,,წრიული მიმოხილვის ბორბალის" და ,,ბერიოზკას" სარემონტო სამუშაოები, ატრაქციონების ,,პარატრუბერის" და ,,ტრაბანტის" ტექნიკური სარემონტო სამუშაოები, ატრაქციონ ,,შუქნიშანის" მანქანების კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის სამუშაოები, საზოგადოებრივი რეტერატების კაპიტალური რემონტის სამუშაოები და სხვა.

● **ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამები (01 12 12)** – დაფინანსებულია 874.0 ათასი ლარით (გეგმა 880.0 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ახალგაზრდულ პროექტებზე დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება, ააიპ ,,ახალგაზრდობის საინფორმაციო ცენტრი", თბილისში ბავშვთა სახლის პროექტი ,,არტ თერაპია", ხდეს ხეობაში სტუდენტური ალპინიადა, პროექტ ,,აკვამანიის" ფარგლებში აუზით მომსახურება, პროექტ ,,გუდაურას" ფარგლებში მონაწილე სტუდენტთა ტრანსპორტით და საბაგიროზე მომსახურების უზრუნველყოფა, სტუდენტთა სამთო-სათხილამურო ჩემპიონატის ჩასატარებლად თასების და ვაუჩერების საშუალებით სპორტული ინვენტარის შეძენა, ვალენტინობის დღესთან

დაკავშირებით ჯგუფ ,,მგზავრების" კონცერტის ორგანიზება, სტუდენტებისათვის ელექტრონული მუსიკის ფესტივალის ორგანიზება, პროექტის ,,სტუდენტური ოლიმპიადა ეკონომიკაში" ორგანიზება, სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენელთათვის ინფორმაციული რესურსების მართვაში ტრენინგ-სემინარის ჩატარება, ექსტრემალური სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრების ჩატარება, თბილისის კერძო უნივერსიტეტებს შორის ფეხბურთის ტურნირის, სამთო სათხილამურო ტურნირის, რაგბის ტურნირის, ფრენბურთის ტურნირის და მაგიდის ჩოგბურთის ტურნირის ორგანიზება, ფოტო კონკურსის ,,ჩემი უბანი" მონაწილეთა დასაჩუქრებისათვის პრიზების შეძენა, პროექტ ,,კინომანიის" ფარგლებში სტუდენტებისათვის კინოსეანსზე დასწრების ფასდაკლებითი ბარათების დამზადება, სტუდენტებისათვის სამედიცინო სფეროში კონფერენციის მოწყობისათვის დარბაზით მომსახურება, ტრენინგ-სემინარების ჩატარება, სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებების განსახორციელებლად მაისურების შეძენა, ტრანსპორტით მომსახურება, პოლიგრაფიული მომსახურება და სხვა.

● **კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (01 12 13)** – დაფინანსებულია 124.2 ათასი ლარით (გეგმა 124.3 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში ჩატარდა მ. კოსტავას სახ. №8 და №21 ხელოვნების სკოლის სარემონტო სამუშაოები, ს. ზაქარიაძის თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის გათბობის და ცხელი წყლის სამონტაჟო სამუშაოები, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში წყლის კომუნიკაციების სამონტაჟო სამუშაოები. ამასთან, გაწეულია №25 ხელოვნების სკოლისათვის ელექტრო როიალის და ელექტრო როიალისათვის საჭირო მოწყობილობების შეძენის, ო.თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლისათვის საორკესტრო ინსტრუმენტების შეძენა, №20 ხელოვნების სკოლისათვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა, ხელოვნების და სამუსიკო სკოლების ჩამოწერილი ინვენტარის მერიის საწყობში გადაზიდვის, ხელოვნების სკოლებში ახალი ინვენტარის შეძენა-ტრანსპორტირების ხარჯები და სხვა.

● **შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა კულტურასა და მეცნიერებაში (01 12 14)** – დაფინანსებულია 391.6 ათასი ლარით (გეგმა 391.7 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა პროექტი ,,ფიროსმანი", პროექტი ,,მის და მისტერ ფრიადოსნები", პროექტი ,,უახლესი ქართული პროზა", პროექტი ,,ქართული სასულიერო მუსიკის აუდიო ალმანახი" განხორციელება, მეეზოვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება, იტალიელი დირიჟორის ჯანლუკა მარჩიანოს და ამერიკელი ტენორის მარკ ჰელესის სპექტაკლის გამართვა, შიდსით გარდაცვლილთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია კონცერტის ორგანიზება, პროექტის ,,ახალი აკვნები" ფარგლებში სრულმეტრაჟიანი ფილმის „შინდისი" გადაღება, პროექტის ,,ცოდნის დღესასწაულის" ფარგლებში სასაჩუქრედ ციფრული ფოტო აპარატის, პედაგოგებისათვის მედლების და მედლების კოლოფების შეძენა, დიპლომების და ჩარჩოების დამზადება. ამასთან, გაწეულია შემოქმედებითი გაერთიანება ,,ლომისის" პროექტის ,,იუმორინა 2010" დარბაზის მომსახურების, პროექტის ,,ნათელი ცა საქართველოს ბავშვებს" დარბაზით მომსახურების, პროექტის ,,მშვიდობა ბავშვებს" ფარგლებში დარბაზით მომსახურების, ფონდ ,,იავნანას" საქველმოქმედო კონცერტის დარბაზით მომსახურების, საბავშვო წიგნის – ,,საშობაო ზღაპრების" გამოცემის, ფიროსმანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ჟურნალის გამოცემის ხარჯები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში დაიფარა კულტურის პროგრამებში 2009 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება 10.5 ათასი ლარის ოდენობით.

● **სპორტული პროგრამები (01 13)** – დაფინანსებულია 8,977.0 ათასი ლარით შემდეგ ღონისძიებებზე:

● **სპორტული ღონისძიებები (01 13 01)** – 3,369.8 ათასი ლარით (გეგმა 3,372.4 ათასი ლარი). დაფინანსდა მერიის თასის გათამაშება მძლეოსნობაში, სამთო ველორბოლაში, ფარიკაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, პნევმატური იარაღიდან სროლაში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,

ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოში, კრივში, კინკბოქსინგში, მშვილდოსნობაში, ძალოსნობაში, სამბოში, სამთო ველორბოლაში, ფიგურულ სრიალში, ხრიდოლში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში, ბატუტზე ხტომაში, სპორტულ აერობიკაში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, ნარდში, ხელბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მინი-ფეხბურთში, კალათბურთში, ქუჩის კალათბურთში და ღია საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში 8, 12, 14 და 16 წლამდე ასაკისათვის. ანტალიაში მინი-ფეხბურთის ტურნირზე თბილისის ნაკრების მონაწილეობა, ლასვეგასში კარატისტთა ტურნირზე თბილისის ნაკრების მონაწილეობა, ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონატზე თბილისის ნაკრების მონაწილეობა, აჭარაში მშვილდოსნობის ღია ჩემპიონატზე თბილისის ნაკრების მონაწილეობა, ლიტვაში ცურვის ტურნირზე თბილისის ნაკრების მონაწილეობა, ჰააგაში ფიგურულ სრიალში თბილისის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობა, ჰოლანდიაში წყალშიმხტომელთა ტურნირზე თბილისის ნაკრების მონაწილეობა, ბათუმში ჭიდაობის ტურნირზე ნაკრების მონაწილეობა, ჰააგაში ფიგურულ სრიალში თბილისის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობა, საქართველოს უნივერსიტეტის ორთაბრძოლების ნაკრების ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა, თბილისის მთასვლელთა გუნდის ყირგიზეთში გამგზავრება, პრაღაში ნიჩბოსნობის თბილისის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა, ქალთა მშვილდოსნობის ნაკრების ზამთრის ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება, იზმირში კარატის ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება და სხვა. ამასთან, ჩატარდა პროექტი ,,მხიარული სტარტები ჩვენს უბანში", თბილისის მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა შორის მხიარული სტარტები, კრივში მსოფლიო სარეიტინგო ორთაბრძოლები, თბილისში ფრენბურთის ღონისძიებები, მეკლდეურობის ღონისძიებები, ბათუმში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, ქუთაისში გ. ჩიქოვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში, ანტალიაში მძლეოსნობის თბილისის ნაკრების საწვრთნო შეკრება, მცხეთაში ნიჩბოსნობის ნაკრების საწვრთნო შეკრება, ბათუმში მშვილდოსნობის ნაკრების საწვრთნო შეკრება, ბაკურიანში ჭიდაობის თბილისის ნაკრების საწვრთნო შეკრება, ილიადას თასზე თბილისის ძიუდოს ახალგაზრდული ნაკრების მონაწილეობა, საპლიაჟო ფრენბურთში მონაწილება, ფეხბურთსა და რაგბში ბავშვთა ფესტივალი და სხვა. გაწეულია სპორტული გადაცემის ,,თბილისური სპორტის" მომზადება და ეთერში განთავსების ხარჯები. ასევე, განხორციელდა თბილისობასთან დაკავშირებით მასობრივი სპორტული ღონისძიებები, გენერალურ ანსამბლეასთან დაკავშირებით ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსება, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში საზაფხულო ფესტივალი, მინი-ფეხბურთში კავკასიის თასის დაფინანსება, ძიუდოში ,,მსოფლიო თასის" წილობრივი დაფინანსება, ჯიშიანი ძაღლების გამოფენის წილობრივი დაფინანსება, შავი ზღვის წილობრივი დაფინანსება, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს 21 ეროვნულ ფედერაციას და წყალბურთის კლუბ ,,თბილისს" გაეწია ფინანსური მხარდაჭერა.

● **მწვრთნელთა დახმარების პროგრამა (01 13 02)** – 1,352.0 ათასი ლარით (გეგმა 1,352.0 ათასი ლარი). ფულადი დახმარება გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 257 მწვრთნელ-მასწავლებელს.

● **სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (01 13 03)** – 2,702.5 ათასი ლარით (გეგმა 2,702.8 ათასი ლარი). საანგარიშო პერიოდში მოეწყო თბილისის სხვადასხვა უბანში 48 კომბინირებული ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. დაიგო 23,988.9 კვ.მ მწვანე საფარი. შედგა სპორტული მოედნების მშენებლობისათვის პროექტები და დეფექტური აქტები. ამასთან, თბილისის სხვადასხვა რაიონში მოწყობილ იქნა 25 კომპლექტი თანამედროვე ტიპის ლითონის სავარჯიშო მოწყობილობა – ტრენაჟორები და სპორტული კლუბის ,,იმედი" სპორტულ მოედანზე შეცვლილი იქნა 1100 კვ.მ ბალახის საფარი.

● **სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (01 13 04)** – 295.0 ათასი ლარით (გეგმა 295.0 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში შედგა საპროექტო დოკუმენტაცია, ჩატარდა კიევის ქუჩაზე მდებარე ფრენბურთის დარბაზის

სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ამასთან, ოლიმპიური მზადების ცენტრ ,,ნაძალადევს" გაეწია ფინანსური დახმარება.

● **სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (01 13 05)** – 1,000.0 ათასი ლარით (გეგმა 1,000.0 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი (ხელფასი, კომუნალური ხარჯები და სხვა).

● **წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების პროგრამა (01 13 06)** – 97.1 ათასი ლარით (გეგმა 97.5 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სპორტის სხვადასხვა სახეობის 130 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

● **სპორტული მოედნების კოორდინატორების შრომის ანაზღაურების პროგრამა (01 13 07)** – 160.5 ათასი ლარით (გეგმა 161.3 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სპორტულ მოედნებზე უსაფრთხოებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით 215 კოორდინატორის შრომის ანაზღაურება.

საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამა (01 14)

საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამის 2010 წლის გეგმამ შეადგინა 10357,2 ათასი ლარი. მათ შორის: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 5979,0 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურება 2615.2 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 6,8 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 104,9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები 1651,3 ათასი ლარი. ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 10355,0 ათასი ლარი. მათ შორის: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 5976.9 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურება 2615,0 ათასი ლარი. მათ შორის: შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება – 305,2 ათასი ლარი, ოფისის ხარჯი – 1251.2 ათასი ლარი (წყალი – 707,3 ათასი ლარი, ელ-ენერგია – 118,7 ათასი ლარი, ბუნებრივი აირი – 185,1 ათასი ლარი, სატელეფონო მომსახურება – 36,9 ათასი ლარი, ინტერნეტ მომსახურება – 3,5 ათასი ლარი, სპეციალური სამაშველო და მცირე სამაშველო აღჭურვილობა, სპეც. დანები, მაკრატლები, მეტალის საჭრელი დისკოები – 64,5 ათასი ლარი, დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯი – 3,5 ათასი ლარი, ახალი გარემონტებული დეპო აღიჭურვა ახალი ავეჯით, ტექნიკით, ფარდა-ჟალუზებით – 34,8 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის რადიოსადგურები და კომპიუტერუის აქსესუარები – 27.8 ათასი ლარი, თბილისის რუკების, ჟურნალი გადასახადების და კოდექსის მომსახურების ხარჯი – 2,3 ათასი ლარი, სამსახურისათვის საჭირო სპეციალური წიგნების, ჟურნალებისა და ბლანკების დამზადება – 7,1 ათასი ლარი, სამხედრო გასაშლელი საწოლები – 1,4 ათასი ლარი, კონდიციონერის შეკეთება – 1,6 ათასი ლარი, სახანძრო ჰიდრანტის ხუფები – 4,4 ათასი ლარი, სახანძრო აღჭურვილობა 43,2 ათასი ლარი; სანტექნიკის შესაკეთებლად 9,1 ათასი ლარი); რბილი ინვენტარი და უნიფორმა – 99.3 ათასი ლარი (შეკერილია წყალზე მაშველებისათვის სპეციალური ფორმები – 4,7 ათასი ლარი, მეხანძრე-მაშველთათვის სპეც. ფორმები – 94,6 ათასი ლარი); ტრანსპორტისა ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯი 810.1 ათასი ლარი (საწვავის ხარჯი – 493,5 ათასი ლარი, ექსპლუატაცია-შეკეთების ხარჯი – 316.6 ათასი ლარი); სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა – 149,2 ათასი ლარი (აუდიტისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი – 36,2 ათასი ლარი, წებვადი წარწერის დამზადება მანქანებისათვის – 6,6 ათასი ლარი, ცეცხლმაქრების შესაძენად – 87,0 ათასი ლარი, სასიგნალო-სამაშველო ტივტივა – 2,0 ათასი ლარი, საევაკუაციო გზის მაჩვენებლები – 11,3 ათასი ლარი, სკუტერის გადასაფარებლისათვის 0,8 ათასი ლარი, წყალგაუმტარი ქსოვილი – 0,9 ათასი ლარი, საღებავი და მავრთული – 4,5 ათასი ლარი); სხვა ხარჯები – 104.9 ათასი ლარი (გადარიცხულია სახანძრო ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხარჯები); არაფინანსური აქტივები 1651,3 ათასი ლარი, (ფონიჭალაში მდებარე სახანძრო-სამაშველო დეპოს სარეკონსტრუქციო სამუშაოები – 269,2 ათასი ლარი, შეძენილია 2 ერთეული სპეციალიზირებული სამაშველო მანქანა – 397,4 ათასი ლარი, ერთი ერთეული სპეციალიზირებული სახანძრო-სამაშველო მანქანა – 510,4 ათასი ლარი, ერთი ერთეული სპეციალიზირებული სახანძრო მანაქანა კიბე – 98,5 ათასი ლარი, 2 ერთეული წყლის მოტოციკლი (სკუტერი) თავისი მისაბმელით – 65,5 ათასი ლარი, 011-ის სადისპეტჩეროები აღიჭურვა კომპიუტერებით, შეძენილია რადიოსადგურები, სპიკერები და

ციმციმები – 20,4 ათასი ლარი, ახალგარემონტებული სახანძრო დეპო აღიჭურვა ახალი ტექნიკით, ჩატარდა გაზმომარაგების სამუშაოები და დამზადდა ლაითბოქსი – 18,8 ათასი ლარი, გაკეთდა წურწუმიასა და ირბახის ქუჩის გადაკვეთაზე ასაშენებელი სახანძრო-სამაშველო სადგურის პროექტი – 16,9 ათასი ლარი, კატერებისათვის შეძენილია ძრავი სამონტაჟო სამუშაოებით – 30,6 ათასი ლარი, ზღვის ფსკერის გამწმენდი მოწყობილობა 4,4 ათასი ლარი, სპეც-სახანძრო ჰიდრანტებისა და მისი ხუფებისათვის – 78,4 ათასი ლარი, შეძენილია სახანძრო აღჭურვილობა – 56,0 ათასი ლარი, სამაშველო აღჭურვილობის შესაძენად გადარიცხულია 65,4 ათასი ლარი, ოპერატიული დანიშნულების მსუბუქი ავტომანქანისათვის – 7,3 ათასი ლარი, შეძენილია გასაბერი ნავები – 12,1 ათასი ლარი).

სესხის მომსახურება და ვალის დაფარვა (01 15)

● **მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის სესხის მომსახურების ხარჯები (01 15 01)** – დაფინანსებულია 4,323.8 ათასი ლარით (მათ შორის: 2,756.5 ათასი ლარი შეადგენს ძირითად თანხას, ხოლო 1,567.3 ათასი ლარი – პროცენტს).

საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი იქნა მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პირველი და მეორე პროექტების ფარგლებში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე აღებული სესხის დაფარვის მომსახურება. სესხის დაფარვა მიმდინარეობს დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით. დარჩენილი დავალიანების ძირითადი თანხა შეადგენს 8,923.9 ათას ლარს და მთავრდება 2016 წელს.

● **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან აღებული კრედიტის მომსახურების" პროგრამა (01 15 02):**

დაიფარა საგარეო ვალი, ძირითადი სესხი 1395.5 ათასი ლარი, სესხის პროცენტი 130.5 ათასი ლარი, სულ 1526.0 ათასი ლარი. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან აღებული კრედიტით შეძენილია 50 ერთეული ,,დაფის" მარკის და 86 ერთეული ,,ბოგდანის" მარკის ავტობუსი. გარდა ამისა 27 ავტობუსი მიღებულია გრანტის სახით. კრედიტის დაფარვა ხდება შესაბამისი გრაფიკის მიხედვით და მთავრდება 2011 წელს.

● **იაპონური არასაპროექტო გრანტის მომსახურება (01 15 03)**

- მუნიციპალური პროექტის ,,საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების შეძენისათვის" დაფინანსების შესახებ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ქ.თბილისის მერიას შორის იაპონური საგრანტო პროგრამით განხორციელებული პროექტების ფარგლებში გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებების შესაბამისად, სესხის დაფარვის საერთო გრაფიკის მიხედვით, ქ. თბილისის 2010 წლის გეგმით 629.2 ათასი ლარი ლარი, მათ შორის: პროცენტის თანხა 354.5 ათასი ლარი, ძირითადი – 274.7 ათასი ლარი მლიანად გადარიცხულია.

,,ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ბინის საკომპენსაციო თანხის" პროგრამა (01 15 05)

პროგრამის ფარგლებში (სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივ ტრანსფერით) 2010 წელს დაკმაყოფილდა, შპს ,,თბილტრანსის˜ ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ოჯახები ბინის სანაცვლო საკომპენსაციო თანხით, 48 ოჯახი, მათ შორის, ერთმა ოჯახმა მიიღო წინა 2005 წელს დარჩენილი და ერთმა ოჯახმა 2009 წელს დარჩენილი საკომპენსაციო თანხა. საანგარიშო პერიოდში მძღოლებზე გაცემულმა საერთო თანხამ შეადგინა 1000.0 ათასი ლარი.

● **წინა წლების დავალიანების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან (01 15 06)** გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1,153.4 ათასი ლარი, მათ შორის, დაფარულია დავალიანებები 2009 წელს შესრულებულ და გაუნაღდებელ სამუშაოებზე 612.9 ათასი ლარის ოდენობით (მ.შ. კომუნალური ხარჯებისათვის – 30.0 ათასი ლარი, ქალაქგამწვანების ღონისძიებებისათვის – 168.7 ათასი ლარი, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, საყრდენი კედლებისა და სანიაღვრე ქსელის მშენებლობა და რეკონსტრუქცია – 277.4 ათასი ლარი, ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობისათვის – 2.5 ათასი ლარი, გაცვლითი

კულტურული პროგრამებისათვის – 4.0 ათასი ლარი, სახელმწიფო დღესასწაულებისათვის – 6.2 ათასი ლარი, ქალაქგაფორმებითი ღონისძიებებისათვის – 123.2 ათასი ლარი და სხვა ორგანიზაციებზე 0.8 ათასი ლარი). დაფარულ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიაზე დაკისრებული შპს საქართველოს მხატვრის ფილიალის ქანდაკების კომბინატის დავალიანებიდან 100.0 ათასი ლარი, თბილისის სააღსრულებლო ბიუროს წერილების საფუძველზე მოთხოვნილი დავალიანებები 154.3 ათასი ლარის ოდენობით და სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებული დავალიანებები – 286.2 ათასი ლარი.

● **მერის სარეზერვო ფონდი (01 16)** ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული მერის სარეზერვო ფონდიდან, წარმოდგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, გამოყოფილი თანხები შეადგენს – 11,004.0 ათას ლარს, აქედან: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ფინანსური და სხვადასხვა სახის დახმარებებისათვის – 2,873.4 ათას ლარს, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მედიკამენტების შესაძენად აფთიაქებზე გადარიცხული თანხა (შპს ,,ავერსი-გეოგარმი“ და შპს ,,პსპ“) – 77,7 ათას ლარს, მოქალაქეთა ოპერაციებისა და მკურნალობებისათვის – 4.282.5 ათას ლარს, რაიონული გამგეობებისათვის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღსადგენად 3,660.0 ათას ლარს და სხვადასხვა აუცილებელი ღონისძიებებისათვის – 110.4 ათას ლარს.

● **ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების პროგრამა (01 18)**

,,ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისის მერიის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად (შპს ,,სი-ტი პარკს“ გადაურიცხოს მის მიერ გაწეული მომსახურების საფასური, ქალაქის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად პარკირების წესების დარღვევიდან შემოსული ჯარიმების 40%), 2010 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა ,,ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების“ პროგრამა - 800.0 ათასი ლარის ოდენობით. ფაქტობრივად 2010 წელს შპს ,,სი-ტი პარკს“ გადაერიცხა მათ მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად ქ. თბილისის ბიუჯეტში ჩარიცხული ჯარიმების შესაბამისად 730.8 ათასი ლარი, მათ შორის, 2009 წლის დეკემბრის შემოსულებიდან (183.5 ათასი ლარი) 73.4 ათასი ლარი და 2010 წლის შემოსავლებიდან (1,925.2 ათასი ლარიდან, საურავის 41.4 ათასი ლარის და დეკემბრის 240.3 ათასი ლარის გარეშე, 1643.5 ათასი ლარი) 657.4 ათასი ლარი (დეკემბრის შემოსავლებიდან კუთვნილი 96.1 ათასი ლარი ჩარიცხულია 2011 წლის იანვარში).

● **ქ. თბილისის ბიუჯეტის და მერიის სისტემის ერთიანი სააღრიცხვო მოდელის შექმნის პროგრამა (01 19)**

ქ. თბილისის ბიუჯეტის საერთაშორისო სტანდარტებში მოყვანისა და დარიცხვის მეთოდზე გადასვლისათვის მზადყოფნასთან დაკავშირებით საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ,,ქ.თბილისის ბიუჯეტის და მერიის სისტემის ერთიანი სააღრიცხვო მოდელის შექმნის პროგრამის” გეგმა – 89.4 ათასი ლარი შესრულდა 89.2 ათასი ლარით.

საფინანსო საქალაქო სამსახურის, სხვა საქალაქო სამსახურების, რაიონული გამგეობებისა და ქ.თბილისის საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა სემინარები (საბიუჯეტო კოდექსზე, საბიუჯეტო კლასიფიკაციაზე და ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებაზე).

საფინანსო საქალაქო სამსახურისთვის განხორციელდა მთარგმნელობითი მომსახურება. ქართულ ენაზე ითარგმნა ,,მწვანე წიგნი“– დიდი ბრიტანეთის ხაზინის ცენტრალური

ხელისუფლების შეფასებისა და შეფასებითი ანალიზი; ,,წიგნი მაგენტა“ – პოლიტიკური კურსის შეფასებისა და ანალიზის სახელმძღვანელო მასალები; სახელმწიფო ინვესტირების ეფექტურობის მიმოხილვა; ანალიტიკური სტრუქტურა (მსოფლიო ბანკი); შესრულების გაზომვითი სტრუქტურის PEFA-ს გამოყენების პრინციპები ადგილობრივ სახელისუფლებო დონეზე – ძირითადი პრინციპები; ინსტრუქციები ქვესახელმწიფოებრივი მმართველობის დონეზე PEFA-ს ქმედების პარამეტრების სისტემის გამოყენებისთვის; პროგრამის ფარგლებში საფინანსო საქალაქო სამსახურისთვის შესყიდულ იქნა ,,PEFA“-ს (სახელმწიფო ხარჯები და აღრიცხვიანობა) სტანდარტებით ქალაქ.თბილისის ბიუჯეტის შეფასების მომსახურება.

ქ.თბილისის საკრებულო (02 00)

ქ.თბილისის საკრებულოს 2010 წლის გეგმა 5,855.2 ათასი ლარი, ფაქტობრივად დაფინანსდა 5,821.0 ათასი ლარით.

შრომის ანაზღაურების დაზუსტებულმა გეგმა – 3,390.9 ათასი ლარი, დაფინანსდა – 3,388.3 ათასი ლარით, საიდანაც თანამდებობრივმა სარგომ შეადგინა – 2,257.9 ათასი ლარი, პრემიამ – 1,130.4 ათასი ლარი.

საქონელი და მომსახურების ხარჯების გეგმა – 2,199.9 ათასი ლარი, ფაქტობრივად შესრულდა - 2,168.7 ათასი ლარით, მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების გეგმა – 99.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 98.5 ათასი ლარით;

მივლინების ხარჯის გეგმა - 99.2 ათასი ლარი, ფაქტობრივად შესრულდა – 95.5 ათასი ლარის ოდენობით.;

ოფისის ხარჯის გეგმა – 577.8 ათასი ლარი, ფაქტობრივად შესრულდა– 562.6 ათასი ლარით;

წარმომადგენლობითი ხარჯების გეგმა – 37.7 ათასი ლარი, ფაქტობრივად დაფინანსდა – 36.4 ათასი ლარის ოდენობით;

სამედიცინო ხარჯების გეგმა – 3.5 ათასი ლარი, დაფინანსდა – 3.4 ათასი ლარის ოდენობით;

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების გეგმა – 350.6 ათას ლარი, ფაქტობრივად დაფინანსდა – 346.7 ათასი ლარის ოდენობით;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების გეგმა – 1,031.5 ათასი ლარი, ფაქტობრივად შესრულდა – 1,028.6 ათასი ლარის ოდენობით.

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების გეგმა 17.9 ათასი ლარი, ფაქტობრივად დაფინანსდა – 17.8 ათასი ლარით.

სხვა ხარჯების სხვადასხვა ხარჯების გეგმა – 21.3 ათასი ლარი მთლიანად იქნა ათვისებული.

არაფინანსური აქტივების, მანქანა-დანადგარების და ინვენტარის გეგმა – 225.2 ათასი ლარი, ფაქტობრივად შესრულდა – 224.8 ათასი ლარით.

ქალაქ.თბილისის საკრებულოს 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების პროცესში კრედიტორული დავალიანება წარმოექმნა შემდეგ ხარჯებში:

ოფისის ხარჯი – მობილური (ფიჭური) კავშირით მომსახურება – 2129 ლარი, მომწოდებელი-შპს ,,ჯეოსელი“, საფოსტო მომსახურება – 817 ლარი და 20 თეთრი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – ქ.თბილისის საკრებულოს სატენდერო და სხვა სახის განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნების მომსახურება – 21 ლარი და 60 თეთრი.

თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახური (03 00)

ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახურში” დაინერგა ახალი ტიპის ფასიანი მომსახურებები, რის შედეგადაც სამსახურის მუშაობა გახდა უფრო მობილური და ეფექტური. გაუმჯობესდა მოქალაქის მომსახურების ხარისხი. მოქალაქეს შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ შეუძლია 1. 3 და 10 დღეში მიიღოს ქალაქთმშენებლობითი პირობები, შეათანხმოს პროექტი, მშენებლობის ნებართვა და წითელი ხაზები.

ბიუჯეტიდან სამსახური დაფინანსდა 2,577.0 ათასი ლარით, მათ შორის: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 2,248.7 ათასი ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 36.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები 47.8 ათასი ლარი (მათ შორის, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის ხარჯმა შეადგინა 33.6 ათასი ლარი, ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 7.9 ათასი ლარი, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის შეძენისა და რემონტის ხარჯმა შეადგინა 6.3 ათასი ლარი). ტრანსპორტისა, ტექნიკისა და ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის ხარჯები 66.8 ათასი ლარი (მათ შორის, კარტრიჯების შეძენის ხარჯმა შეადგინა 40.6 ათასი ლარი, ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების და შენახვის ხარჯი 2.9 ათასი ლარი, საბურავების შეძენის ხარჯმა შეადგინა 1.2 ათასი ლარი, საწვავის ხარჯმა შეადგინა 20.6 ათასი ლარი, ავტომანქანის რეცხვის ტალონების შეძენის ხარჯმა შეადგინა 0.5 ათასი ლარი, კომპიუტერების აქსესუარების შეძენის ხარჯმა შეადგინა 0.8 ათასი ლარი). სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 148.5 ათასი ლარი (მათ შორის, პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 8.3 ათასი ლარი, ვებგვერდის მომსახურების ხარჯი 36.0 ათასი ლარი, შენობების გენგეგმარებითი მოცულობების ესკიზური საპროექტო მასალების შესყიდვა 45.0 ათასი ლარი, სამშენებლო ობიექტების იერსახის მხატვრული დამუშავების მომსახურების შესყიდვა 37.5 ათასი ლარი, მოლბერტის იჯარის ღირებულების შესყიდვა 0.7 ათასი ლარი, ვიდეო ჰელფერების დამზადების მომსახურების შესყიდვა 1.0 ათასი ლარი, დიდუბის, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის ჩარჩო გეგმის მომზადების მომსახურების შესყიდვა 20.0 ათასი ლარი. სხვა ხარჯები: (ავტომანქანის დაზღვევა) 3.0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივები: 19.6 ათასი ლარი (მათ შორის, ნოუთბუკის შეძენა 2.3 ათასი ლარი, ფერადი პრინტერების შეძენა 6.9 ათასი ლარი, კომპიუტერების შეძენა 10.4 ათასი ლარი). სამსახურის არასაბიუჯეტო შემოსავალმა 2010 წელს შეადგინა 460.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა მოხმარდება სამსახურის განვითარებას და დაიფარება მუშაობისთვის საჭირო ხარჯები.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო (04 00)

ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტში სამმართველოსათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 2,105.0 ათასი ლარი. ფაქტობრივმა ხარჯმა კი შეადგინა 2,104.5 ათასი ლარი. მათ შორის: ოფისის ხარჯის მუხლში გეგმით გათვალისწინებული იყო 1,949.8 ათასი ლარი, ფაქტობრივმა ხარჯმა კი შეადგინა 1,949.2 ათასი ლარი, კერძოდ კომუნალურმა ხარჯმა შეადგინა 1,646.3 ათასი ლარი, ხოლო 302.9 ათასი ლარი მოხმარდა რაიონული დანაყოფების ადმინისტრაციული შენობების მოვლა პატრონობას და შეძენილი იქნა მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი და მცირეფასიანი ელექტრო საქონელი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში, რომელშიც გათვალისწინებულია ლიფტების მომსახურება და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება გეგმით გათვალისწინებული იყო 50.0 ათასი ლარი, ფაქტიური ხარჯი კი 50.0 ათასი ლარია.

სხვადასხვა ხარჯის კაპიტალურ მუხლში გეგმით გათვალისწინებული იყო 105.3 ათასი ლარი, ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 105.3 ათასი ლარი, რითაც შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ინვენტარი, ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო საპროექტო და ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაოები.

ქ. თბილისის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (01 20, 05 00) – ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო შეიქმნა 2010 წლის აპრილიდან. ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტით სააგენტოს გეგმამ შეადგინა 1052,2 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა 1032,9 ათასი ლარი, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო შეადგენს 599,3 ათას ლარს, დანამატი – 38,5 ათას ლარს, პრემია – 118,8 ათას ლარს, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 33,0 ათას ლარს, ოფისის ხარჯი – 39,5 ათას ლარს, წარმომადგენლობითი ხარჯი (კერძოდ სხვადასხვა სახის სუვენირების შეძენა) – 3,0 ათას ლარს, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი – 44,7 ათას

ლარს, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 45,9 ათას ლარს, სხვა ხარჯები – 0,6 ათას ლარს, ძირითადი აქტივები – 109,6 ათას ლარს.

2010 წლის განმავლობაში სააგენტოს საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 399,6 ათასი ლარი. საიდანაც სარეკლამო ვიდეო რგოლის დამზადებაზე დაიხარჯა – 57,1 ათასი ლარი, მიწის ანალიტიკურ-კვლევითი სამუშაოს მომსახურებაზე – 48,7 ათასი ლარი. მეოთხე კვარტალში სადღესასწაულო დღეებში თანამშრომლებზე ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ასანაზღაურებლად გაიცა 84,1 ათასი ლარი.

გლდანი-ნაძალადევის რაიონისათვის (06 00) – 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმა 21,462.7 ათას ლარი, დაფინანსებულია 20,940.7 ათასი ლარით. მათ შორის: გამგეობის ხარჯები დაფინანსდა 3,296.7 ათასი ლარით, აქედან შრომის ანაზღაურება – 1,543.1 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურება – 523.3 ათასი ლარით, საიდანაც მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს წარმომადგენლობითი ხარჯები დაფინანსებულია 10.0 ათასი ლარით, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვა - 96.5 ათას ლარი (საწვავის ხარჯი 76.4 ათასი ლარი გაწეულია 1 სამსახურებრივ, 3 ოპერატიულ, 1 სამხედრო განყოფილების და 8 საუბნო სამსახურისათვის განკუთვნილ ავტომანქანაზე, ავტომანქანების მომსახურებაზე გახარჯულია 10.5 ათასი ლარი და საოფისე ტექნიკის რემონტისა და კარტრიჯების შეძენაზე 9.6 ათასი ლარი.), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებისათვის ხარჯი შეადგენს 85.0 ათას ლარს, საიდანაც გაწეულია ხარჯი ადმინისტრაციული შენობის დაცვის 43.2 ათასი ლარის, სატენდერო განცხადებების გამოქვეყნების 7.5 ათასი ლარის, არქივის მომსახურების 2.4 ათასი ლარის, არქივის დამუშავების 12.0 ათასი ლარის, ინფორმაციული პროგრამის გამოყენების 2.4 ათასი ლარის, ექსპერტიზა-აუდიტის 3.2 ათასი ლარის, ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის შენობის საიჯარო ქირის 9.6 ათასი ლარის, ავეჯის რესტავრაციისათვის 0.2 ათასი ლარი, კადრების მომზადება გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 0.3 ათასი ლარი და დერატიზაცია დეზინფექციისათვის 4.2 ათასი ლარის ოდენობით. სხვა ხარჯებიდან სამსახურებრივი ავტომანქანის დაზღვევისათვის გადარიცხულია 1.9 ათასი ლარი. გამგეობის ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის გადარიცხულია 1094.3 ათასი ლარი, ასევე შეძენილია 134.1 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები, სულ არაფინანსური აქტივების გეგმის 1,235.1 ათასი ლარიდან ათვისებულია 1,228.3 ათასი ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან ფინანსდება ქ.თბილისის №1 ლოგოპედიური სადღეღამისო გახანგრძლივებული ბაგა/ბაღი, რომელიც ფუნქციონირებს 12 სააღმზრდელო ჯგუფით, ბავშვთა სიობრივი კონტინგენტი შეადგენს 460 აღსაზრდელს. კვების ხარჯები გაანგარიშებულია 400 აღსაზრდელზე. დაფინანსებულია 393.8 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 215.4 ათასი ლარი, აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით მომარაგებას მოხმარდა 145.4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯებს 32.6 ათასი ლარი და სხვა ხარჯებს 0.4 ათასი ლარი.

სოციალური დაცვის ხარჯებისათვის გეგმით გათვალისწინებული 2739.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,722.2 ათასი ლარი.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 9 უფასო სასადილო, სადაც ყოველდღიურად იკვებება 4451 უმწეო ბენეფიციარი.

გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ხარჯი გაწეულია 116 გარდაცვლილ მეომართა ოჯახზე 40.6 ათასი ლარის ოდენობით.

სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია გაცემულია 63 ოჯახზე და გახარჯულია 112.4 ათასი ლარი.

სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებებიდან. დახმარება გაეწია 1887 უმწეო მოქალაქეთა ოჯახს, მათ შორის, გაზის მრიცხველი გადაეცა 80 ოჯახს, შიფერი – 116 ოჯახს და საამშენებლო მასალები 293 ოჯახს, ხოლო 1398 ოჯახს გაეწია დახმარება მედიკამენტების,

სამკურნალო ხარჯებისა და უკიდურესად გაჭირვებულ უმწეო ოჯახებს სარიტუალო მომსახურების დასაფარავად. სულ საკასო ხარჯი შეადგენს 763.1 ათას ლარს.

გადაუდებელი ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთების ხარჯებისთვის გათვალისწინებული გეგმა განისაზღვრა 1,253.0 ათასი ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 1,246.8 ათასი ლარი. მათ შორის: შეკეთდა 55 ობიექტზე 127 სადარბაზოს ავარიული წინფარი 148.1 ათასი ლარის ღირებულების. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ავარიული ელემენტების შეკეთებაზე გახარჯულია 181.7 ათასი ლარი, რომლითაც შეკეთდა ზესტაფონის ქუჩა №3-ში ავარიული სართულებს შორის გადახურვები, ჩატარდა გლდანის VI მ/რ კორპ. №26 IV სადარბაზო და გლდანის I მ/რ კორპ. №23ა-ს აივნების და კიბის გამყოფი რკინა-ბეტონის ზღუდარის მონტაჟი, გლდანის ,,ა" მ/რ კორპ. შეიცვალა ავარიული პანელი და სხვადასხვა სახის სამუშაოები შესრულდა 41 ობიექტზე. აღდგენილი იქნა და შეკეთდა 21 საცხოვრებელ სახლზე სახურავის პარაპეტი, 148.9 ათასი ლარის ღირებულების. სახურავების შეკეთებაზე სულ გახარჯულია 768.1 ათასი ლარი, აქედან გეგმურად შეკეთდა 9 ობიექტი, 145.2 ათასი ლარის ღირებულებით, 4 699 კვ.მ ფართობზე, ხოლო სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავი შეკეთდა 112 ობიექტზე, საერთო ფართით 30 800 კვმ, 593.1 ათასი ლარის ღირებულებით. მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი გრანტის საშუალებით შეკეთდა მე-12 მუსიკალური, მე-16, 118-ე, 133-ე საჯარო სკოლების და სკოლა-ინტერნატის აპრილის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავები 381 კვმ ფართობზე, 18.0 ათასი ლარის ღირებულებით.

კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული 13,660.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 13,281.3 ათას ლარით.

გზების მოვლა-შეკეთებაზე გეგმით გათვალისწინებული 11,037.7 ათასი ლარიდან საკასო ხარჯმა შეადგინა 10,819.2 ათასი ლარი, დასრულდა 2009 წლის ოქტომბერში დაწყებული სარაჯიშვილის ქუჩიდან №13 ბაგა/ბაღამდე მისასვლელი გზის მონაკვეთის შეკეთების (იპოლიტოვ ივანოვის ქუჩის გადაკვეთით) სამუშაოები 2280 კვმ ფართობზე. კაპიტალურად შეკეთდა და სამუშაოები დასრულებულია 41 ქუჩაზე, 189 304 კვმ ფართობზე. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 6246.6 ათასი ლარი, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენასა და ლაბორატორიული კვლევის საამუშაოების შესრულებაზე დახარჯულია 107.2 ათასი ლარი. გზების მიმდინარე შეკეთებაზე დაიხარჯა 4465.4 ათასი ლარი ფრაგმენტულად შეკეთდა 340.1 კვმ ასფალტის საფარი 234 ობიექტზე.

მწვანე ნარგავების მოვლისათვის გეგმით გათვალისწინებულია 227.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯი შეადგენს 195.8 ათას ლარს, შესრულებულია მწვანე ზოლის მოვლა დასუფთავების და გათიბვის სამუშაოები 44.96 ჰექტარ ფართობზე.

სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული გეგმა შეადგენს 2394.9 ათასი ლარს, საკასო ხარჯია 2,266.3 ათასი ლარი. მათ შორის: მოიჭრა 2093 ავარიული და ზეხმელი ხე, გადაიბელა 3230 ძირი ხე. საყრდენი კედლების აღდგენა – რეაბილიტაცია დასრულებულია 15 ობიექტზე. კეთილმოეწყო ტერიტორიები 18 ობიექტზე, ბავშვთა სათამაშო ატრაქციონების ჩასადგმელად შეძენილი და დამონტაჟებული იქნა ატრაქციონის 18 კომპლექტი. სპორტული მოედნების აღდგენა-შეკეთება დასრულდა 16 ობიექტზე. ქუჩის კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია ჩატარდა 22 ობიექტზე. სამუშაოები ჩატარდა ხანძთელის ქ. №3, №6, №6ა, ხანძთელის I შესახვევი №1, №2, №4, №7 და ბიჭვინთის ქ.№1 საცხოვრებელი კორპუსის გაზიფიცირების და სხვადასხვა სამუშაოებზე საპროექტო დოკუმენტაციის და ხარჯთაღრიცხვის შედგენისათვის. სანიაღვრე-სადრენაჟე ქსელების აღდგენა-შეკეთება ჩატარდა 17 ობიექტზე, 654.2 გრძივი მეტრის. გარე და შიდა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა ზესტაფონის ქუჩა №3 საცხოვრებელ სახლში, გვაზაურის ქ. №14ა, ჭოპორტის ქ.№7, სანზონის კორპ. №3, ჯანჯღავას ქ.№1, ჯანჯღავას I და II ჩიხში, ავჭალის №1 და მუხიანის II მ/რ კ 18 მ/ტ-ზე, 1909 გრძივი მეტრის ოდენობით. რაიონის იერსახის მოწესრიგებისა და ტერიტორიების კეთილმოწყობის ღონისძიებებზე გათვალისწინებული ხარჯებიდან, ღრმაღელის ქ. №103-ში, ჯავის ქ. №6 შესახვევი №4-ში გაიწმინდა სტიქიურად ჩამონგრეული

საყრდენი კედელი, ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, გაიწმინდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ლიბანის ქუჩიდან ,,ავჭალა-2”-მდე ასასვლელი გზა, ლიბანის №1 მ/ტ-ია გაიწმინდა მეწყერის შედეგად ჩამოშლილი მიწისა და ქვა-ღორღისაგან, დამზადდა და დამონტაჟდა დროშების სამაგრები, არბოს ქ. №4 და ხორნაბუჯისქ. №47-ში კეთილმოეწყო ეზოები და დამონტაჟდა კალათბურთის ფარები. რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 21 ეკლესია - მონასტერს გაეწია დახმარება 100.0 ათასი ლარის ოდენობით და სხვა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონისათვის (07 00) – 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმა 11,710.7 ათასი ლარი, დაფინანსებულია 11,698.5 ათასი ლარით, მათ შორის:

გამგეობის ხარჯების გეგმა 2,115.8 ათასი ლარი – 2,113.0 ათასი ლარით. (აპარატის შესანახი ხარჯები შეადგენს – 2.091.0 ათასი ლარს; მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს ხარჯები – 2.2 ათასი ლარით და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ხარჯები – 19.8 ათას ლარს); აქედან ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე – 907.9 ათასი ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე – 25.2 ათასი ლარი; ოფისის ხარჯებზე – 197.9 ათასი ლარი (წყლის ხარჯზე – 13.8 ათასი ლარი, ელ-ენერგიის ხარჯზე – 35.1 ათასი ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებზე – 47.4 ათასი ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯზე – 4.4 ათასი ლარი; საჭირო დოკუმენტაციის ქსეროასლების ღირ-ბა – 13.4 ათასი ლარი, სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენაზე – 27.7 ათასი ლარი, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაზე – 33.0 ათასი ლარი, საკანცელარიო საქონელის შეძენაზე – 22.6 ათასი ლარი, კომპიუტერების აქსესუარების და ფარდა-ჟალუზების შეძენაზე – 14.7 ათასი ლარი, ფოტოსტიკერებისა და სურათების ღირებულებაზე – 13.6 ათასი ლარი; ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებზე – 11.8 ათასი ლარი); წარმომადგენლობით ხარჯებზე – 14.9 ათასი ლარი (თანხა მოხმარდა ომის ვეტერანების საპატივცემულოდ გამართულ წვეულებას, იაპონიის საელჩოს დელეგაციის და ქ. თბილისის საკრებულოს წევრების მოწვევასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს ხარჯებს და სხვა); ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე – 72.6 ათასი ლარი (საწვავის ღირებულება – 41.0 ათასი ლარი, ა/მანქანების ექსპლოატაციის ხარჯი და სხვა – 31.6 ათასი ლარი); სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე – 21.6 ათასი ლარი (საარქივო მომსახურება – 7.6 ათასი ლარი, სურათების ჩარჩოების დამზადება – 1.9 ათასი ლარი; სასკოლო ოლიმპიადისათვის სხვადასხვა ინვენტარის შეძენა – 2.0 ათასი ლარი; აუდიტის მომსახურება – 2.7 ათასი ლარი და სხვა – 11.9 ათასი ლარი); სხვადასხვა ხარჯების მიმდინარე ხარჯებზე – 3.0 ათასი ლარი (ა/მანქანების დაზღვევის ხარჯი – 2.3 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი – 0.7 ათასი ლარი); ძირითადი აქტივების შეძენაზე – 825.8 ათასი ლარი (ოფისისათვის სხვადასხვა ძირითადი საშუალებების შეძენა – 155.9 ათასი ლარი, გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობაზე – 639.9 ათასი ლარი, ავტომანქანების შეძენაზე – 30.0 ათასი ლარი);

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული 425.6 ათასი ლარი მთლიანად დაფინანსებულია. რაიონში ფუნქციონირებს სმენადაქვეთებულ ბავშვთა ბაგა-ბაღი, რომლისთვისაც ამ პერიოდში გამოყოფილი იყო 307.6 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად იქნა ათვისებული (კვების ხარჯი შეადგენს 70.4 ათას ლარს, შრომის ანაზღაურება – 181.9 ათას ლარს, ელ-ენერგიის ხარჯი – 6.2 ათას ლარს, წყლის ღირებულება – 28.4 ათას ლარს, ბუნებრივი აირი – 16.5 ათას ლარს, კავშირგაბმულობის ხარჯი – 0.7 ათას ლარს, სხვადასხვა სამეურნეო საქონლის შეძენა – 2.4 ათას ლარს, დასუფთავების ხარჯი – 0.5 ათას ლარს; სადეზინფექციო-სადერატიზაციო სამუშაობის ხარჯი – 0.6 ათასი ლარს).

ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 29 იანვრის №04.06.90 დადგენილებით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობას დაევალა ცოტნე დადიანის ქ.№39 მდებარე ახლად შექმნილი №98 საბავშვო ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოების ჩატარება და აღჭურვა სათანადო ავეჯით და სამეურნეო ინვენტარით. აღნიშნულისათვის გამოყოფილი 80.0 ათასი ლარიდან ათვისებულ იქნა 100%, გარდა ამისა, სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად გახარჯულ იქნა 37.0 ათასი ლარი;

სოციალური დაცვის ხარჯებისათვის გეგმით გათვალისწინებული 1,401.4 ათასი ლარიდან დაფინანსდა 1399.1 ათასი ლარით, მათ შორის: მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება – 626.1 ათასი ლარით (რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასადილო და იკვებებოდა 1450 უმწეო მოქალაქე), გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები – 17.1 ათასი ლარით (სარიტუალო დახმარება გაიცა გარდაცვლილ მეომართა 49 ოჯახზე), დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია – 37.0 ათასი ლარი (ბინის ქირა გაიცა დაზიანებული საცხოვრებელი სახლების 17 ოჯახზე), სხვა სოციალური ღონისძიებები – 718.9 ათასი ლარით (სხვადასხვა სირთულის ოპერაცია, სამედიცინო გამოკვლევა, მედიკამენტები, ბუნებრივი აირის მრიცხველების დამონტაჟება და სხვა სახის დახმარება გაეწია 2250 უმწეო მოქალაქეს).

გადაუდებელი ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთების გეგმა 2,438.1 ათასი ლარი დაფინანსებულია 2,436.5 ათასი ლარით; მათ შორის: საცხოვრებელი სახლების გამაგრება – 361.4 ათასი ლარი; საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების შეკეთება – 1,705.0 ათასი ლარი; დატბორილი სარდაფების სალიკვიდაციოდ სადრენაჟე წყალ-კანალიზაციის სისტემის მოწყობა – 146.9 ათასი ლარი; სტიქიური მოვლენების და ავარიების შედეგად წარმოქმნილ დაზიანებათა აღდგენა-შეკეთება – 29.4 ათასი ლარი; საცხოვრებელი სახლების საერთო სარგებლობის აივნებისა და კიბის უჯრედების შეკეთება – 172.0 ათასი ლარი, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა – 21.8 ათასი ლარი.

2010 წელს აღდგენილი და გამაგრებული იქნა ზაზიაშვილის ქ. №13ა – I კორპუსის, თევდორე მღვდელის ქ.№5ა-ში, ქინქლაძის ქ.№13-ში, თევდორე მღვდლის ქ.I ჩიხი №6-ში და ართვინის ქ. №53-ში მდებარე საცხოვრებელი სახლები. აგრეთვე დასრულდა რესპუბლიკური გამწვევი პუნქტის რეაბილიტაციის I ეტაპის სამუშაოები. 211 მისამართზე შეკეთდა 55245 კვადრატული მეტრი დაზიანებული სახურავი, სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეულ დაზიანებათა აღმოსაფხვრელად 9 მისამართზე ჩატარდა სხვადასხვა სამუშაები, 21 მისამართზე ჩატარდა სადრენაჟე სამუშაოები და ლიკვიდირებული იქნა დატბორილი სარდაფები, 24 მისამარ|თზე შეკეთდა ავარიული აივნები და კიბის უჯრედები, სარემონტო სამუშაოებზე შეიქმნა ტექნიკური დოკუმენტაცია.

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე გეგმით გათვალისწინებული 5,329.8 ათასი ლარი, დაფინანსებულია 5,324.3 ათასი ლარით. რაიონის გზების მოვლა-შეკეთებისათვის გაწეული ხარჯი შეადგენს 2,692.3 ათას ლარს, მწვანე ნარგაობათა მოვლა – 74.4 ათას ლარს, ხოლო სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების – 2,557.6 ათასი ლარს. წლის განმავლობაში კაპიტალურად შეკეთდა დავითაშვილის (4000 კვ.მ), ზუგდიდის (2100 კვ.მ), სამურზაყანოს (3311 კვ.მ), ჭალადიდის (561 კვ.მ), კიკვიძის (4413 კვ.მ), ხოშარაულის (2500 კვ.მ), გორის (2595 კვ.მ), ფიფიების (3874 კვ.მ), მეტრეველის (4016 კვ.მ), სოხუმის (1600 კვ.მ), ქურდიანის (1840 კვ.მ), კაპანაძის (685 კვ.მ) ქუჩების და რეხის დასახლების (1297 კვ.მ) გზის საფარი, პ. ბაგრატიონის ქუჩაზე კაპიტალურად შეკეთდა 1270კვ.მ ტროტუარების ასფალტი, სულ – 34062 კვ.მ მიმდინარედ კი შეკეთდა 154 მისამართზე 37830 კვმ გზის საფარი; მიმდინარეობდა რაიონში არსებული ხეების და ბუჩქების ძირების დაბარვა, ბუჩქების გასხვლა, ახალი ყვავილების დარგვა, დეკორატიული ხეების დარგვა, მწვანე ზოლის დასუფთავება და მორწყვა; ამავე დროს მეწყერსაშიშ ზონებში 17 მისამართზე მოეწყო საყრდენი კედლები, ქუჩებში გაკეთდა უსაფრთხოების მოაჯირები, შეკეთდა რაიონის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნები და ბაღ-სკვერები, არსებულ სკვერებში მოეწყო საჩრდილობლები, მოეწყო 14 ახალი სკვერი, 66 მისამართზე შეკეთდა წყალკანალიზაციის ქსელები, მიმდინარეობდა გამხმარი და ნახევრადგამხმარი ხეების მოჭრა და გადაბელვა, ფინანსური დახმარება გაეწია რაიონში ოთხ მშენებარე ეკლესიას, ნორიოს აღმართზე, კეთილმოეწყო მშენებარე პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორია, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ი. ყულოშვილის სახელობის სკვერში მოეწყო მისი სახელობის მონუმენტი, ჩუღურეთის ზონაში გაიწმინდა ქუჩები გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში კოკისპირული წვიმების შედეგად

ჩამოტანილი ნაშალი მასალისაგან, გარე ვაჭრობის მოწესრიგების შემდგომ გაიწმინდა რაიონში არსებული ბაზრების მიმდინარე ტერიტორიები სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან.

ვაკე-საბურთალოს რაიონის (08 00) – 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმა 15,026.5 ათასი ლარი, დაფინანსებულია 14,840.9 ათასი ლარით, ანუ 98-%-ით, მათ შორის:

გამგეობის ხარჯების წლიური გეგმა 3,108.1 ათასი ლარი დაფინანსდა 3.093.9 ათასი ლარით. აქედან ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე – 1,345.9 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე – 412,1 ათასი ლარი, მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე – 30,2 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე – 255,3 ათასი ლარი, მათ შორის, გამგეობის აპარატის ოფისის ხარჯებისათვის – 242,4 ათასი ლარი და 12,9 ათასი ლარი მიიმართა სამხედრო სავალდებულო სამასახურში გაწვევის პროგრამისათვის, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვაზე – 88,1 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე – 30,5 ათასი ლარი; სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე – 1,3 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე – 7,9 ათასი ლარი, რაც ითვალისწინებს მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს ხარჯებს, არაფინანსურ აქტივებზე – 1,334.7 ათასი ლარი, რაც დაიხარჯა გამგეობის ახალი შენობის მშენებლობისათვის, აღჭურვისა და საუბნო სამსახურებისათვის ავტომანქანების შესაძენად.

სოციალური დაცვის ხარჯები დაფინასებული იქნა 1,309.1 ათასი ლარით, მათ შორის: მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება (რაიონში ფუნქციონირებს 7 უფასო სასადილო, ემსახურება 1700 ბენეფიციარს, 1 კაცის მომსახურება დღეში შეადგენს 1 ლარს და 18 თეთრს) – 676.5 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები – 28.7 ათასი ლარით, მომსახურეობა გაეწია 82 ოჯახს თითოეულს 350 ლარის ოდენობით.

სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები – 603.8 ათასი ლარით, (სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის მედიკამენტების შეძენა, საოპერაციო ხარჯები, ბინის გაზიფიცირება, სწავლის საფასურის გადახდა, დედის დღესთან და შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით სასაჩუქრე პაკეტების შეძენა).

გადაუდებელი ავარიული საბინაო ფონდის შეკეთების სამუშაოების ხარჯების გეგმა 709,9 ათასი ლარი დაფინანსებულია 637,3 ათასი ლარით, ანუ 90%-ით; მათ შორის:

დაზიანებული სახურავების აღდგენა დაფინანსებულია – 541,9 ათასი ლარით; შეკეთებულია ვ/ფშაველას II კვარტლის 30-ე კორპუსი, VI კვარტალის 22-ე და 24-ე კორპუსები, ნუცუბიძის II მრ II კვარტალის მე-11 კორპ. დ/დიღმის III მ/რ მე-4, მე-5, მე12 და მე-20 კორპუსი, ბულაჩაურის ქ. №2, ჭავჭავაძის №58, გამსახურდიას ქ. №33, დოლიძის 45, ყაზბეგის 3ª და სხვა. სულ შეკეთებულია სახურავი 50 მისამართზე.

საპროექტო სამუშაოები დაფინანსებულია 20,6 ათასი ლარით. მომზადებულია საპროექტო დოკუმენტაცია დოლიძის ქ. №38 და ვაზისუბნის ქ. №88-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების საძირკვლების გასამაგრებლად.

სხვადასხვა ავარიული სამუშაოები დაფინანსებულია – 74,9 ათასი ლარით, მ.შ. დ/დიღმის პეტრიწის ქ. №4-ში საცხოვრებელი სახლის წყალსაწრეტი მილების შეკეთება ფალიაშვილის ქ. №102, იყალთოს ქ.№24-ში, დოლიძის ქ. №26-ში საცხოვრებელი სახლის კედლის გამაგრება, ვაჟა-ფშაველას V კვ. I კორპუსის გეოდეზიური დაკვირვება;

კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 9,800.6 ათასი ლარით. მათ შორის:

გზების მოვლა-შეკეთებაზე დაიხარჯა 7,811.6 ათასი ლარით; სულ შეკეთებულია 347488 კმ^2, მათ შორის მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები შესრულებულია შემდეგ ქუჩებზე: კეკელიძის, აბაშიძის, ვ/ფშაველას VI კვ. საირმის, ტაშკენტის, ხვიჩიას და სხვა. კაპიტალური სამუშაოები ჩატარდა კავსაძის, ფიზკულტურის, ლვოვის, ლომონოსოვის ქუჩებზე, შავი სოფლიდან დიღმის მეურნეობასთან მისასვლელ გზაზე.

მწვანე ნარგაობათა მოვლის გეგმა 148,2 ათასი ლარი დაფინანსებულია 140,9 ათასი ლარით. ხარჯები ძირითადად გაწეულია ვაკე-საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე აგროტექნიკური სამუშაოების შესრულებაზე, მწვანე ზოლის ექსპლოატაციასა და მომსახურებაზე: ნიადაგის

გადაბარვა, მცენარეთა ირგვლივ სარწყავი ჯამების გაფხვიერება, მცენარეების მორწყვა, ბუჩქების ფორმირება სამი მხრიდან, გაზონების გათიბვა ცელით, ხე-მცენარეების და ყვავილების დარგვა, ბალახის თესლის დათესვა, ბუჩქების გასუფთავება ხმელი და ზედმეტი ტოტებისგან, ნიადაგის გაფხვიერება.

სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯების გეგმა 1,879.4 ათასი ლარი დაფინანსებულია 1,848.1 ათასი ლარით, ანუ 98 %-ით. შესრულდა მცირე მონაკვეთზე სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები, ავარიული ხეების გადაბელვა და მოჭრა, მოეწყო 3 ახალი სპორტული მოედანი, ხორციელდება 5 შადრევან-აუზის ექსპლუატაცია, ბაღ-სკვერებში გარე განათების აღდგენა, ახალი სკვერებისა და საბავშვო მოედნების მოწყობა და არსებულის რეკონსტრუქცია 5 ობიექტზე, მცირე მონაკვეთების წყალ-გაყვანილობის ქსელების აღდგენა, ავტომანქანების მოძრაობის აღმკვეთი ლითონის ღობის მოწყობა, გამწვანების ზოლში ავტოფარეხების დემონტაჟის შედეგად დაზიანებული ეზოების კეთილმოწყობა, ფინანსური დახმარება გაეწია წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის დედათა მონასტერს, ჯვართამაღლების სახელობის ეკლესიას და სხვა.

ისანი-სამგორის რაიონისათვის (09 00) – 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმა 21,665.9. ათას. ლარი დაფინანსებულია 21,664.8 ათასი ლარით. მათ შორის:

გამგეობის ხარჯების გეგმა 3,303.7 ათასი ლარი დაფინანსდა 3,302.9 ათასი ლარით. აქედან ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე – 1,572.8 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე – 524,1 ათასი ლარი, მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე – 14,6 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე – 276,5 ათასი ლარი, მათ შორის გამგეობის აპარატის ოფისის ხარჯებზე – 248,1 ათასი ლარი, 28,4 ათასი ლარი მიიმართა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროგრამისათვის, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვაზე – 114,2 ათასი ლარი, მათ შორის: ავტომანქანების ტექნიკურ მომსახურებაზე -14,3 ათასი ლარი, საწვავის შესაძენად 78,1 ათასი ლარი, ავტომანქანების რეცხვაზე – 2,3 ათასი ლარი, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარების შეძენაზე 6,3 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე – 105,6 ათასი ლარი; სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე – 2,7 ათასი ლარი, სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯებზე – 41,9 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე – 13,2 ათასი ლარი, რაც ითვალისწინებს მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს ხარჯებს, არაფინანსურ აქტივებზე – 1,157.1 ათასი ლარი, მათ შორის: გამგეობის ახალი შენობის მშენებლობისათვის 792,9 ათასი ლარი, აღჭურვისა და საუბნო სამსახურებისათვის ავტომანქანების შესაძენად, მათ შორის, 10 სამსახურებრივი ავტომანქანის შეძენაზე დაიხარჯა 95,2 ათასი ლარი, კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე 22,9 ათასი ლარი, საუბნო სამსახურებისათვის ავეჯის შესაძენად დაიხარჯა 12,0 ათასი ლარი, ხოლო გამგეობის ახალი შენობისათვის 68,5 ათასი ლარი;

სოციალური დაცვის ხარჯები დაფინანსებულ იქნა 2,603.9 ათასი ლარით, მათ შორის: მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება – 1,480.3 ათასი ლარით (რაიონში ფუნქციონირებს 12 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება სოციალურად დაუცველ 3456 ბენეფიციარს, 1 კაცის მომსახურება დღეში შეადგენს 1 ლარს და 18 თეთრს), გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები – 30,8 ათასი ლარით, დახმარება გაეწია 88 ოჯახს, დანგრეული კორპუსებიდან გაყვანილი 273 ოჯახის მაცხოვრებლებზე გაცემულია ბინის ქირა 572,5 ათასი ლარი. რაიონის სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე სხვადასხვა დახმარებების სახით გაცემულია 520,2 ათასი ლარი;

გადაუდებელი ავარიული საბინაო ფონდის შეკეთების სამუშაოების ხარჯების გეგმა 1,335.6 ათასი ლარი დაფინანსებულია 1,335.6 ათასი ლარით, მათ შორის: III მასივი, VIII კვ. I კორპ. აღდგენა-გამაგრება – 194,9 ათასი ლარით; ჩამონგრევის მდგომარეობაში მყოფი კიბის უჯრედების მარშებისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების აღდგენა გამაგრება – 198,9 ათასი ლარი, მათ შორის: აეროდრომის დასახლება კორპ. 30-ის აღდგენა-გაძლიერებაზე დაიხარჯა 147,1 ათასი ლარი, ქიზიყის ქ. №8-ში კიბის უჯრედების მარსებისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციის

გამაგრება-გაძლიერებაზე 51,8 ათასი ლარი. წინმსწრები დამზღვევი საავარიო გამაგრებითი სამუშაოები – 194,9 ათასი ლარით, მათ შორის III მასივი, მე-8 კვარტლის კორპ. 16 აღდგენა-გაძლიერება. სხვადასხვა ავარიული სამუშაოები დაფინანსებულია – 59,1 ათასი ლარით, მათ შორის: ვარკეთილი 3, 2 მ/რ კორპ. 19 სადარბაზოს შესასვლევის დემონტაჟი და ახლის მონტაჟი, ვ/უბნის 4 მ/რ 2 კვარტალი, კორპ. 12-მოაჯირის აღდგენა. ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გაძლიერების საპროექტო სამუშაოები 49,8 ათასი ლარით.

სახურავების შეკეთება დაფინანსდა – 637,8 ათასი ლარით. სახურავები შეკეთდა 62 მისამართზე და დაიხარჯა 425,1 ათასი ლარი, ხოლო სტიქიით დაზარალებული მოქალაქეებისათვის შეტანილია მასალა 110 მისამართზე, რისთვისაც დაიხარჯა 212,7 ათასი ლარი, მათ შორის: ბ/ხმელინცკის 2 ჩიხი №6, 82-ს საჯ. სკოლის, ქაიროს ქ.№4, ჭიჭინაძის ქ.25, ხომლელის ქ.8, საქ.ნავთის დასახლება ბ/ბაღი 116, სოფელი პატარა ლილოს საჯარო სკოლა, ვარკეთილის მასივი, ზ/პლატოს II მ/რ ბ/ბაღი 176, ლილოს დასახლება ბ/ბაღი 111, მ/გამზირი 23 პოლიკლინიკა №19, ორთაჭალის №23, კრწანისის №74, საქნავთის დასახლება კორპ. №2, ლერწმის ქ.№48, კახეთის გზატკეცილი №75; მასალების შეძენა: ვარკეთილის მეურნეობა მე-4 ქუჩა კორპ. 6, ბინა I, ნაკადულის ქ.№4-ში, კალანდაძის ქ.№38-ში, ღოღობერიძის ქ.40ა, ივერიელის ქ.32-ში, 3 დოლაბაურის ქ.№3, დოლაბაურის ქ.№8, ვარკ 3, 2 მ/რ კორპ. 34, ლოჭინის დასახლება კორპ. 1, ლოჭინის დასახლება კორპ. 2, ლოჭინის დასახლება კორპ. 3, აეროპორტის დასახლება Kკორპ. 1, ორხევი ესენინის ქ.34, ლილოს დასახლება 2 კვარტალი, კორპ. 4, ახვლედიანის ქ.24, ახვლედიანის ქ.26, ვარკეთილის მეურნეობა მეგობრობის ქ.56, ლილოს დასახლება მეფრინველეობის ქ.კორპ. 1, ლილოს დასახლება 1 კვარტალი, კორპ. 22, ლითონკონსტრ. დასახლება კოტეჯი 161, ვარკეთილის მეურნეობა წერეთლის ქ.3, ვარკეთილის მეურნეობა წერეთლის ქ.18, სოფელი წინუბანი კორპ. 5, სოფელი წინუბანი კორპ. 6, სოფელი წინუბანი კორპ. 8 და სხვა.

კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 14,422.5 ათასი ლარით, მათ შორის:

გზების მოვლა-შეკეთება დაფინანსებულია – 11,652.3 ათასი ლარით, შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა გარე კახეთის ქუჩის, საინგილოს ქუჩას, მშენებლის ქუჩას, ავიამშენის სპორტული კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის საფარის შეკეთება, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება-სამხედრო ნაწილის მიმდებარედ, აეროპორტი - საბაჟო სამსახურის მიმდებარედ, ქვემო ფონიჭალა რუსთავის გზატკეცილი, №19-ის კორპ. 1, ქვემო ფონიჭალა კორპ. 23-2535246, ვ/უბნის II მ/რ კორპ. V,VI,VII,VIII, გორგასლის ქუჩა კორპ. 79,79ა, ორთაჭალის ქ.კორპ. 11,13, კალანდაძის ქ.№3, ჩოლოყაშვილის ქ.I კვარტალი, საცურაო აუზთან მისასვლელი გზა, მეგობრობის ქუჩა ჩოლოყაშვილის ქ.I კვარტალი I კორპ. Mმიმდებარედ, წულაძის ქ.I გასასვლელი, ჩოლოყაშვილის II კვარტლიდან ,,დოსააფის" სკოლამდე მისასვლელი გზა, სომხეთის ქუჩა, ოძისის ქუჩა, შაქრიანის ქუჩა, კახეთის გზატკეცილი კორპ. 34ა, 34ბ,34ვ, კახეთის გზატკეცილი კორპ. 36მ, ვაზისუბნის IV მ/რ II კვარტალი, კორპ. 5, ვაზისუბნის დასახლება კორპ. 9, ზემო ფონიჭალა, ჟორდანიას ქუჩა, ზემო ფონიჭალა, ღოღობერიძის ქუჩა, წინანაურის ქუჩის კაპ. შეკეთება, ზ/პლატოს დასახ 35-ე კორპუსიდან მე-8 კორპუსამდე ტერიტორია.

მწვანე ნარგაობათა მოვლის ხარჯები დაფინანსდა 125,5 ათასი ლარით. ხარჯები ძირითადად გაწეულია რაიონის ტერიტორიაზე აგროტექნიკური სამუშაოების შესრულებაზე, მწვანე ზოლის ექსპლოატაციასა და მომსახურებაზე.

კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებების ხარჯები დაფინანსდა 2,644.6 ათასი ლარით, მათ შორის:

სასმელი წყლის ქსელის შეკეთება: სოფ. წინუბანში, საექიმოს გასასვლელში №2; ხეების გადაბელვა, ალექსეევკის დასახლებაში გაზსადენის ტრასის მშენებლობის სამუშაოები, შენობის ჩამონგრევასთან დაკავშირებული გაწმენდითი სამუშაოები (ყოფილი ეროვნული გვარდიის), ვარკ-3 I მ/რ კორპ. 16-ის მიმდებარედ სადრენაჟე ქსელის პროფილაქტიკა; საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია: მელაანის შესახვევი №5, ნასაგურის დასახლებაში, ნავთლუღის 2

დასახლება II ქუჩა, შიდა საკანალიზაციო დგარების მონტაჟი და დემონტაჟი ბ/ხმელინცკის ქ.48, კორპ. 10; სანიაღვრე ქსელის მოწყობა: ვარკ. 3, 2მ/რ კორპ. 19-ის მიმდებარედ, ვარკ. 3, 3ა მ/რ კორპ. 335 ბ№162, გორგასლისქ.79ა, ვ/უბნის II ა მ/რ კორპ. 27, ვ/უბნის II ა მ/რ კორპ. 27; ყოფილი 37-ე ბ/ბაღის შენობის აზომვითი ნახაზის დამზადება, სოფ. დიდ ლილოში წყლის საქ. ტუმბ. ამუშაოები, სოფ. დიდ ლილოში წყლის მომარაგების. სამუშაოები 128-ე ბ/ბაღის დემონტაჟის საპროექტო სამუშაოები, სოფ. ნასაგურის ც/წყლის მილის შეცვლა, დოდაშვილის ქ.წმინდა იოანე მხედრის სახელ. ეკლესიის ეზოში, ლილოს დასახლ. წმინდა პანტელეიმონის სახელ. ეკლესიის ეზოში, ჩოლოყაშვილის ქ.I კვარტ, 3 და 4 კორპუსებთან, ჩოლოყაშვილის ქ.I კვარტ, 5 კორპუსებთან დასასვენებელი კუთხის მოწყობა; სკვერის აღდგენა: ნავთლუღის შესახვევი, 3ა კორპუსის წინ; ბ/ხმელინცკის II შესახვევი, კორპ. 6-თან არსებული, ზ/ფონიჭალის კორპ. 23-თან, მ/გამზირი 5 კვარტალი, კორპ. 9-სთან ქინძმარაულის შესახვევში კორპ. ჩ39-სთან, 3 მასივი, 6 კვარტალი, 8 კორპ, ჩოლოყაშვილის ქ.I კვარტალი, 5 კორპუსის 10 სადარბაზოსთან, ელია-კვალეთის მოედანი №20, პოლიციის შენობის სარემონტო სამუშაოები, დაბალი წნევის გაზსადენის მშენებლობა ქინძმარაულის ქუჩაზე, №128-ე ბ/ბაღის შენობის დემონტაჟის სამუშაოები, ვ/უბნის 3 მ/რ კორპ. 16, ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოები, მოსაცდელის დემონტაჟისა და ახლის მონტაჟის სამუშაოები, შირაქის ქუჩაზე, მ/გამზირი 38, ვაზისუბნის II მ/რ.

ძველი თბილისის რაიონისათვის (10 00) – 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმა 24015.6 ათასი ლარი, დაფინანსებულია 23474.3 ათასი ლარით, ანუ 98%-ით, მათ შორის:

გამგეობის აპარატის ხარჯების გეგმა 1559.1 ათასი ლარი დაფინანსებულია 1523.0 ათასი ლარით. აქედან ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე – 1182.4 ათასი ლარი, შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურებაზე – 18.3 ათასი ლარი, დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებაზე – 8.5 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე – 136.7 ათასი ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე – 86.4 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე – 10.4 ათასი ლარი, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე – 13.8 ათასი ლარი, ძირითად აქტივებზე – 66.5 ათასი ლარი (შეძენილია 2 ავტომანქანა, ქსეროქსის აპარატი, კომპიუტერები და სხვა). მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხარჯები შეადგენს 3.5 ათას ლარს. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ხარჯები შეადგენს 12.4 ათას ლარს.

სოციალური დაცვის ხარჯები დაფინანსებულია 2043.6 ათასი ლარით, მათ შორის: მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება უმწეო მოქალაქეებზე შეადგენს 745.7 ათას ლარს (რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასადილო, არის 2183 ბენეფიციარი, 1 კაცის მომსახურება დღეში შეადგენს 1 ლარს), გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები – 21.7 ათას ლარს; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხა – 527.5 ათას ლარს; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებების თანხა – 527.7 ათას ლარს (დაფინანსებულია გაჭირვებული ოჯახებისათვის ელექტროენერგიისა და გაზის დავალიანება, მედიკამენტების ღირებულება, ოპერაციებისა და მკურნალობის ღირებულება, სწავლის ღირებულება); სკოლის მოსწავლეთათვის სოციალური და შემეცნებითი ღონისძიებებისათვის – 20.0 ათასი ლარი.

გადაუდებელი ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალურ ხარჯებში გათვალისწინებული 6167.5 ათასი ლარიდან, ხარჯმა შეადგინა 6080.5 ათასი ლარი. მათ შორის: დაზიანებული სახურავების აღდგენითი სამუშაოებისათვის გახარჯულია 4739.0 ათასი ლარი, სულ ჩატარდა 222581 მ/2 სახურავის რეაბილიტაცია. კერძოდ, ჩატარებულია დაზიანებული სახურავების აღდგენითი სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ასათიანის ქ. №15, №42, №56, №58, ბელინსკის ქ. №26, სუნდუკიანის ქ. №4, №13, №15, №17, №21, №22, ხორავას ქ. №9, ჯამბულის ქ.№4, №8, ბარნოვის ქ. №30, №70, აღმაშენებლის №10, №16, №32, №71, №97, №109, №183, რომის ქ. №7, №13, დადიანის ქ. №24, ტოლსტოის ქ. №2/4, №4 და სხვა.

ავარიული წყალ-კანალიზაციის საერთო სარგებლობის შიდა სისტემების შეკეთებისთვის – 1185.8 ათასი ლარი, კერძოდ შეკეთდა 45542.71 გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი ჩუბინაშვილის, გ. დოლიძის, წინამძღვრიშვილის, ბუხაიძის, ახალციხის, მამარდაშვილის, ჩიტაიას, გორკის, ნინოშვილის, ჩიქობავას, მაზნიაშვილის, გორკის, ნინოშვილის და სხვა ქუჩებზე.

სადრენაჟე სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში 38,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 37.6 ათასი ლარი ძმ. კაკაბაძეების ქ. №32 და ერისთავ-ხოშტარიას ქ. №34, ნინოშვილის ქ. №26; 26ა; 28 და თაბუკაშვილის შეს. №3-თან სადრენაჟე სისტემების მოწყობის სამუშაოები.

სანიაღვრე სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში 76,0 ლარიდან დაიხარჯა 67.9 ათასი ლარი დგებუაძის ქ. №1, ჭოროხის ქ. №10/46, ერისთავ-ხოშტარიას ქ. №36, რჩეულიშვილის ქ. მე-8 კორპუსი, ვ. ბერიძის ქ. №4, №6, 9 აპრილის ქ. №10-თან და გუნიას შეს. №6-სთან სანიაღვრე სისტემების მოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად და თამარ მეფის გამზ. №6-სთან დაზიანებული სანიაღვრე ქსელის აღდგენის სამუშაოების ჩასატარებლად.

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისათვის დაიხარჯა 3.4 ათასი ლარი.

შენობის მდგრადობის შეფასებისათვის დაიხარჯა 46.7 ათასი ლარი.

რაიონის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე გეგმით გათვალისწინებული 8188.8 ათას ლარი დაფინანსდა 8040.3 ათასი ლარით, მათ შორის, ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: 222015,42 კვ.მ რაიონის ტერიტორიაზე გზების, მოედნებისა და ტროტუარების საფარის მიმდინარე შეკეთება. კერძოდ, ეზოებში დაიგო ასფალტი შემდეგ მისამართებზე: ყიფიანის ქ. №6, №8, №17, ლერმონტოვის ქ. №15, №25/15, №27, ინგოროყვას ქ. №3, №16, დადიანის ქ. №24ა, ქიქოძის ქ. №3. №9, №12, მაჩაბლის ქ. №2, №3, №4, ლეონიძის ქ. №8, №10, №12, არსენას ქ. №29-27, ამაღლების ქ. №2, №8, №16, №24, ლერმონტოვის ქ. №11/4, №22, ვეძინის ქ. №2, იაშვილის ქ. №11, №13, ქუთათელაძის შეს. №6, №9, თაბუკაშვილის ქ. №39/8, №45, სულხან-საბას ქ. №6, კოტეტიშვილის ქ. №20, გრიბოედოვის ქ. №3, №25, ახოსპირელის ქ. №5, №7, ნიაღვრის შეს. №2, №3, №6, და სხვა. შეკეთდა გზები სულთანიშვილის, ივერიის, ვეზიროვის, ხანძთელის, ჩახრუხაძის, ფურცელაძის, დიუმას, ცინცაძის და სხვა ქუჩებზე, ხოლო კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდათ ბოროდინოს, დედოფლისწყაროს, მეხეთის I შეს, სუნდუკიანის, ბროსეს, გერგეთის, გრიშაშვილის, იაშვილის, ვაჩნაძის, აბო თბილელის, გუნიას, თარხნიშვილის, ნიკოლაძის, ღამბაშიძის, გურჯაანის, ბაქრაძის ქუჩებს და თაბუკაშვილის შესახვევს ჩიხებით, სულ 50655,5 კვ.მ.

მწვანე ნარგაობათა მოვლის ხარჯმა შეადგინა 93.4 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რაიონის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ზოლის მოვლა-პატრონობა, ბაღებისა და სკვერების მოვლა, ტყე-პარკის მოვლა, დეკორატიული კუთხის მოვლა, გაზონების მოვლა, ქუჩის ნარგაობათა მოვლა, შიდა კვარტალური მწვანე ნარგავების მოვლა.

სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯმა შეადგინა 2322.7 ათასი ლარი. მათ შორის: გადაიბელა 741 ხე, მოიჭრა 808 ხე, გასხვლა-ფორმირება ჩაუტარდა 313 ხეს, ჩატარდა ავარიული საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები, კიბეებისა და მოედნების მოწყობის სამუშაოები, საყრდენი კოჭების, იატაკის, სხვენისა და სხვა სახის ხის ნაკეთობათა შეკეთების სამუშაოები, ნარიყალა-მთაწმინდის ტურისტული ბილიკის აღდგენის სამუშაოები, საცხოვრებელი სახლების აივნის შეკეთების სამუშაოები, გაეწიათ ეკლესიებს მატერიალური დახმარებები 85,1 ათასი ლარის ოდენობით და სხვა.

ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგენა, რესტავრაცია და რეკონსტრუქციის ხარჯების 2010 წლის გეგმა 5,959.2 ათასი ლარი დაფინანსდა 5,770.9 ათასი ლარით, მათ შორის: მთაწმინდის ქუჩის მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოები – 530.2 ათასი ლარი, პ. ინგოროყვას ქ. №20-ში მდებარე შენობის აღდგენა-გამაგრებისა სამუშაოები – 377.2 ათასი ლარი, გალაკტიონის ქუჩის მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოები – 304.0 ათასი ლარი, კ. კეკელიძის ქ. №18-ის და ლარსის ქუჩის გამყოფი კედლის მოწყობის სამუშაოები – 252.4 ათასი ლარი, სოფიკო ჭიაურელის სახელობისა და გიორგი ჩიტაიას სახელობის ბაღის რეაბილიტაციის, სივრცისა და ლანდშაფტის არქიტექტურის კეთილმოწყობის სამუშაოები –

331.0 ათასი ლარი, ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე 6650 კვ. მეტრი დაზიანებული ასფალტის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები – 194,0 ათასი ლარი, ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე 36 ერთეული დაზიანებული კიბის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 94.5 ათასი ლარი, რუსთაველის გამზირზე, ყოფილი საბაგირო გზის სადგურის მიმდებარედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობის ეზოში არსებული სკვერის აღდგენის სამუშაოები – 124.6 ათასი, რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები – 499.1 ათასი ლარი, ურბანული ავეჯის შეძენა – 234.0 ათასი ლარი, ფხოვის ქ. №3-ში მდებარე ავარიული შენობის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები – 15.6 ათასი ლარი, ახოსპირელის ქ. №6-ში მდებარე ავარიული შენობის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები 21.6 ათასი ლარი, მეტეხის ქ. №18-ში, მ.ლერმონტოვის ქ. №15-ში, დ. აღმაშენებლის გამზირი №69-ში და ა, ფურცელაძის ქ. №25-ში მდებარე ავარიული შენობის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები – 94,8 ათასი ლარი, ბესიკის ქ. №16-ში და მ. თოიძის ქ. №60-ში მდებარე ავარიული შენობის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები – 36.6 ათასი ლარი, ზ. ბოცვაძის ქ. №5-ში მდებარე ავარიული შენობის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები – 11.1 ათასი ლარი, მამადავითის ასასვლელი გზის (ჭონქაძის და ყიფიანის ქუჩებს შორის არსებული მონაკვეთი) მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენის, სანიაღვრეს, კანალიზაციის, სუსტი დენების გამტარების, გაზსადენის, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების ქსელების) და საზოგადოებრივი სივრცის (ბარიერები, განათება, საფეხმავლო ზონა, ლანდშაფტის დიზაინი, ტრანსპორტის სავალი ნაწილის) მოწყობის პროექტის (მუშა/ესკიზური) და ხარჯთაღრიცხვის მომზადება – 62.7 ათასი ლარი, გრიშაშვილის ქ. №41-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრების, ნიშნიანიძის ქ. №25-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის და წინამძღვრიშვილის ქ. №33-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თაღის გამაგრების სამუშაოები – 18.6 ათასი ლარი, კოტე მესხის ქ. №7/10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრების სამუშაოები – 31.1 ათასი ლარი, ვეძინის ქ. №23-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის სამუშაოები – 13.1 ათასი ლარი, იაშვილის ქ. №15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრების, ბაქრაძის ქ. №7-ში მდებარე საყრდენი კედლის აღდგენის და მთაწმინდის ქ. №14-ში მდებარე გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები – 78.1 ათასი ლარი, წინამძღვრიშვილის ქ. №132, ყიფიანის ქ. №7/2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრების და ჭოველიძის ქ. №28/33 საცხოვრებელი სახლის სართულშუა გადახურვის დროებითი გაძლიერების სამუშაოები – 23.0 ათასი ლარი, გრიბოედოვის ქ. №30-ის ეზოში არსებული საყრდენი კედლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები – 17.2 ათასი ლარი, არსენას ქ. №23-სა და მ. ზანდუკელის ქ. №23-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ჩამონგრეული კედლების აღდგენის სამუშაოები – 16.3 ათასი ლარი, ძველი თბილისის რეაბილიტაციის ფონდი – 2390.0 ათასი ლარი.

დიდგორის რაიონის (11 00) – 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმა 5,771.6 ათასი ლარი დაფინანსებულია 5.763.2 ათასი ლარით. მათ შორის:

გამგეობის ხარჯების გეგმა 731.1 ათასი ლარი დაფინანსდა 728.7 ათასი ლარით (აპარატის შესანახი ხარჯები შეადგენს – 721.1 ათას ლარს, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ხარჯები – 7.6 ათას ლარს); აქედან ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე – 560.9 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე – 85.2 ათასი ლარი (წყლის ხარჯზე – 4.4 ათასი ლარი, ელ-ენერგიის ხარჯზე – 9.2 ათასი ლარი, გაზის ხარჯზე – 15.9 ათასი ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებზე – 30.2 ათასი ლარი, ტიტულოვანი ბლანკებისა და შტამპების ღირებულებაბა – 1.7 ათასი ლარი, სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენაზე – 3.6 ათასი ლარი, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაზე – 9.1 ათასი ლარი, საკანცელარიო საქონელის შეძენაზე – 5.1 ათასი ლარი, ნახაზებისა და რუკების გამრავლების ღირებულება – 0.3 ათასი ლარი; ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოებზე – 5.7 ათასი ლარი), წარმომადგენლობით ხარჯებზე – 2.0 ათასი ლარი (თანხა მოხმარდა ომის ვეტერანების და ესტონეთიდან ჩამოსული შვიდკაციანი დელეგაციის საპატივცემულოდ გამართულ წვეულებას), ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე – 51.0

ათასი ლარი (საწვავის შესაძენად – 34.5 ათასი ლარი, ხოლო ავტომანქანის შეკეთებისათვის და სხვა – 16.5 ათასი ლარი), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე – 4.4 ათასი ლარი (თანხა მოხმარდა ადმინისტრაციულ შენობაში დაცვის სისტემის დამონტაჟებას, „კოდექსის“ ინფორმაციულ განახლებას, კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ და სისტემური სერვისის მოწყობას, ,,კავკასიის ეკონომიკურ და სოციალურ კვლევით ინსტიტუტში“ ტრენინგების მოწყობას, ნოტარიუსის მომსახურებას), დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებაზე – 3,1 ათასი ლარი (თანხა მოხმარდა გამგეობის თანამშრომლის დეკრეტულ შვებულებას), სხვადასხვა ხარჯების მიმდინარე ხარჯებზე – 2.1 ათასი ლარი (დასუფთავების მოსაკრებელი და გამგეობის ავტომანქანის დაზღვევის ხარჯი), ძირითადი აქტივების შეძენაზე – 20.0 ათასი ლარი (შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ინვენტარი, პროექტორები, კონდენციონერები, რომლებიც გადაეცა წყნეთში, კოჯორში და ტაბახმელაში სასწავლო ცენტრებს);

სოციალური დაცვის ხარჯების გეგმა 197.5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 196.9 ათასი ლარი მათ შორის გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები – 2.1 ათასი ლარით (სარიტუალო დახმარება გაიცა გარდაცვლილ მეომართა 6 ოჯახზე), სხვა სოციალური ღონისძიებები – 194.8 ათასი ლარით (თანხა მოხმარდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის (440 მოქალაქე) ოპერაციულ მკურნალობას, მედიკამენტების შეძენას, კომუნალური გადასახადების დავალიანებების დაფარვას);

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 2010 წლის გეგმით გათვალისწინებული 4,843.1 ათასი ლარი, დაფინანსებულია 4,837.7 ათასი ლარით. მათ შორის: გზების მოვლა-შეკეთების ხარჯები 3,020.1 ათასი ლარით (თანხა მოხმარდა წყნეთში, შინდისში, ოქროყანაში, ტაბახმელაში და კოჯორში გზების კაპიტალურ შეკეთებას. კერძოდ, წყნეთში კაპიტალურად გაკეთდა სტალინის, გურამიშვილის, საკაძის, ი. ჭავჭავაძის და სხვა ქუჩების – 3630კვ.მ გზის საფარი, ასევე წყნეთში გრიშაშვილის ქუჩის 500კვ.მ-ზე, საკაძის, ვაჟა-ფშაველას, ტაბიძის და გრიშაშვილის ქუჩის გადამკვეთი გზებზე 1110 კვ.მ-ზე მოეწყო ქვაფენილი, გრიშაშვილის ქუჩა კაპიტალურად შეკეთდა და მოეწყო სანიაღვრე კოლექტორი, ტაბახმელაში გაკეთდა 13267 კვ.მ გზის საფარი. ოქროყანაში ყაზბეგის ქუჩაზე კაპიტალურად გაკეთდა 246 კვ.მ გზის საფარი, წავკისში – 11324 კვ.მ გზის საფარი, კოჯორში კაპიტალურად შეკეთდა თევზაძის ქუჩის 1573 კვ.მ, უძოს ქუჩის 1595 კვ.მ, რუხაძის ქუჩის 1680 კვ.მ და კოჯორში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის 926 კვ.მ, შეძენილ იქნა 60ტ. ბიტუმი, რომელიც მოხმარდა კოჯორში გზების კაპ. შეკეთებას. კაპიტალურად შეკეთდა კიკეთის გზიდან სოფელ დიდებამდე მისასვლელი გზის 2700 კვ.მ, ასევე რაიონის ტერიტორიაზე ჩატარდა გზების მიმდინარე შეკეთება. კერძოდ, 3-4 სმ-იანი საფარი დაიგო წყნეთის 5968 კვ.მ-ზე, კოჯორში დაიგო 3-4 სმ-იანი გზის საფარი – 2192 კვ.მ-ზე, ტაბახმელაში დაიგო 3-4 სმ-იანი 4488 კვ.მ, წავკისში გაკეთდა შიდა კვარტალური გზები 1850 კვ.მ-ზე, ოქროყანაში – 250კვ.მ,-ზე წყნეთი-ახალდაბის ტერიტორიზე შეკეთდა გზის საფარი 1900 კვ.მ-ზე).

გამწვანების ხარჯები დაფინანსდა 94.3 ათასი ლარით. თანხა მოხმარდა რაიონის ტერიტორიაზე არსებულ ბაღებსა და სკვერებში არსებულ მწვანე ნარგაობათა მოვლა-პატრონობას.

სხვადასხვა კეთილმოწყობის ხარჯები დაფინანსდა 1,723.2 ათასი ლარით. სამუშაოები შესრულდა სტიქიური უბედურებით გამოწვეული დაზიანებული საცხოვრებელი შენობებისა და კორპუსების სახურავების შეკეთების, რაიონის ტერიტორიაზე არსებული დასასვენებელი ბაღ-სკვერების მიმდინარე შეკეთებით სამუშაოების და რეაბილიტაციის, შინდისში, კოჯორში და წავკისში არსებული ხიდებისა და ბოგირების შეკეთების, ტაბახმელაში გზის საყრდენი კედლის შეკეთების, კოჯორში ბარათაშვილის ქ.№74-ში მდებარე ავარიული სახლის შეკეთების, ასევე იუნკერების ქუჩაზე ტროტუარებისა და სანიაღვრე ქსელების შეკეთების, ტაბახმელაში მდებარე საჯარო სკოლის შეკეთების, კოჯორში და წყნეთში სტადიონების მოწყობის, რაიონის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელი პავილიონების შეკეთების, კიკეთში მდებარე ,,დიდების მემორიალის“ შეკეთების, კოჯორში, ბარათაშვილის ქ№74-ში, ორბელიანის ქ№9-ში და ტაბახმელის №19 კორპუსში მდებარე ავარიული საცხოვრებელ სახლების აღდგენა-გამაგრების;

ოქროყანაში მდებარე ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, ტაბახმელაში არსებული საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოების კეთილმოწყობის და წყალსადენის ქსელების რეაბილიტაციის, უძოს ეკლესიიდან მისასვლელი ბეტონის გზის მოწყობის, წყნეთში გურამიშვილის ქუჩის რკინიგზელთა დასახლებაში №5 კორპუსის სახურავის რეაბილიტაციის და სხვადასხვა საპროექტო სამუშაოების, ოქროყანაში ყაზბეგის ქუჩის №8 მიმდებარედ ტრანსპორტის სავალი ნაწილის მონაკვეთზე ლითონის თვალამრიდის მოწყობის, თბილისი-ქალაქობის და საახალწლო ღონისძიებების. წავკისის წმინდა დიდმოწამე მარინეს სახელობის და ტაბახმელის ღვთისმშობლის სახელობის მშენებარე ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება.

მონაცემები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2010 წელს გამოყოფილი მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების შესახებ

(ლარებში)

№	ღონისძიება / მომწოდებელი	ბიუჯეტში გათვალისწინებული ტრანსფერი			შესრულებული სამუშაოების დაფინანსება	სხვაობა გეგმასთან
		დამტკიცებული ბიუჯეტით	დამატებით გამოყოფილი	სულ		
1	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1 400 000	0	1 400 000	1 399 900	-100
	გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა 01 09 04	400 000		400 000	399 900	-100
	ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ბინის საკომპენსაციო თანხები	1 000 000		1 000 000	1 000 000	0
2	სპეციალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	195 162 300	0	195 162 300	195 162 300	0
	გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები 01 02 02	60 172 300		60 172 300	60 172 300	0
	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია 01 04 02	16 575 000		16 575 000	16 575 000	0
	სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებები 01 04 07	21 500 000		21 500 000	21 500 000	0
	ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოები 01 05 01	25 765 000		25 765 000	25 765 000	

	სხვადასხვა საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რეკონსტრუქცია 01 05 02 02	2 700 000		2 700 000	2 700 000	0
	ხიდებისა და გვირაბების რეაბილიტაცია მშენებლობის სამუშაოები 01 05 02 03	36 450 000		36 450 000	36 450 000	
	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა 01 06	22 000 000		22 000 000	22 000 000	0
	ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე 01 07 04	10 000 000		10 000 000	10 000 000	0
3	საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები		11 051 615	11 051 615	11 051 615	0
	საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №37 21.01.10 ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება		5 000 000	5 000 000	5 000 000	0
	საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №871. 09.09.10 ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება		5 000 000	5 000 000	5 000 000	0
	საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №986 13.10.10 სვეტიცხოვლის აღდგენის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად		51 615	51 615	51 615	0
	საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №1165. 20.12.10 ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება		1 000 000	1 000 000	1 000 000	0
	სულ	196 562 300	11 051 615	207 613 915	207 613 815	-100

ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მაჩვენებლები წარმოდგენილია 1-4 დანართად.